



გაზეთი



უნივერსიტეტი

16
ივნისი,
სუთპაბათი
2016 წ., №9

თსუ-ის ფუტსალის გუნდი საქართველოს ჩემპიონია!



10 ივნისს ახალ სპორტის სასახლეში გაიმართა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ფინალი ფუტსალში, სადაც ერთმანეთს თსუ და თელავი დაუპირისპირდა. თსუ-მ მონინააღმდეგე 1:0 დაამარცხა და საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა. აღნიშნულ მატჩს თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი დარეჯან თვალთვაძე, თსუ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლები და სტუდენტები ესწრებოდნენ. თამაშის ბოლოს დასახელდა საუკეთესო მოთამაშეები თსუ-დან: საუკეთესო მეკარე ალექსანდრე ჯამბურია; საუკეთესო თავდასხმელი ლაშა სიგუნავა; საუკეთესო ფეხბურთელი გიორგი ნიკვაშვილი.

თსუ-ის ფუტსალის სტუდენტურმა გუნდმა კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა უმაღლესი ლიგის ფინალურ თამაშშიც და პირველი ადგილი დაიკავა. სტუდენტური ლიგის ფინალი 3 ივნისს გაიმართა, სადაც ერთმანეთს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდები დაუპირისპირდნენ. ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდს ჩვენმა გუნდმა 1:0 მოუგო.

ირაკლი ხარჯაშვილი, თსუ-ის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსი: „საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია ატარებდა ეროვნულ ჩემპიონატს უნივერსიტეტებს შორის. ეს არის უმაღლესი ლიგა. ჩვენ პირველი ადგილი ავიღეთ რეგულარულ ჩემპიონატში. ზამთარში თასი გათამაშდა და თასიც მოვიგეთ, ანუ დუბლი შევასრულეთ. მინდა, უნივერსიტეტს მივულოცო ეს წარმატება!“

ნომერში

■ მოვლანების ქრონოლოგია „აუდიტორია 115“-ის ფლანგზე

83.2,4

■ კანცლარობის კანდიდატები და მათი პრიორიტეტები

83.7-11

■ ანდრო ბინაძე - 100

83.3,15

ჰარვარდის უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი საზაფხულო სკოლა დაიწყო



13 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჰარვარდის უნივერსიტეტის ზაფხულის სკოლა ოფიციალურად გაიხსნა.

ეს არის პირველი ერთობლივი პროექტი ამ უნივერსიტეტებს შორის, რომლის ფარგლებშიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვია 20-მდე სტუდენტი, რომლებიც კავკასიის და მიმდებარე ქვეყნების კულტურას, ისტორიას, ლიტერატურას და კინემატოგრაფიას შეისწავლიან.

ჰარვარდის უნივერსიტეტის სლავისტიკის დეპარტამენტის ზაფხულის სკოლის მონაწილეებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ჰარვარდის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი ნაუკითხავს სალექციო კურსებს ისეთ თემებზე, როგორებიცაა: საქართველოს ისტორია და პოლიტიკა, არქიტექტურა და ურბანული

მორფოლოგია, ქართული ფილმი, რუსული მხატვრული ლიტერატურა კავკასიის შესახებ. სტუდენტებს ასევე შესაძლებლობა ექნებათ, დახვეწონ ქართული და რუსული ენების ცოდნა.

გარდა სასწავლო აქტივობებისა, პროგრამა მოიცავს ინტენსიურ გაცნობით-შემეცნებით და კულტურულ აქტივობებს ზაფხულის სკოლის მონაწილეებისთვის როგორც თბილისში, ასევე საქართველოს სხვადასხვა ქალაქში.

ზაფხულის სკოლა 13 აგვისტომდე, 9 კვირის მანძილზე გაგრძელდება და სასწავლო კომპონენტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლაში ჩატარდება.

გა-3 გვერდზე

„აუდიტორია 115“-ის წევრები მთავრობის სხდომაზე საკითხის ინიცირებას მინისტრისგან ელიან



8 ანათლებისა და მეცნიერების მინისტრთან ალექსანდრე ჯეჯელავასთან შეხვედრას „აუდიტორია 115“-ის წევრები ნაყოფიერად აუფასებენ, თუმცა ამ დრომდე არ განუხილავთ საქართველოს მთავრობის სხდომაზე ის საკითხი, რაც მინისტრთან „აუდიტორია 115“-ის წევრებმა შეათანხმეს.

„აუდიტორია 115“-მა მინისტრთან 4 მთავარ მოთხოვნასთან დაკავშირებით მოახერხა შეთანხმება.

„იმის გათვალისწინებით, რომ განათლების მინისტრის

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი სტუდენტური თვითმმართველობების წარმომადგენლებს შეხვდა



8 ანათლებისა და მეცნიერების მინისტრი სტუდენტური თვითმმართველობების წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრა გაცნობითი ხასიათის იყო. ალექსანდრე ჯეჯელავამ განათლების რეფორმასთან დაკავშირებით სტუდენტური თვითმმართველობების წარმომადგენლების წინადადებები მოისმინა. შეხვედრის შემდეგ მინისტრმა განაცხადა, რომ მან, მოლოდინისამებრ, კეთილგანწყობილი და კარგი ხალხი გაიცნო.

გა-2 გვერდზე



„აუდიტორია 115“-ის წევრები მთავრობის სხდომაზე საკითხის ინიცირებას მინისტრისგან ელიან

პირველი გვერდიდან

ცვლილება მოხდა მთავრობაში და „აუდიტორია 115“-ის მოთხოვნებს კარგად არ იცნობდა მინისტრი, შეხვედრის დროს გადაწყდა, რომ ჩვენ კიდევ ერთხელ ჩამოვყალიბებდით 4 მთავარ მოთხოვნას: 1. შევთანხმდით, რომ ფაკულტეტის საბჭოებში სტუდენტების არჩევა პირდაპირი წესით უნდა მოხდეს. 2. რექტორის მოვალეობის შემსრულებელს არ უნდა ჰქონდეს რექტორის არჩევნებში მონაწილეობის უფლება. 3. თვითმმართველობის არსებული მოდელი უნდა გაუქმდეს. 45-ე მუხლი, რომელიც არეგულირებს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობას, დათქმებით გადავიდეს გარდამავალ დეპარტამენტში, რომელზეც შეთანხმდება უახლოეს დღეებში უნდა შედგეს და 4. ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი — შეიქმნას პლატფორმა, განათლების რეფორმაზე მომუშავე ჯგუფი, რომლის პირველი სამუშაო თემა იქნება გარე რეფერირება და მისი დანერგვის მექანიზმები. ამ საკითხების დაკონკრეტების შემდეგ, რომელიც მოძრაობის გვერდზე განვითარებთ, ველოდებით განათლებისა და მეცნიერების მინისტრის რეაგირებას, რომელმაც საკითხები განსახილველად მთავრობის სხდომაზე უნდა გაიტანოს“, — განაცხადა „აუდიტორია 115“-ის წევრმა გიორგი ჩიხლაძემ.

შეხვედრის დასრულების შემდეგ განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ განაცხადა, რომ მოლაპარაკებების პროცესში სტუდენტურ თვითმმართველობასაც შეუძლია ჩართოს

და დასძინა, რომ „აუდიტორია 115“-ის მოთხოვნების შესრულება რეალურია, თუმცა, ბევრი საკითხი შესაძლოა ისე სწრაფად ვერ გადაწყდეს, როგორც ეს სტუდენტებს ან მთავრობას სურს.

„შეხვედრა წარმართა საკმაოდ ცხელი დისკუსიის ფორმატში, თუმცა, საბოლოო ჯამში ცოტა რთულად, მაგრამ მაინც მივალდებით იმას, რომ „აუდიტორია 115“ მკვეთრად ჩამოაყალიბებს — თუ რა უნდა გააკეთოს მთავრობამ, რა უნდა გააკეთო მე, როგორც განათლების მინისტრმა, რათა მთავრობამ მიიღოს გადაწყვეტილება. საკითხები შეეხება უნივერსიტეტის საბჭოში არჩევის წესს, თვითმმართველობის არსებული მოდელის გაუქმებას და შუალედურ რეჟიმში გადაყვანას, ასევე, ისეთი პლატფორმის, სამუშაო ფორმატის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს განათლების რეფორმას, მათ შორის გარე რეფერირების საკითხზე მუშაობას. თვითმმართველობას სრული უფლება აქვს ამ პროცესებში მონაწილეობა მიიღოს. ინტერესი არის საერთო, მიზნის მიღწევის გზებში ხედვა განსხვავდება. საკმაოდ რთული საკითხები საკმაოდ მოკლე დროში გვეს გადასაწყვეტი“, — აღნიშნა მინისტრმა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა სტუდენტური მოძრაობა „აუდიტორია 115“-ის წევრებს 9 ივნისს უკვე მეორედ შეხვდა. პირველი შეხვედრა 7 ივნისს გაიმართა და გაცნობით ხასიათს ატარებდა. „აუდიტორია 115“-მა ახალ მინისტრს მათი მოძრაობის მიზნები და მოთხოვნები გააცნო.

ნატო მბოლაძე

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებს შეხვდა

პირველი გვერდიდან

„მათი ინტერესია განვითარდეს უმაღლესი განათლების სისტემა. რა თქმა უნდა, ხედვებში განსხვავებაა, თუმცა, ბევრი საერთოცაა. აუცილებელია, რომ კარგი კომუნიკაციით ემოციების გამოირიცხოს და ვინცოთ გადაწყვეტილების ძიება. თვითმმართველობების წარმომადგენლების მხრიდან მზადყოფნა არის. დაინტერესებულ მხარეებთან გაიმართება ყოველკვირეული შეხვედრები. სტუდენტები აუცილებლად შექმნიან უკეთეს განათლების სისტემას, დაინწყებენ წყენას. არც ერთი მხარე თვითმმართველობების თემას ცენტრალურ თემად არ სახავს. ეს საკითხი ერთ-ერთია და არა მთავარი. სტუდენტები საუბრობენ უკეთეს მომავალზე“, — აღნიშნა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა.

შეხვედრაზე შეთანხმდნენ, რომ სტუდენტური თვითმმართველობა, როგორც ინსტიტუტი, რეფორმას საჭიროებს და მოლაპარაკებების გზით, რაც შეიძლება მოკლე ვადაში, კონკრეტული საკითხები უნდა გადაიჭრას. თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ყველა დაინტერესებულ მხარესთან დიალოგისთვის მზაობა კიდევ ერთხელ დააფიქსირა.

„ჩვენ სამინისტროს რეფორმასთან დაკავშირებით კონკრეტული ინიცია-

ტივები წინა მოლაპარაკებების პლატფორმის ფარგლებშიც მივიანოდეთ. ახლაც გავაცანით ჩვენი ხედვა პირდაპირი საარჩევნო სისტემის, რექტორის არჩევის წესის, სტუდენტური თვითმმართველობის რეფორმის საკითხებზე. რა თქმა უნდა, ყველა მხარემ უნდა ჩამოაყალიბოს თავისი მოთხოვნა, შეთანხმდნენ კონკრეტულ სტრუქტურაზე, რომელიც სტუდენტური თვითმმართველობის წესდებაში ჩაინერგება, ჩატარდეს არჩევნები და შემდეგ სტუდენტობა არჩევანს თავად გააკეთებს“, — განაცხადა თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ბახვა კვირიკაშვილმა.

ალექსანდრე ჯეჯელავა სტუდენტური თვითმმართველობების წარმომადგენლებს 9 ივნისს შეხვდა, სადაც ასევე მიმოიხილეს სტუდენტური თვითმმართველობების არჩევნების საკითხი. ბახვა კვირიკაშვილის თქმით, მათი წესდებით არჩევნების 6 თვით გადაწევა შესაძლებელი გახდა და შედეგად უნივერსიტეტი სტუდენტური წარმომადგენლობების გარეშე არ დარჩა, თუმცა სხვა უმაღლესი სასწავლებლების წესდება მსგავს შესაძლებლობას არ ითვალისწინებს და, შესაბამისად, მათ გარკვეული პრობლემები შეექმნათ.

ნატო მბოლაძე

მოვლენების ქრონოლოგია „აუდიტორია 115“-ის ფლანგზე

1 ივნისს „აუდიტორია 115“-ის წევრმა ვიდუომიმართვა გააგრძელეს, სადაც თსუ-ის პირველ კორპუსში სტუდენტური თვითმმართველობის ოთახების დაკავების მიზეზები განმარტეს.

„რამდენიმე დღის წინ ჩვენი მოძრაობის წარმომადგენლებმა თსუ-ის პირველ კორპუსში განთავსებული ორი ოფისი დაიკავეს. ორივე ოთახში სტუდენტური თვითმმართველობის წევრები და „მალაჩინოსნები“ საქმიანობდნენ. მოძრაობის საერთო კრებამ აღნიშნული გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც პრივილეგირებული, ძალადობრივი დაჯგუფების აქტივისტები ჩვენს თანამებრძოლს ფიზიკურად გაუსწორდნენ. „აუდიტორია 115“-ის მოქმედებები განათლების სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის თანამშრომლების უპასუხისმგებლო საქციელმაც განაპირობა. ისინი მარტივად ამოსაცნობი სტრატეგიებით ცდილობენ ჩვენ მოტყუებასა და დროის გაყვანას. მათ უჭირთ ან არ შეუძლიათ კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღება.

სამწუხაროდ, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია არსებულ დავაში ჩვენს მონაწილემდე მხარეს წარმოადგენს. ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ჩვენ მიერ მოწყობილი ახალი სასწავლო აუდიტორიები დაილუქოს და იქ უშინარსო ოფისების საქმიანობა აღდგეს. ამასთანავე, რექტორის მოვალეობის შემსრულებელსაც და სხვა უპასუხისმგებელ პირებსაც ჯერჯერობით არ შესწევთ ძალა „აუდიტორიის 115“-ის წევრზე განხორციელებულ ძალადობას ადეკვატურად და დაუყოვნებლივ უპასუხონ“, — აღნიშნულია განცხადებაში.

„აუდიტორია 115“ სტუდენტური თვითმმართველობის ოთახების აუდიტორიებად გადაკეთებას ითხოვს. გაერთიანების წევრი სტუდენტები ამბობენ, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში გაათავისუფლებენ დაკავებულ ოთახებს, თუ თსუ-ის



ადმინისტრაცია მათ აუდიტორიებად გადააკეთებს და, ასევე, შეთანხმდება სტუდენტური თვითმმართველობის სისტემის გაუქმება პრემიერ-მინისტრთან.

„კიდევ ერთხელ შევასხენებთ საზოგადოებას, რომ ჩვენ არ ვაფერხებთ სასწავლო პროცესს. „აუდიტორია 115“ არც ერთ სივრცეში არ ეწინააღმდეგება საერთო საუნივერსიტეტო ღონისძიებების გამართვას. ნებისმიერ პროფესორს შეუძლია ლექციებისა და სემინარების ჩატარება ჩვენ მიერ დაკავებულ ოთახებში.

მივმართავთ საქართველოს პრემიერ-მინისტრს და ვითხოვთ აუდიენციას, რათა რიგითი მოხელეების ბუნდოვანი და ორაზროვანი განცხადებების ნაცვლად, განათლების კანონის ცვლილებასთან დაკავშირებით ქვეყნის მთავარი პოლიტიკური პირისგან მივიღოთ საბოლოო და მყარი პოლიტიკური პირობა.

პრემიერ-მინისტრთან ჩვენი პირველი შეხვედრის დროს განვიხილეთ განათლების უფუნდამენტური რეფორმის შესახებ პლატფორმის შექმნის წინადადება. სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებს ვთავაზობთ, რომ პლატფორმის პირველი სხდომის განსახილველ თემა

გარე რეფერირების მექანიზმების დანერგვის საკითხი გახდეს“, — აცხადებენ „აუდიტორია 115“-ის წევრები.

აღსანიშნავია, რომ ამ დროისთვის „აუდიტორია 115“-ს თსუ-ის პირველ კორპუსში სტუდენტური თვითმმართველობის 213-ე ოთახი აქვს დაკავებული. რაც შეეხება მეორე, 303-ე აუდიტორიას, თსუ-ის ადმინისტრაციამ იგი 1 ივნისს დალუქა.

213-ე აუდიტორიის დალუქვის მცდელობა

„აუდიტორია 115“-ის ინფორმაციით, 2 ივნისს თსუ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა 213-ე აუდიტორიის დალუქვაც სცადეს, თუმცა „აუდიტორია 115“-ის წევრმა გიორგი ჩიხლაძემ ამის საშუალება არ მისცა. გიორგი ჩიხლაძემ ამბობს, რომ 213 აუდიტორიაში ისინი ლექციებს პერმანენტულად ატარებენ და მას უკვე მიაჩნტეს რეკონსტრუქციის ღირს ზოლქვაძის სახელი.

„213-ე ოთახთან ვიდექი, როდესაც თსუ-ის დაცვის სამსახურის უფროსი გიორგი

რგი გორაშვილი 5 დაცვის თანამშრომლის თანხლებით მოვიდა. ვგეგმავდით ლექციის ჩატარებას განათლების უფუნდამენტური რეფორმის საკითხებზე. გიორგი გორაშვილმა გვაცნობა, რომ დალუქვის შესახებ ადმინისტრაციას გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა, თუმცა მის კომპეტენციაში არ შედიოდა შემოსულიყო და დაელოქა. მე ვუთხარი მათ, რომ არ მივცემდი დალუქვის საშუალებას, რადგან ადმინისტრაცია სტუდენტური თვითმმართველობის სისტემასთან აბსოლუტურ კომპრომისზეა წასული. ეს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ადგილია და ამიტომ უნდა გავამაგროთ ის. სწორედ ამ აუდიტორიაში იგეგმებოდა სტუდენტების ცემა და არამიზნობრივი ხარჯების წარმოება. 303-ე აუდიტორიაც ზუსტად მაშინ დალუქეს, როდესაც ღამის გათენებისგან ძალა გამოცლილები ადგილზე არ ვიმყოფებოდით. ახლა უკვე ვგეგმავთ, რომ 213-ე ოთახში ვიმორიგეთ, რომ სტუდენტური თვითმმართველობის წევრები არ შემოვიდნენ. ამის მცდელობაც ჰქონდათ, რადგან რამდენჯერმე 30-50 კაცი ჰყავდათ უნივერსიტეტში მობილიზებული.

2 ივნისს, როდესაც თსუ-ის დაცვის სამსახურის წევრები მოვიდნენ, აქ მხოლოდ მე ვიყავი, რის შესახებაც დავწერე კიდევ ჩვენი ფეისბუქის გვერდზე და სხვა სტუდენტებიც შემომიერთდნენ“, — განაცხადა გიორგი ჩიხლაძემ.

თსუ-ის პირველი კორპუსის მუდმივ მოქმედმა საინვენტარიზაციო კომისიამ 213-ე და 303-ე აუდიტორიების დალუქვა იქ განთავსებული მატერიალური ქონების ინვენტარიზაციის მიზნით 1 ივნისსაც სცადა, თუმცა მათ წინააღმდეგობა „აუდიტორია 115“-ის წევრებმა გაუწიეს. თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით 213-ე და 303-ე ოთახების ინვენტარიზაცია 31 მაისიდან არაუგვიანეს 10 ივნისისა უნდა განხორციელებულიყო. „აუდიტორია 115-

მე-4 გვერდზე



ჰარვარდის უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი საზაფხულო სკოლა დაიწყო

პირველი გვერდიდან

ზაფხულის სკოლის ოფიციალურ გახსნას ესწრებოდნენ თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი დარეჯან თვალთვაძე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე გიორგი შარვაშიძე, აშშ-ის საელჩოს მრჩეველი პრესისა და კულტურის საკითხებში ქორთინი ოსთრიანი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ცენტრის დირექტორი მარინე ჩიტაშვილი, „ერაზმუს +“-ის ეროვნული ოფისის წარმომადგენელი საქართველოში ლიკა ლლონტი, თსუ-ის პროფესორები და სტუდენტები.

ზაფხულის სკოლა ოფიციალურად გახსნა თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა დარეჯან თვალთვაძემ. მან აღნიშნა, რომ ეს არის პირველი ერთობლივი პროექტი ჰარვარდის უნივერსიტეტთან, რომლის მომზადებაც დიდი წვლილი შეიტანეს როგორც ამერიკელმა, ასევე ქართველმა პროფესორებმა. პროექტი მნიშვნელოვანია იმით, რომ არა მხოლოდ ჰარვარდელი სტუდენტები მიიღებენ გარკვეულ ცოდნას საქართველოსა და მის კულტურაზე, არამედ ქართველ სტუდენტებსაც მიეცემათ საზაფხულო სკოლაში და მის კულტურულ ღონისძიებებში ჩართვის შესაძლებლობა. „საზაფხულო სკოლა მოდულარულ პრინციპზეა აგებული და გულისხმობს ორ-ორ კვირიან სწავლებას თითოეულ მიმართულებაში, რომელშიც ქართველი პროფესორებიც ჩაერთვებიან“, — აღნიშნა მან და საზოგადოებას გააცნო პროგრამა, რომლითაც იმუშავებს საზაფხულო სკოლა.

პროექტის ფარგლებში ლექციებს წაიკითხავენ: ცნობილი ქართველოლოგი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის საერთაშორისო პრემიის მფლობელი, თსუ-ის საპატიო პრო-



ფესორი სტივენ ჯონსი, რომლის ლექციებიც მიეძღვნება თბილისის და საქართველოს ისტორიისა და კულტურის საკითხებს; პროფესორი ჯულია ბათლერი, ჰარვარდის სლაისტიკის დეპარტამენტის წარმომადგენელი, ჰარვარდის უნივერსიტეტის რუსულ და ევრაზიულ სწავლებათა ცენტრის წარმომადგენელი, რომლის წვლილიც დიდი პროექტის განხორციელებაში იგი სამი კვირის განმავლობაში ჩაატარებს ლექციებს ქართველი და ჰარვარდელი სტუდენტებისთვის და შეეხება საქართველოს ისტორიას, არქიტექტურას და ურბანულ მორფოლოგიას; პროფესორი სტეფანი სანდლონი თვის ლექციებში შეეხება ქართულ ფილმებს, სტუდენტებს გააცნობს ლანა ლოლობერიძის, ელდარ შენგელაიას, სერგო ფარაჯანოვის და სხვათა

ფილმებს და გააკეთებს შედარებით ანალიზს იმავე პერიოდის რუსი რეჟისორების მიერ გადაღებულ ფილმებთან; ჯასტინ ვილი, რომელიც ისაუბრებს კავკასიური ორიენტალიზმის რომანტიკულ ასახვაზე პუშკინის, ლერმონტოვის და ტოლსტოის შემოქმედებაში; ოქსანა ვილისი, რომელიც ზაფხულის სკოლის დირექტორია, რუსული ენის 9-კვირიან კურსს გაუძღვება.

დაინტერესებული სტუდენტებისთვის შესაძლებელი იქნება ქართული ენისა და კულტურის შესწავლა, ისინი გაეცნობიან ქართულ ტრადიციებს, მოინახულებენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეს, ეწვევიან ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს, ეროვნულ მუზეუმს, ფულის მუზეუმს და სხვ.

ზაფხულის სკოლის ფარგლებში ისი-

ნი შეხვდებიან საქართველოს პრეზიდენტს გიორგი მარგველაშვილს და საქართველოს პრემიერ-მინისტრს გიორგი კვიციანიძეს, მოისმენენ ლექციებს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიურ ცენტრში, პროფესორ ვახტანგ ლიჩელის ხელმძღვანელობით დაათვალიერებენ არქეოლოგიურ გათხრებს. „ვფიქრობ, ამგვარი კულტურული ურთიერთობები ხელს შეუწყობს ჩვენს დაახლოებას და პროექტი კვლავაც გაგრძელდება“, — აღნიშნა დარეჯან თვალთვაძემ.

ჰარვარდელი სტუდენტებისთვის მეცადინეობები ჩატარდება თსუ-ის საერთაშორისო სკოლა ISET-ის ბაზაზე.

ჰარვარდის სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს მიესალმნენ ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე გიორგი შარვაშიძე, აშშ-ის საელჩოს მრჩეველი პრესისა და კულტურის საკითხებში ქორთინი ოსთრიანი, ჰარვარდის საზაფხულო სკოლის დირექტორი საქართველოში ოქსანა ვილისი, მართვალის პოლიოკის კოლეჯის პროფესორი სტივენ ჯონსი, თსუ-ის საერთაშორისო სკოლა ISET-ის დირექტორი ერიკ ლიჩენი, თსუ-ის პროფესორი ვახტანგ ლიჩელი.


ჰარვარდელმა სტუდენტებმა საზოგადოებას შესთავაზეს მცირე პერფორმანსი და რუსულ ენაზე თარგმნილი ქართული პოეზიის რამდენიმე ნიმუში წაიკითხეს. ქართულმა მხარემ კი სპეციალურად მათთვის გამართა კონცერტი, რომელზეც ქართული ფოლკლორი იქნა წარმოდგენილი.

ამავე ღონისძიების ფარგლებში თსუ-ის სააქტო დარბაზში გამოიფინა გერმანელი ფოტოხელოვანის — რუდოლფ შრადეს მიერ გადაღებული ხევისრეთის უნიკალური ფოტოები, რომელიც თსუ-ის მუზეუმშია დაცული და რომელიც მან 1960, 1977 და 2012 წლებში საქართველოში მოგზაურობისას გადაიღო.

ქართველები უცხოეთში

ანდრო ბინაძე - 100

XX საუკუნის მეორე ნახევარი აღინიშნა ოთხი გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსის ნიკოლოზ მუსხელიშვილის, ილია ვეკუას, ვიქტორ კუპრადის და ანდრო ბინაძის დიდი საერთაშორისო აღიარებით. 22 მაისს შესრულდა 100 წელი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრკორესპონდენტის, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, 1979-1983 წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის ანდრო ბინაძის დაბადებიდან. ანდრო ბინაძე მრავალი წლის განმავლობაში ეწეოდა სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის, მოსკოვის, ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტებსა და ამავე ქალაქების მათემატიკის ინსტიტუტებში. მისი ძირითადი ნაშრომები ეძღვნება ელიფსური, ჰიპერბოლური და შერეული ტიპის დიფერენციალური განტოლებების კვლევას, მრავალგანზომილებიანი სინგულარული ინტეგრალური განტოლებების თეორიას, ფუნქციონალური თეორიის სასაზღვრო ამოცანებს, არალოკალური ამოცანების თეორიას, არანრფივი მოდელების ზუსტი ამონახსნების აგებას, დრეკადობის მათემატიკურ თეორიას და სხვ. მისი ძალიან ბევრი მიმდევარი და მოსწავლე, ასევე თითოეული ქართველი სიამაყით იცნობს, როცა სამეცნიერო ლიტერატურაში ნაანუგებია ამოცანებს, განტოლებებს, ფორმულებს და დებულებებს, რომლებიც ანდრო ბინაძის სახელს ატარებს.



როგორც თავად ამბობდა, დაუჯერა მასზე 15 წლით უფროს ძმას და გონების მთელი შესაძლებლობები მათემატიკისკენ მიმართა. თუმცა პოეზიის სიყვარული და ლექსების წერაც სიცოცხლის ბოლომდე არ შეუწყვეტია.

იმერეთის საოცრებებმა, სადაც ბატონმა ანდრომ ბავშვობა გაატარა, მასში სილამაზის მძაფრი შეგრძობა და სრულყოფისკენ სწრაფვის სურვილი გააჩინა, რაც მას მთელი სიცოცხლის მანძილზე შერჩა. ამ დიდი თვისებების კვალი მის შემოქმედებასაც მნიშვნელოვნად ატყვია.

დანაშაულებით განათლება ანდრო ბინაძემ სოფლის ოთხნობიანი სკოლაში მიიღო. 1923 წელს ამ სკოლის პედაგოგმა, შემდეგში რესპუბლიკის დამსახურებულმა მასწავლებელმა დავით ტატიშვილმა პირველ კლასში მისაღები გამოცდები ჩაატარა, რომელიც ა. ბინაძემ წარმატებით ჩააბარა და პირველის ნაცვლად მეორე კლასში დასვეს. იგი ათი წლისაც არ იყო, როცა ცხრკუკეთის ოთხნობიანი ნარჩინებით დაასრულა და ჭიათურის ცხრანობიანი შრომის სკოლის მე-5 კლასში გააგრძელა სწავლა. მისი დიდი ნიჭიერება და მათემატიკის სიყვარული სკოლის

ერთერთმა საუკეთესო პედაგოგმა ტიტე ბერიშვილმა შენიშნა. ამის შესახებ თავად ბატონ ანდროს ასეთი ჩანაწერი აქვს გაკეთებული: „მათემატიკისადმი სიყვარული 1928-1930 წლებში ჩამყვანდა მათემატიკის მასწავლებლის ტიტე ბერიშვილის გავლენით. მან შენიშნა ჩემი მათემატიკისადმი მიდრეკილება და დიდი ინტერესითა და მონდომებით განმივითარა ამ მეცნიერებისადმი მისწრაფება“. 1930 წლის პირველი სექტემბრიდან ტიტე ბერიშვილი ჭიათურის სკოლაში ტერენტი ტყეშელაშვილს შეცვალა. ეს ორი მათემატიკოსი სრულიად სხვადასხვა სტილის, მაგრამ ორივე შესანიშნავი პედაგოგი იყო“. 1931 წელს ეს სკოლა პედაგოგიურ ტექნიკუმად გადააკეთეს. ა. ბინაძემ მისი დამთავრების დიპლომი მიიღო, მაგრამ ორნობიანი პედაგოგიური სტაჟის გავლის გარეშე უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელების უფლება არ ჰქონდა. ამის გამო, იგი რამდენიმე ხანს სხვადასხვა სოფლის სკოლაში ასწავლიდა ფიზიკას და მათემატიკას.

1935 წელს ა. ბინაძე ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკამათემატიკის ფაკულტეტზე. სტუდენტობის პერიოდში მისთვის საკმაოდ საინტერესოდ, მაგრამ წინააღმდეგობით სავსემ ჩაიარა. უნივერსიტეტში სწავლისას იგი მეტად გამოჩენილი სტუდენტი იყო. მეგობრები მის უპირატესობას აღიარებდნენ და დიდად აფასებდნენ, როგორც ძალიან გონიერ და საკუთარი თავის მიმართ მეტად მომთხოვნ პიროვნებას. პედაგოგებიც აღნიშნავდნენ მის განსაკუთრებულ ნიჭიერებას და ასეთ სტუდენტთან ურთიერთობა მათ გამოცდებზეც კი დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა.

1940 წელს სახელმწიფო გამოცდებზე მან ყველა გამოცდა „ფორიადზე“ ჩააბარა და კომისიამ, რომლის შემადგენლობაში სხვებთან ერთად იყვნენ ნ. მუსხელიშვილი (თავმჯდომარე), ი. ვეკუა და ვ. კუპრაძე, რეკომენდაცია მისცეს ჩაებარებინა თბილისის მათემატიკის ინსტიტუტის ასპირანტურაში, რის შედეგად 1940-1943 წლებში იგი იყო ამ ინსტიტუტის ასპირანტი. საინტერესო ფაქტია, რომ იმ წლებში სსრკ-ში სულ 50 ასპირანტი იყო სტალინური სტიპენდიანტი და მათ შორის ა. ბინაძეც. ბატონი ანდროს სამეცნიერო ინტერესების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ნ. მუსხელიშვილის სემინარმა, სადაც სამჯერ შედიხებოდა მოსმინის ბატონი ანდროს მოხსენებები დრეკადობის თეორიის ბრტყელი საკონტაქტო ამოცანების კვადრატურებში ამოხსნის შესა-

ხებ. ნ. მუსხელიშვილმა მიიჩნია, რომ შედეგები იმსახურებდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მომამუშ“ გამოქვეყნებას. ბატონმა ანდრომ მათგან მხოლოდ ერთი შედეგი გამოაქვეყნა 1942 წელს ამ ჟურნალში. ეს იყო მისი პირველი სამეცნიერო პუბლიკაცია.

ანდრო ბინაძემ ომის მძიმე წლებში მოამზადა და 1944 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია აკადემიკოს ი. ვეკუას ხელმძღვანელობით. 1944-1948 წლებში ა. ბინაძე თბილისის მათემატიკის ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელია.

აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი მუდამ იყო დაინტერესებული ნიჭიერი ახალგაზრდებით და ყოველთვის ცდილობდა მათთვის ხელი შეეწყოს. მისი დიდი დამსახურებაა, რომ 1948-1951 წლებში ა. ბინაძეს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ვ. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დოქტორანტი გახდა. დოქტორანტურაში ა. ბინაძის მუშაობით განსაკუთრებით კმაყოფილი იყვნენ აკადემიკოსები ი. პეტროვსკი და ს. სობოლევნი. მათ მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სემინარებზე ოთხჯერ მოისმინეს მისი მოხსენებები. მათში გადმოცემული ორიგინალური შედეგები პატარა მოცულობის ორი სტატიის სახით გამოქვეყნდა ჟურნალში „Доклады АН СССР“ და „Успехи математических наук“. მართალია, მ. ლავრენტიევი ძირითად სამუშაოზე კიევი იმყოფებოდა, მაგრამ შეთავსებით განყოფილებასაც განაგებდა ვ. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში და იყო ამ ინსტიტუტის დოქტორანტი ა. ბინაძის მეცნიერკონსულტანტი. ის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის აკადემიკოს მ. კელიძის თანდასწრებით გაცინო დოქტორანტი ა. ბინაძის ანგარიშს. მეორე დღეს მ. ლავრენტიევი და მ. კელიძე კვლავ შეხვდნენ მას და შესთავაზეს ელიფსური სისტემებისადმი მიძღვნილი სადოქტორო დისერტაციის თემა, რის ფარგლებშიც ა. ბინაძეს უკვე ჰქონდა მიღებული მნიშვნელოვანი შედეგები, შეეცვალა იმ დროისთვის უფრო აქტუალური თემა „შერეული ტიპის განტოლებები“. ა. ბინაძე ნახევარი წლის დაძაბული მუშაობის შემდეგ ე. კელიძის ცნობილ სემინარზე გამოვიდა მოხსენებით ტრიკომის ამოცანის შესახებ გამოჩენილი სპეციალი-

80-15 გვირგვინი



მოვლენების ქრონოლოგია „აუდიტორია 115“-ის ფლანგზე

მეორე გვერდიდან

ის“ წევრებმა ინვენტარიზაციის პროცესს 31 მაისსაც შეუშალეს ხელი. 1 ივნისს კომისიამ 303-ე ოთახის პირველადი აღწერა ჩაატარა და დაიწყო შემდგომი ინვენტარიზაციის მიზნით. რაც შეეხება 213-ე ოთახს, „აუდიტორია 115“-ის წევრებმა თსუ-ის ადმინისტრაციის საინვენტარიზაციო კომისიას ინვენტარიზაციისა და დალუქვის საშუალება არ მისცეს. სტუდენტების განცხადებით, დადგენილი, სავალდებულო წესის მიუხედავად, კომისიას ინვენტარიზაციისთვის აუდიტორიის დალუქვის საშუალებას არ მისცემენ. საინვენტარიზაციო კომისიამ შესაბამისი ოქმი შეადგინა.

„მოსული იყო საინვენტარიზაციო კომისია და გვითხრეს, რომ გავსულიყავით. ჩვენ ვუთხარით, რომ აღერიცხათ ინვენტარი და სადმე სანყოფნა გადაეტანათ. შევასხენეთ მათ, რომ ეს სასწაულო აუდიტორიაა. შევთავაზეთ, რომ მოეხსნათ ის კონსტრუქციაც, რომელიც აუდიტორიას ორად ჰყოფს, ვინაიდან აქ ლექციები ტარდება და ადგილი არ გვყოფნის“, — გვითხრა „აუდიტორია 115“-ის წევრმა გოჩა სურგულაძემ.

„აუდიტორია 115“-ის წარმომადგენლებმა თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის სამუშაო ოთახები (213-ე და 303-ე) 25 მაისს თვითნებურად დაიკავეს. ამ აქციას წინ უძღვოდა 24 მაისს სტუდენტებს შორის ფიზიკური დაპირისპირება. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ აღნიშნული ფაქტის მოკვლევის და შესაბამისი მასალების მიწოდების თხოვნით მინიჭებულ საქმეთა სამინისტროს უკვე მიმართა. პარალელურად უნივერსიტეტში ჩატარდა



შიდა მოკვლევა, მოკვლეული მასალა და დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის ვიდეო-კამერებიდან ამოღებული ინციდენტის ამსახველი კადრები რეაგირებისთვის ფაქულტეტების საბჭოებს გადაეცათ.

„აუდიტორია 115“ განათლების რეფორმის საკითხზე

„აუდიტორია 115“-ის წევრებს მიგვაჩინა, რომ საუნივერსიტეტო სივრცეში

არსებულ პრობლემათაგან უმთავრესი და საბაზისო მნიშვნელობის არის განათლების ხარისხი. ყველა სხვა საკითხის მოგვარება ამ პრობლემის გადაჭრის გარეშე იქნება არსებული სისტემის მხოლოდ კოსმეტიკური ან უმნიშვნელო ცვლილება“, — ეს განცხადება „აუდიტორია 115“-ის წევრებმა 3 ივნისს გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთეს. სტუდენტებმა კიდევ ერთხელ აღნიშნეს, რომ განათლების პრობლემის საფუძველი ხელისუფლების პოლიტიკური მოტივაციით დაკომპლექ-

ქტებული თსუ-ის საბჭოების ინტერესებშია.

„პოლიტიკურის ნაცვლად უნივერსიტეტში სამეცნიერო-შემოქმედებითი ინტერესების, ცოდნის კვლავწარმოების პრინციპის, აკადემიური თავისუფლების, აკადემიური მიუკერძოებლობის და აკადემიური ხარისხის ფასეულობათა დაბრუნება მიგვაჩნია ერთადერთ გამოსავლად სისტემის არსებითად გარდასაქმნელად.

ამ მიზნის მიღწევის ერთადერთ გზად ჩვენ მივიჩნევთ „გარეშე რეფორმების“ მექანიზმის შემოღებას — უნივერსიტეტის პროფესორის, განსაკუთრებით — უმაღლესი აკადემიური თანამდებობების პირთა შერჩევას საერთაშორისო რეფერირების წესით, თანასწორუფლებიან კოლეგათა მიუკერძოებელი ურთიერთშეფასების გზით და არა რომელიმე პრივილეგირებული ჯგუფის შეხედულების მიხედვით. ამ წესით მუშაობს თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცე და ესაა მსოფლიოს განათლების სისტემისთვის ცნობილი უალტერნატივო მეთოდი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენი მიზანია დღევანდელი „უნივერსიტეტის“ — პოლიტიკური ინდოქტრინაციის მანქანის გარდაქმნა რეალურად დასავლური ტიპის სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებად“, — განაცხადეს „აუდიტორია 115“-ის წევრებმა.

„აუდიტორია 115“ მიიჩნევს, რომ განათლების რეფორმა ფართო საზოგადოების განხილვის საგანი უნდა გახდეს. ამ პროცესში ისინი უნდობლობას მხოლოდ „ნაციონალურ მოძრაობას“ უცხადებენ.

მომამზადა ნატო ოპოლაძე

კონსტანტინე ლერნერი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრია



ოსრაელის უნივერსიტეტის პროფესორს, ქართველოლოგიის კათედრის გამგეს კონსტანტინე ლერნერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო უცხოელი წევრის სტატუსი მიენიჭა. მას სპეციალური სიგელი საზეიმო მიღებაზე აკადემიის პრეზიდენტმა გიორგი კვესიტაძემ გადასცა. კონსტანტინე ლერნერი 10-ზე მეტი მონოგრაფიის ავტორია, რომელიც საქართველოში, ისრაელსა და ინგლისშია გამოცემული. იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია და წლების მანძილზე ლექციებს თსუ-შიც კითხულობდა. კონსტანტინე ლერნერს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრის სტატუსი ქართული მეცნიერების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის მიენიჭა.

„კოტე ლერნერი მსოფლიოში აღიარებული სპეციალისტია. დღეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა გიორგი კვესიტაძემ განსაკუთრებით აღნიშნა მისი დამსახურება ქართული მეც-

ნიერებისა და ქართულ-ებრაული ისტორიის კვლევის საქმეში. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო წოდება სულ რამდენიმე უცხოელ მკვლევარს აქვს მიენიჭებული. კოტე ლერნერი თსუ-ში ლექციებს დღესაც კითხულობს. იგი გახლავთ უაღრესად პრინციპული მეცნიერი, საკითხებს კონკრეტულად და სიღრმისეულად იკვლევს, უპირისპირდება მათ, ვინც პრობლემის კვლევას ზერეულედ ეკიდება. თარიღების დაზუსტებისას ძალზედ ობიექტურია და ქართულ ენას ბრწყინვალედ ფლობს, ზოგიერთ ქართველზე უკეთესადაც კი. რაც მთავარია, თავის კვლევებში გულწრფელია“, — აღნიშნა მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, თსუ-ის პროფესორმა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისრაელის ცენტრის ხელმძღვანელმა გურამ ლორთქიფანიძემ.

კონსტანტინე ლერნერს საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრის სტატუსი 10 ივნისს მიენიჭა.

ნატო ოპოლაძე

მინისტრის მორიგი შეხვედრა თვითმმართველობასთან

უნივერსიტეტში ბოლო პერიოდში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის წევრებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა კიდევ ერთხელ შეხვდა. მინისტრმა აღნიშნა, რომ სტუდენტური თვითმმართველობის პატარა ჯგუფთან რამდენიმე დღის წინ გამართული შეხვედრის შემდეგ გადამწყდა თვითმმართველობის წარმომადგენელ უფრო ფართო საზოგადოებასთან შეხვედრა. მისი თქმით, შექმნილ სიტუაციაში საჭიროა სხვადასხვა ჯგუფის შეხედულებათა შეჯერება და ყველასთვის მისაღები განწყვეტილების მიღება: „კიდევ ერთხელ დადასტურდა ჩემი შეხედულება, რომ ყველა სტუდენტის ინტერესია უნივერსიტეტი გახდეს უკეთესი, განვითარდეს, თვითმმართველობა გადავიდეს განვითარების შემდეგ დონეზე. თუმცა მხარეთა ხედვები განსხვავდება. სწორედ ამ განსხვავებებზე პუნქტობრივად გვქონდა საუბარი. მათ

შორის საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ 45-ე მუხლზეც. შემდეგი დღეებისთვის ჩემი სამინიშნო დავალება იქნება, შევეცადო სხვა მონაწილე მხარეებთან და სხვა უნივერსიტეტების თვითმმართველობის წარმომადგენლებთან პოზიციები შევაჯეროთ“.

თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ბახვა კვიციანიშვილმა შეხვედრის შემდეგ აღნიშნა, რომ მინისტრი შეხვდა თვითმმართველობის არა მხოლოდ პატარა ჯგუფს, არამედ ყველა წევრს და მათგან მიიღო ინფორმაცია. მისი თქმით, „მინისტრი მზად არის, რომ მოლაპარაკებების გზით გადაწყვედეს პრობლემები. ჩვენ მას მივანდით სიტუაციიდან გამოსავლის ჩვენეულ კონკრეტულ ხედვებს. შექმნილ ვითარებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ უსამართლობის ნახალისება არ უნდა ხდებოდეს საზოგადოების არც ერთი სექტორის მხრიდან“.



„ოთხმოცდაათიანელი“

„არ არის, ან ძალიან ცოტაა საქართველოში წიგნიერი ოჯახი, რომელსაც არ ჰქონდეს სადა და მიმზიდველ წიგნთაგან რომელიმე მაინც — „რა გქვია შენ?“, „დედაქანა ქართული“, „როგორ გაჩნდა სიტყვა“, „ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ“... ამ პოპულარული წიგნებისა და სხვა ათობით სერიოზული მეცნიერული გამოკვლევებისა და მონოგრაფიების ავტორი ზურაბ ჭუმბურიძეა — თვალსაჩინო მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ფილოლოგიური მეცნიერებათა დოქტორი, ძველი ქართული ენის კათედრის პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილების გამგე, გელათის მეცნიერებათა აკადემიის წევრი. ბატონი ზურაბი ბრწყინვალე პედაგოგი, ჩინებული ლექტორი, შთამბეჭებლად მოსაუბრე. სამაგალითოა მისი მოქალაქეობრივი სახე: გაბედული, თითქმის მოურიდებლად მართლის მოქმედი, მაგრამ ამასთანავე უადრესად კეთილმოსურნე: მისი ცხოვრებისეული კრებოა: „ფარვა საივანა ქვეყანას არ მოუხდებიან“, თავად მუხლჩაუხრელად იღვწის მეცნიერებისა და საზოგადოების წინსვლისთვის, იღვწის შესაძური ენერჯი-ულიობითა და გადაბრუნებით ენთუზიაზმით. ის ყველაფერს ახსნის და აკეთებს მაღალპროფესიონალურად; ამიტომ აფასებენ და უყვართ იგი. ვუსურვით მას სიკეთე და წარმატებები თავისი სათავაზრებელი ქვეყნის საკეთილდღეოდ“, — ასე შეაფასა ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა კორნელი დანელიამ პროფესორ ზურაბ ჭუმბურიძის მოღვაწეობა, როდესაც იგი 70 წლის გახდა.



ზურაბ ჭუმბურიძე

მინდა გითხრათ, რომ უნივერსიტეტში იყო სწავლა და ამავე დროს ხალისი... ზურაბი იმთავითვე საენათმეცნიერო წრის წევრი იყო. მას, როგორც სოფლიდან ჩამოსულ ახალგაზრდა კაცს, რომელიც სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა, ძალიან უჭირდა, მაგრამ არასდროს წუწუნებდა. ჩვენ თავიდანვე საერთო საქმე დაგვაახლოვა, — ერთად ვმჯგობრდით, ვკამათობდით, ვკითხულობდით. შემდგომში, როდესაც იგი მამას ასპირანტი გახდა, უფრო მეტად დაეახლოვდით. მინდა გითხრათ, რომ მან დღემდე შეინარჩუნა ძველებური ენერჯია და საქმისადმი ინტერესი. უამრავი საინტერესო წიგნი აქვს დაწერილი, ამიტომ დღეს, 90 წლის ასაკში, მას ბევრი აქვს მოსაყოლი და გასახსენებელი. როგორც კოლეგა, თანამშრომელი და მეგობარი, ყოველთვის ვაძველებ თვალყურს მის საქმიანობას და სიამოვნებით ვულოცავ იუბილეს“, — ასე მიესალმა მზექალა შანიძე იუბილარს. როგორც ცნობილია, ზურაბ ჭუმბურიძე არაერთი უცხოელი ქართველოლოგიის პედაგოგი იყო. სახეიმი ლონისძიებზე თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორმა მაია ლომიამ დამსწრე საზოგადოებას გააცნო უცხოელი ქართველოლოგების მილოცვები და შეფასებები, რომლებიც იუბილარმა ამ მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით მიიღო. ოლდენბურგის უნივერსიტეტის პროფესორის, თსუ-ის საპატიო დოქტორის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრის ვინფრედ ბოედერის მილოცვა: „ბატონო ზურაბ, უმჯობესი იქნებოდა, რომ 90-ე წლის იუბილზე გულითადი მრავალჯამიერი მეტყველება თქვენთვის, მაგრამ შორიდან თქვენს დღესასწაულზე შეგიძლია მხოლოდ დავეწერო, როგორც მაცვიფრებელი თქვენი შემოქმედება. ჩემთვის ხართ ქართველი ენათმეცნიერთა ტრადიციის განსაკუთრებით შთაბეჭდავი წარმომადგენელი, ენათმეცნიერთა, რომელთაც სწავლით ქართველოლოგიის მთელი სპექტრის მოცვა. ძველი ქართული ტრადიციის მეორე დამახასიათებელი, როგორც ამ ამა თქვენს ნაშრომებში ვხედავ, არის მეცნიერების პასუხისმგებლობა ქართული ენობრივი კულტურის მიმართ საზოგადოებაში, პასუხისმგებლობა, რომელიც გამოხატულია თქვენს მრავალრიცხოვან, მეცნიერების პოპულარიზების მიზნით დაწერილ ნაშრომებში, რომელთა საფიქრალი არა მხოლოდ დედაქალაქი, არამედ ქართული სოფელიცაა. ვფიქრობ, თქვენ ორივე თვალსაზრისით მისაბაძი მაგალითი ბრძანდებით ახალგაზრდა თაობისთვის, რომელიც ვაჟკაცურად ცდილობს, არ დაეკარგოს ქართველოლოგიის მთლიანი დიაპაზონი იმ სამყაროში, რომელიც ახალგაზრდა მეცნიერებს ვინრო სპეციალიზებას აძიებებს, რომლის შედეგები საზოგადოებისთვის უფრო და უფრო გაუგებარი ხდება. თქვენ ამ თვალთახედვითაც იმსახურებთ ჩვენს განსაკუთრებულ მადლიერებას, კერძოდ, გეზის შენარჩუნებისთვის, რასაც თითქმის სამოცდაათი წელია მისდევთ. და ბოლოს,

გისურვებთ, რომ არა მარტო მეცნიერებაში, არამედ სასიცოცხლო ძალაშიც მიბადოთ თქვენს მასწავლებელს, აკაკი შანიძეს და კიდევ დიდხანს იყოთ ჩვენს გვერდით“, — აღნიშნულია ვინფრედ ბოედერის მისალოც წერილში.

ზურაბ ჭუმბურიძეს შორეული უცხოეთიდან 90 წლის იუბილე მიულოცეს ისრაელის არიელის უნივერსიტეტის პროფესორმა რეუვენ ენობმა (რუბენ ენუქაშვილი), ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის პროფესორმა, თსუ-ის საპატიო დოქტორმა ჰაინც ფენრიხმა. საიუბილეო ლონისძიებას დაესწრო იაპონელი ქართველოლოგი, ბატონი ზურაბის მონაფე იასუჰარო კუჯიმა, რომელმაც მადლიერებით გაიხსენა თსუ-ში მასწავლებლის გვერდით გატარებული წლები.

ზურაბ ჭუმბურიძის 90 წლის იუბილეს მესტიის მუნიციპალიტეტის, სვანეთის ეთნოგრაფიული მუზეუმისა და მესტიის რაიონის ს. ჭუმბურის საჯარო სკოლის ხელმძღვანელებიც გამოეხმაურნენ, რომელთაგანაც იუბილარმა გულთბილი მილოცვები მიიღო. „აკაკის რეგონის პირველი უმაღლეს სასწავლებელში - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტრადიციად ქცეული დამსახურებული აღიარება ღვანწლოვანი მეცნიერებისა წარმოაჩენს ერის სახეს და მისი სიცოცხლისუნარიანობის დასტურიც გახლავთ. განუზომელია ბატონი ზურაბის ღვაწლი ქართველოლოგიური მეცნიერების, მათ შორის სვანური ენის კვლევისა და დოკუმენტაციის საქმეში. სიამოვნებით ვეპატივებთ ბატონ ზურაბს სვანეთში დასასვენებლად, ადგილობრივ მოსახლეობასთან, მოსწავლე-ახალგაზრდობასთან შესახვედრად. ეს მნიშვნელოვანად გაზრდის იმ კონტაქტებს, რომელთაც დიდი ხნის წინ ჩაეყარა საფუძველი, როცა იგი, სრულიად ახალგაზრდა, აგროვებდა და იკვლევდა სვანური ზეპირსიტყვიერებისა და ზეპირ-მეტყველების ნიმუშებს. ვუსურვებთ ბატონ ზურაბს - არაერთი თაობის აღმზრდელსა და მასწავლებელს, სვანეთის დიდ გულ-შემადგენელსა და სვანური ენის მოამაგეს დიდი ხნის სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ნაყოფიერ მოღვაწეობას“. „თითოეული ქართველისთვის ძვირფასია ზურაბ ჭუმბურიძის სახელი ქართველოლოგიის დარგში იმ ღვაწლისა და დამსახურებისთვის, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქართველ ცნობიერებას. დიდი აკაკი შანიძის მონაფე - ბატონი ზურაბ ჭუმბურიძე ნახევარ საუკუნეზე მეტია უძველეს ქართულ ხელნაწერთა ნაკვალევს მიუყვება და ქართველურ ენათა ურთულეს სტრუქტურას იკვლევს, ონომასტიკის საინტერესო სფეროში მოღვაწეობს და ამ საგანძურის თანაზიარს ხდის კოლეგებს, სტუდენტებსა და ფართო საზოგადოებას. სვანეთის ეთნოგრაფიული მუზეუმისა და მესტიის მარგინების სახლ-მუზეუმის თანამშრომელთა სახელით ვულოცავთ არაერთი თაობის აღმზრდელსა და მასწავლებელს, ბატონ ზურაბს, 90 წლის იუბილეს და ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ნაყოფიერ მოღვაწეობას“, — აღნიშნულია

მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და სვანეთის ეთნოგრაფიული მუზეუმის მისასალმებელ სიტყვაში.

მნიშვნელოვანია, რომ ლონისძიებაში აქტიურად ჩაერთნენ სტუდენტებიც, რომლებმაც უშუალოდ მოისმინეს ზურაბ ჭუმბურიძის მოსაზრება სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით: როგორ დაინერა მისი წიგნი „რა გქვია შენ“, რა სირთულეები შეხვდა მეცნიერს სვანური ენის შესწავლასთან დაკავშირებით და სხვა. „თავიდან არ ვფიქრობდი, რომ ენათმეცნიერი ვიქნებოდი, ძალიან მიყვარდა ლიტერატურა, თანდათანობით ჩემი ინტერესები ამ სფეროსკენ (ენათმეცნიერებისკენ) გადაიხარა, ამაში კი დიდი წვლილი მიუძღვით არნოლდ ჩიქობავას, ვარლამ თოფურისას, აკაკი შანიძეს და განსაკუთრებით ნიკო კეცხოველს. რაც შეეხება ჩემი ერთ-ერთი წიგნის შექმნის ისტორიას, ასეთია: თავდაპირველად მუხრან მაჭავარიანის თხოვნით ჟურნალ „პიონერში“ ვაქვეყნებდი ისტორიებს სახელებისა და ტოპონიმების შესახებ. ეს მასალები დამიგროვდა და შემდეგში სერიოზულად მოვეკიდე ამ საქმეს. სწორედ ამ წიგნის დამსახურება იყო ჩემი პოპულარობა. ძალიან გამომართლა, რომ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში და შემდეგაც ისეთ გარემოში და ისეთი ადამიანების გვერდით აღმოვჩნდი, რომლებიც დამეხმარნენ წარმატების მიღწევაში“, — განაცხადა ზურაბ ჭუმბურიძემ.

იუბილარს მიესალმნენ დეკანოზი კონსტანტინე გორგაძე, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე, ენათმეცნიერების ინსტიტუტის სახელით აკადემიკოსი ავთანდილ არაბული, ამავე ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იზა ჩანტლაძე, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სახელით ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მაია რაფაევა, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი, თსუ-ის ემერტუს-პროფესორი დამანა მელიქიშვილი, ჟურნალისტი გვანჯი მანია და სხვები.

„50 წელი, რაც უნივერსიტეტში ვარ, ამ ხნის მანძილზე ზურაბ ჭუმბურიძე ჩემთვის ყოველთვის იყო მაგალითი, თუ როგორ უნდა ვიდგავი სადავანის სადავანოზე, როგორ უნდა ვქონავოდე მას. იგი ყოველთვის, როგორც ხმალოვებული მებრძოლი, აუდიტორიებში თუ სხვადასხვა შეკრებებზე ხმამაღლა ამბობდა თავის სათქმელს, ასეთები ცოტანი იყვნენ. მინახავს ბატონი ზურაბ ჭუმბურიძე მწერალთა კავშირის დარბაზებში, უნივერსიტეტის აუდიტორიებში როგორ ასწავლიდა და იცავდა ქართულ ენას. მინახავს იგი ქართული ენის კომიტეტის კომისიის სხდომაზე... ცხოვრებაში მშვიდი და განონანსორებული პიროვნება, როდესაც ქართული ენის დაცვას ეხებოდა საქმე, ზოგჯერ ნონანსორობასაც კარგავდა და ამალეული ტონით და დიდი შემართებით გამოირჩეოდა. იგი მაგალითად რჩება ჩვენთვის, თუ როგორ უნდა დავიცავთ თავისი ენა თითოეულმა ჩვენგანმა. ადამიანებს წლები აშინებთ, მაგრამ ზურაბ ჭუმბურიძეს, როგორც თავის პედაგოგს აკაკი შანიძეს, წლები მხოლოდ ენერჯიას და შემართებას მატებთ და ჩვენ ეს გვაიმედებს, რომ მომავალ საიუბილეო თარიღებს იგი ასევე მხნედ შეხვდება“, — აღნიშნა თსუ-ის პროფესორმა გიორგი გოგოლაშვილმა.

ლონისძიების ბოლოს ზურაბ ჭუმბურიძემ უნივერსიტეტში გატარებული წლები და თავისი პედაგოგები გაიხსენა. მან დამსწრე საზოგადოებას მადლობა გადაუხადა მისი ღვაწლის დაფასებისთვის. „თუ ჩვენმა თაობამ რაიმე ღირებული შექმნა, ეს მხოლოდ და მხოლოდ უნივერსიტეტის პედაგოგების დამსახურებაა, რომლებიც არ იშურებდნენ ჩვენთვის არც თავიანთ ენერჯიას, დროს და ხშირად სასრებსაც კი, ამიტომ დღეს, ამ გადასახედიდან ქედს ვიხრი ჩემი პედაგოგების, განსაკუთრებით კი ნიკო კეცხოველის ხსოვნის წინაშე, რომელთა წყალობით მე ის ვარ, რაც ვარ!“, — განაცხადა ზურაბ ჭუმბურიძემ.

შურთისია ბაროშვილი



ანტიმოზ ივერიელი და ევროპული განმანათლებლობა: ტექსტები და კონტექსტები

7 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის, ანტიმოზ ივერიელის სახელობის ფილოსოფიისა და თეოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის და რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ხელშეწყობით გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „ანტიმოზ ივერიელი და ევროპული განმანათლებლობა: ტექსტები და კონტექსტები.“ კონფერენციას დაესწრნენ თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი დარეჯან თვალთვაძე, რუმინეთის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი საქართველოში დიმიტრუ ბადეა, საქართველოს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს, საქართველოს საპატრიარქოს და რუმინეთის უნივერსიტეტების წარმომადგენლები. კონფერენცია ანტიმოზ ივერიელის მონამებრივი აღსრულების 300 წლისთავს მიეძღვნა.



საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზატორების ინფორმაციით, კონფერენციის მიზანი იყო რუმინეთისა და საქართველოს დიდი წმინდანისა და საზოგადო მოღვაწის ანტიმოზ ივერიელის როლისა და ადგილის განსაზღვრა თანამედროვე კულტურაში, ანტიმოზ ივერიელის განმანათლებლური ტექსტების სხვადასხვა დისკურსთა (ღვთისმეტყველება, კანონიკა, პატრისტიკა, ფილოსოფია, ქრისტიანული ეთიკა, მორალი, ესთეტიკა, რიტორიკა, ფილოლოგია, ანთროპოლოგია, ისტორია, ხუროთმოძღვრება) კონტექსტებში განხილვა, ანტიმოზ ივერიელის წვლილის განსაზღვრა განათლების, მეცნიერების, ხელოვნების და ხუროთმოძღვრების, საგამომცემლო საქმიანობის, პოლიტიკის და სოციალურ-ეკონომიკურ სფეროებში ევროპული საგანმანათლებლო კონცეპტების განვითარების საქმეში და სხვა.

კონფერენციაზე მოსაზრება გამოთქვა ტომის ეპარქიის მიტროპოლიტმა, თეოლოგიის დოქტორმა, ოვიდიუსის უნივერსიტეტის პროფესორმა მეუფე თეოდოსმა: „ჩემთვის წმინდა ანტიმოზ ივერიელი წარმოადგენს არა მხოლოდ დიდ პიროვნებას სულიერ და კულტურულ სფეროში, არამედ განსაკუთრებული ემოციური დამოკიდებულება მაქვს მასთან, როგორც პიროვნებასთან. 1980-1986 წლებში ვიყავი მგალობელი წმინდა ანტიმოზ ივერიელის მონასტერში, რომელიც კომუნისტურ პერიოდში იყო ერთ-ერთი სულიერების კერა რუმინეთში. ტაძარი ყოველთვის სავსე იყო მრევლით. ის სულიერება, რომელიც იგრძნობოდა იმ დროს, ძალიან მნიშვნელოვანი იყო. 1992 წელს რუმინეთის ეკლესიის წმინდა სინოდმა ოფიციალურად შერაცხა ანტიმოზ ივერიელი წმიდანად და ყველა ის ადგილი, სადაც იგი მოღვაწეობდა, სულიერების კერა გახდა და ეს დღემდე ასეა. წმინდა ანტიმოზ ივერიელი ის წერდა, რომელიც დარგული იყო რუმინეთის მიწაზე და რომელიც ისეთი ნაყოფი მოიხსა, რომ შეიძლება თამამად ითქვას — იგი სხვა რუმინელებზე უფრო დიდი რუმინელი იყო. სწორედ მისი წყალობით დაიწყო რუმინეთის ეკლესიის რუმინულ ენაზე ღვთისმსახურება, რუმინულ ენაზე დაბეჭდა 22 წიგნი... შეიძლება ითქვას, რომ მისი მოღვაწეობის პერიოდი ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ, ვინაიდან სულ მოკლე ხანში მოახერხა იმდენი რამის გაკეთება, რასაც სხვა ადამიანი 100 წლის მანძილზე ვერ შეძლებდა. წმიდა ანტიმოზ ივერიელი დღემდე აკავშირებს ქართველ და რუმინელ ხალხს, — განაცხადა მეუფე თეოდოსმა.

კატალინა მიტიტელუ — თეოლოგიის დოქტორი, კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი თემით: „ახალი კვლევები მიტროპოლიტ ანტიმოზ ივერიელის რუმინელი მოწაფისა და მიმდევრის მიხედვით იმპერატორის საგამომცემლო საქმიანობის შესახებ ვლახეთსა და საქართველოში“; დეკანოზი ალექსი ქუჭუაშვილი — თეოლოგიის დოქტორი, თსუ-ის მონვეული პროფესორი თემით: „წმინდა ანტიმოზ ივერიელი, როგორც განმანათლებელი, სულიერი მოძღვარი და საეკლესიო კანონისტი“; ანასტასია ზაქარიაძე — ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ის პროფესორი, ანტიმოზ ივერიელის სახელობის ფილოსოფიისა და თეოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი თემით: „ანტიმოზ ივერიელის მორალის ფილოსოფია და ადრეული ევროპული განმანათლებლობის გამოწვევები“; საეუ ტოტუ — ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი, ბუქარესტის უნივერსიტეტის პრაქტიკული ფილოსოფიისა და ფილოსოფიის კათედრის გამგე თემით: „წმინდა ანტიმოზ ივერიელი — თეოლოგია, ენა და კულტურა“; ვიურელ ვიზურეანუ — ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი, ბუქარესტის უნივერსიტეტის ფილოსოფიის აკადემიის სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი (ბუქარესტი) თემით: „ანტიმოზ ივერიელის მონასტრის მრავალმხრივი მნიშვნელობა რუმინული კულტურისათვის“; იონა ფედოროვი — ფილოსოფიის დოქტორი, რუმინეთის აკადემიის სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი (ბუქარესტი) თემით: „ანტიმოზ ივერიელის მონასტრის მრავალმხრივი მნიშვნელობა რუმინული კულტურისათვის“; იონა ფედოროვი — ფილოსოფიის დოქტორი, რუმინეთის აკადემიის სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი (ბუქარესტი) თემით: „ანტიმოზ ივერიელის მონასტრის მრავალმხრივი მნიშვნელობა რუმინული კულტურისათვის“; იონა ფედოროვი — ფილოსოფიის დოქტორი, რუმინეთის აკადემიის სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი (ბუქარესტი) თემით: „ანტიმოზ ივერიელის მონასტრის მრავალმხრივი მნიშვნელობა რუმინული კულტურისათვის“.

ოვიდიუსის უნივერსიტეტის პროფესორი და ბოგდან კირილუცა — ოვიდიუსის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ტომის ეპარქიის კულტურულ საქმეთა მრჩეველი თემით: „ანტიმოზ ივერიელის ქადაგებებისა და მათი თემატიკის შესახებ“; ვიქტორ ოპასკი — ფილოსოფიის დოქტორი, რუმინეთის რელიგიის საკითხთა სახელმწიფო მდივანი თემით: „წმინდა ანტიმოზ ივერიელი — განსაკუთრებული ღვაწლი რუმინეთის განახლების საქმეში“; არქიმანდრიტი პოლიკარპე ჩიტულესკუ — თეოლოგიის დოქტორი, რუმინეთის პატრიარქის მრჩეველი, წმინდა სინოდის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი თემით: „ახალი ინფორმაცია წმინდა მამისა და წამებულის ანტიმოზ ივერიელის შესახებ“; კონსტანტინ ტოტუნესკუ — ფილოსოფიის დოქტორი, ბუქარესტის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის პროფესორი თემით: „ანტიმოზ ივერიელი და რუმინული ჰუმანიზმის განვითარება“; დეკანოზი დინუ პომპალიუ — თეოლოგიისა (დოგმატიკური აპოლოგიკა) და ფილოსოფიის დოქტორი, ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის წინამძღვარი თემით: „წმინდა წერილის პატრისტიკული ინტერპრეტაცია უნგრულ-ვლახეთის მიტროპოლიტის წმინდა ანტიმოზ ივერიელის თხზულებებში (1709-1716); ბერდიაკონი გამალიერ სიმა — თეოლოგიის დოქტორი, ანტიმის მონასტრის არქიდიაკონი თემით: „ანტიმოზ ივერიელის ორატორული ხელოვნება“; გოჩა ბარნოვი — თეოლოგიის დოქტორი, თსუ-ის მონვეული პროფესორი თემით: „დოგმატი და თეოლოგია“; მამუკა დოლიძე — თსუ-ის პროფესორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი თემით: „არისტოტელეს უნივერსიტეტის თეორია და ანტიმოზ ივერიელის თეოლოგიური კონცეფცია“; ირაკლი ბრაჭული — თსუ-ის პროფესორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, ეთიკისა და რელიგიის ფილოსოფიის კათედრის ხელმძღვანელი თემით: „მეტაფიზიკა“ და „რელიგია“ ანტიმოზ ივერიელის ანთროპოლოგიურ კონცეფციაში“; ნინო ბაგრატიონ-დავითაშვილი — თსუ-ის ენათა ცენტრის მასწავლებელი, ფილოსოფიის დოქტორი თემით: „ანტიმოზ ივერიელის ტექსტების ქართულ ენაზე თარგმანის ზოგიერთი თავისებურების შესახებ“; არჩილ მეტრეველი — სამართლის დოქტორი, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი თემით: „საქართველოს რელიგიური პოლიტიკის ინსტიტუციონალიზაცია — თანამედროვე ევროპული და საერთაშორისო კონტექსტები“; თეიმურაზ ბუაძე — თეოლოგიის დოქტორი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი თემით: „განმანათლებლობის რელიგიურ-ფილოსოფიური საფუძვლები“; ეკა ჩიკვაძე — ასოცირებული პროფესორი, თსუ-ის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომელი თემით: „ანტიმოზ ივერიელი და განმანათლებლობა — კულტუროლოგიური ასპექტები“ და სხვა.

სამეცნიერო კონფერენციის გახსნაზე ანტიმოზ ივერიელის ღვაწლზე და მის მოღვაწეობაზე ისაუბრეს რუმინეთისა და საქართველოს საეკლესიო მოღვაწეებმა და სამეცნიერო წრის წარმომადგენლებმა. ანტიმოზ ივერიელი წმინდანად არის შერაცხული და აღიარებულია, როგორც რუმინეთის გამორჩეული მოღვაწე. თავისი მოღვაწეობის მანძილზე ანტიმოზ ივერიელმა უამრავი რამ გააკეთა საქართველოსთვის. აღსანიშნავია, რომ დღეს კიდევ უფრო მეტად იზრდება მისი მისია, ეს გამოიხატება მისსავე დატოვებულ მემკვიდრეობაში, წლებიდან იუბილე საქართველოში აღინიშნა იმით, რომ პირველად გამოიცა მისი ქადაგებები, რაც მეტყველებს, რომ იგი აგრძელებს ქართველი ერის მსახურებას. მისი ქადაგებები აქტუალურად ეხმარება იმ პრობლემებს, რომელიც თანამედროვე საზოგადოების წინაშე დგას და იგი ამავე დროს გვევლინება ამ პრობლემების გადაჭრის საქმეში ერთერთ უდიდეს ავტორიტეტად, — განაცხადა ჟი-ათურისა და საჩხერის მიტროპოლიტმა, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის თავმჯდომარე მეუფე დანიელმა.

საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზატორის, თსუ-ის ფილოსოფიის ინსტიტუტის პროფესორის, ანტიმოზ ივერიელის სახელობის ფილოსოფიისა და თეოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელის ანასტასია ზაქარიაძის ინფორმაციით, კონფერენცია მომზადდა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ხელშეწყობით, რამაც საშუალება მისცა მათ მაღალ დონეზე ჩატარებინათ სამეცნიერო ფორუმი. „დღეს თსუ-ში საზეიმო დღეა. წელს მთელი მსოფლიო ზეიმობს წმიდა ანტიმოზ ივერიელის მონამებრივი აღსასრულის 300 წლისთავს და ჩვენც მოგვეცა საშუალება გაგვემართა ასეთი მნიშვნელოვანი ღონისძიება. რუმინეთიდან გვესტუმრნენ მაღალი დონის სამეცნიერო და სასულიერო სფეროს წარმომადგენლები, რომლებიც განიხილვენ მნიშვნელოვან საკითხებს ანტიმოზ ივერიელის შემოქმედებას ყველა ასპექტით. აღსანიშნავია, რომ პირველად ითარგმნა ქართულ ენაზე ანტიმოზ ივერიელის თხზულებების კრებული, რომელიც გამოიცა თსუ-ის პროფესორების კომენტარებით. ამან საშუალება მოგვცა, ქართული სამეცნიერო წრეები უფრო ღრმად და საფუძვლიანად გასცნობოდნენ ანტიმოზ ივერიელის შემოქმედებას. ამიტომ ქართველი მეცნიერები დღეს ღირსეულად არიან წარმოდგენილი ამ კონფერენციაზე და რუმინელ მეცნიერებთან ერთად განიხილვენ ამ ტექსტებს თანამედროვე კონტექსტში“, — განაცხადა ანასტასია ზაქარიაძემ.

კონფერენციაზე მოხსენებებით წარსდგინეს ნიკოლაე ვ. დურა — კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორი, რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, თსუ-ის საპატიო დოქტორი/

აღსანიშნავია, რომ ღონისძიების ფარგლებში გაიმართა გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო ანტიმოზ ივერიელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ექსპონატები, მის შესახებ გამოქვეყნებული პუბლიკაციები და ბიბლიოთეკაში დაცული წიგნები.

მომზადდა შპრისხია პიროპილიმა



კანცლერობის კანდიდატები და მათი პრიორიტეტები

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცლერის არჩევნები რამდენჯერმე გადაიდო. ბოლო მონაცემებით, კანცლერის შერჩევის პროცედურები დაიწყება მას შემდეგ, რაც თსუ-ის წესდებაში ახალი ცვლილებების გათვალისწინებით შემთხვევაში აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების შემადგენლობა გაიზრდება. ამ ეტაპისთვის კი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან ელიან ამ საკითხზე თანხმობას. სწორედ ამიტომ გადაიდო კვლავ კანცლერის შერჩევის საკითხი.

ცნობისთვის: კანცლერობის კანდიდატთა რეგისტრაცია 13 მაისს დასრულდა. რეგისტრაცია გაიარა 6-მა კანდიდატმა: ვახტანგ ანთიაშვილი, შოთა ჭანტურაძე, ალექსანდრე ჩხიტიარაძე, იოსებ მასურაშვილი, არჩილ კუკულაშვილი, ნუნუ ოვსიანიკოვა.

გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ აქვეყნებს კანცლერობის კანდიდატთა ბიოგრაფიულ მონაცემებს და პასუხს ერთ კითხვაზე: რა ძირითადი პრიორიტეტებია წარმონიშნული მათ საარჩევნო პროგრამაში.

პრიორიტეტები

— თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინაშე მდგარი ამოცანების პრაქტიკის კონკრეტულ ენაზე ამტყველებს ვერ მოვახერხებთ, ბიუჯეტის პრიორიტეტების განსაზღვრა-ფორმირების პროცესის კვალიფიციური, კომპეტენტური, ლია და კეთილსინდისიერი მენეჯმენტის გარეშე. საბიუჯეტო პროცესის ოპერირებისას უნდა გავითვალისწინოთ ორი საკვანძო მომენტი — ეფექტიანობა და სამართლიანობა. ამ მიდგომების რეალიზაცია შეუძლებელია გამჭვირვალობის, პროცესებში stake holder-ების, მთავარი აქტორების — სტუდენტების, აკადემიური პერსონალის და მეცნიერ-მკვლევების ინფორმირებულობაზე დაფუძნებული ჩართულობის გარეშე.

ამ მიმართებით შექმნილია ერთობ პარადოქსული სიტუაცია. უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელს, რომელმაც ეს ფუნქცია სულ რამდენიმე თვის განმავლობაში უნდა შეასრულოს, ირჩევს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მთელი აკადემიური პერსონალი, ხოლო კანცლერს და რექტორს თხუთმეტკაციანი აკადემიური საბჭო. რეგულაციის ეს ნორმა უნდა შეიცვალოს.

აუცილებელია გამოვიყენოთ შიგა და გარე გარემოს შეფასების ერთ-ერთი აპრობირებული მეთოდი — SWOT ანალიზი, სკრუპულოზურად შევისწავლოთ აკადემიური დაწესებულების, მისი ორგანიზაციული სტრუქტურის, მწარმოებლური ფაქტორების ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები.

კონკრეტული ზედა ხელს შეუწყობს უნივერსიტეტში დაგროვილი სისტემური პრობლემების რეალისტურ აღქმა-გაცნობიერებას, იდენტიფიცირებას. ერთად უნდა შევცვალოთ სასურველის რეალობად წარმოჩენის შესაძლებლობის გარეშე, საუნივერსიტეტო აკადემიური პერსონალის და სტუდენტური თემისთვის თვალში „ნაცრის შეყრის“, სამუშაოდ, მყარად დამკვიდრებული პრაქტიკა, რაც თავისი არსით, წარმოადგენს ნებისმიერი საქმიანი ორგანიზაციის რყევის და დესტაბილიზაციის უმთავრეს წყაროს და ფაქტორ-პირობას. ამის დადასტურება უნივერსიტეტში დღეს მიმდინარე „დუღილის“ პროცესი.

უნივერსიტეტის ბიუჯეტი არ უნდა იყოს მორგებული ცალკეული პრობლემების, ვინაო ინტერეს-ჯგუფების პირად საჭიროებებს და არ უნდა იქცეს მათი შედონისტური ელფერის მქონე სურვილების რეალიზაციის ინსტრუმენტად. უნივერსიტეტის ფინანსების განკარგვის მექანიზმი უნდა დაეფუძნოს თანაბარი ხელმისაწვდომობის, კონკურენციისა და შეჯიბრებითობის პრინციპებს. სტუდენტური პრობლემების დაფინანსება უნდა განხორციელდეს კონკურენტული საფუძველზე, სპეციალიზებული საბჭოს მიერ, რომელშიც აუცილებლად იქნებინა წარმოდგენილი სტუდენტებიც.

უნივერსიტეტის მოდერნიზაციის უმნიშვნელოვანესი მიმართულება გახდება ენების სწავლების კომპონენტის გაღრმავება-გაძლიერება.

საბიუჯეტო პროცესის მართვის ერთ-ერთი უსერიოზულესი ნაკლოვანებაა, მისი ფორმირების პროცესის უკიდურესად დახურული, არატრანსპარენტული ხასიათი, როგორც მისი ფორმირების, ასევე დამტკიცების შემდგომ ეტაპზე. ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის მიღების ერთადერთი ლეგიტიმური და ხელმისაწვდომი წყაროა თსუ-ის ვებ-გვერდი. ორგანიზაციის 2016 წლის ნაერთი ბიუჯეტი, რომელიც შეადგენს 83 599 954 ლარს, საერთოდ არ იქნებოდა, ხოლო რაც შეეხება 2013 და 2015 წლების ნაერთ ბიუჯეტებს, წარმოდგენილია 2 გვერდზე. სტუდენტების სამართლიანი, საფუძვლიანი უკმაყოფილება და მძაფრი პროტესტი, რამაც უნივერსიტეტში წლების მანძილზე დაგროვილი პრობლემების ლუსტრაცია მოახდინა, დეტონირებული იყო სწორედ საბიუჯეტო პროცესის გაუმჭვირავლე ბუნებით. საბიუჯეტო პრიორიტეტების ფორმირების სისტემის მენეჯმენტი რადიკალურად უნდა შეიცვალოს.

ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი უნდა გახდეს განსაკუთრებით ნიჭიერი, პასუხისმგებელი და მაღალი აკადემიური შედეგების მქონე, ასევე სოციალურად დაუცველი სტუდენტების უნივერსიტეტის ხარჯზე სწავლების საფასურის ნაწილობრივი ან სრული დაფინანსების გამჭვირვალე, სამართლიანი მექანიზმების დანერგვა.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს შეზღუდული შესაძლებლობების კატეგორიის სტუდენტები, მათზე ზრუნვა და საუნივერსიტეტო გარემოში სრულყოფილი ინტეგრაცია. აუცილებელია ინფრასტრუქტურის ადაპტაცია

მათი საჭიროებების შესაბამისად. ჯეროვნად უნდა დაფასდეს ამ ადამიანების განსაკუთრებული ძალისხმევა და ბიუჯეტიდან მოხდეს სწავლის საფასურის დაფინანსება. აი, რაში უნდა იხარჯებოდეს უნივერსიტეტის რესურსები.

სერიოზული პრობლემა რეგიონებიდან ჩამოსული სტუდენტების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა. უნდა ვიზრუნოთ გაპარტახებული და წლების მანძილზე უყურადღებოდ დარჩენილი სტუდენტების რეაბილიტაციაზე, სტუდენტებისთვის ნორმალური საყოფაცხოვრებო გარემოს შექმნაზე.

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს, ასევე უნივერსიტეტის ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მჭიდრო თანამშრომლობით, შესაძლებელია ერთობლივი პროექტების — ტექნოპარკების რეალიზაცია. უნივერსიტეტის ბაზაზე, შესაბამის სტრუქტურებთან ერთად — უნივერსიტეტი, სახელმწიფო, კერძო სექტორი, უნდა შექმნას ე.წ. ბიზნეს-ინკუბატორები, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების სამეცნიერო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას და მათში ანტიკორუპციული სულისკვეთების ფორმირებას. აუცილებელია საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული ახალი, ინოვაციური სტარტაპების სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამაში ინკორპორირება.

მიზანშეწონილად მიმაჩნია მოხდეს უნივერსიტეტის ინტეგრირება სამთავრობო პროგრამაში — „ანარმო საქართველოში“ და მას ცალკე კომპონენტად დაემატოს პროექტი — „ანარმო თსუ-ში“ (უნივერსიტეტის ფინანსური, მატერიალური, ადამიანური რესურსების თანამშრომლობით).

საგრძობლად გაიზარდა მოთხოვნა, ქვეყანაში არსებული ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით განსახორციელებელ სოციოლოგიურ კვლევებზე. სახელმწიფო სათანადოდ არ იყენებს უნივერსიტეტის სოციოლოგიის მიმართულების აკადემიური პერსონალის, მეცნიერ-მკვლევარების გამოცდილებას, სტუდენტების პოტენციალს. ამ მიმართულებით უნდა გაიზარდოს აქტივობა.

სავალალო მდგომარეობაშია მაღლივი კორპუსი და სხვა სასწავლო კორპუსები. განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება უნივერსიტეტის შემოერთებულ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს. სერიოზული ახივებები უნდა მოხმარდეს მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებას და სათანადო ინოვაციური ტექნოლოგიებით აღჭურვას.

ბიუჯეტის ხარჯვითი სემინტის საკვანძო მომენტია სხვადასხვა მიმართულებების და პროგრამების უზრუნველყოფა უახლესი, მსოფლიოში აპრობირებული სახელმძღვანელოების ქართული თარგმანებით.

სერიოზული აქცენტები უნდა გაკეთდეს საუნივერსიტეტო ჰუმანიტარული მიმართულებების დაფინანსების სირთულეებზე, მათი განსაკუთრებული სპეციფიკის გამო. ფინანსური შემოსავლების სოლიდური ნაწილი უნდა მოხმარდეს ამ დიდი ტრადიციების მქონე სამეცნიერო სკოლების რეაბილიტაცია-განვითარებას. ამ საკითხში მხოლოდ საბაზრო პრინციპებზე და კონიუნქტურაზე დაყრდნობა გაუმართლებელია.

არჩილ კუკულაშვილი ბიოგრაფიული ცნობები

არჩილ კუკულაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი



1997-2002 წლებში სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში, სადაც მიენიჭა სამართალმცოდნეობის (სპეციალობა/იურისტის) კვალიფიკაცია;

2004-2005 წლებში მუშაობდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ომბუდსმენის სამსახურში მთავარი სპეციალისტად; 2005-2010 წლებში კი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსი სპეციალისტად, მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებლად, მთავარი სპეციალისტად;

2010 წელს იყო განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის საინფორმაციო და მობილობის დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი; 2010 წლიდან დღემდე არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი.

არჩილ კუკულაშვილი 2001 წელს იყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სახელმწიფო სამართლებრივი ოლიმპიადის — „ადამიანი და კონსტიტუცია“ — სერტიფიცირებული მონაწილე (მოიპოვა ნომინაციის — „ოლიმპიადის გამორჩეული მოსამართლე“ — სიგელი);

2003 წელს წარმატებით ჩააბარა პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა და მიენიჭა საქართველოს იუსტიციის საბჭოს სერტიფიკატი;

2004 წელს ასევე წარმატებით ჩააბარა ადვოკატთა ტესტირება საერთო სპეციალიზაციით და მიენიჭა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სერტიფიკატი; გავლილი აქვს ტრენინგი - S.Ce „Structure and Functions of an Office of Inspector Generals“ (სერტიფიკატი, 2006 წ.);

იყო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი — 2011 წ. (სტატუსი შეჩერებულია სახელმწიფო დაწესებულებაში დასაქმების მიზეზით).

პრიორიტეტები

— სახელმწიფოს არსებობის მდგრადობისა და განვითარების ერთ-ერთი ძირითადი მხარდამჭერი და უზრუნველყოფი განათლებისა და მეცნიერების სისტემაა. შესაძლებელია ითქვას, რომ ხსენებული სისტემაში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს უჭირავს საკმაოდ დიდი სივრცე და უნივერსიტეტის საქმიანობის სტაბილურობა და წარმატებულობა სახელმწიფოს (ქვეყნის) წინაშე არსებული ვალდებულების სრულყოფილად შესრულების საკმაოდ საფუძვლიანი გარანტიაა.

ზემოაღნიშნული მისიის არსიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი, როგორც სტრუქტურულად, ისე თვისობრივად საკმაოდ დიდი ორგანიზაცია. უნივერსიტეტის პერსონალი განისაზღვრება თემატურად, როგორც აკადემიური, სამეცნიერო, პედაგოგიური, ადმინისტრაციული, საქმიანობის ადმინისტრაციული დატვირთვის მქონე დამხმარე და წმინდა დამხმარე ფუნქციით აღჭურვილი პერსონალად. ყოველწლიურად მიმდინარეობს და ხორციელდება სხვადასხვა სახის, შინაარსისა და დატვირთვის პროექტი.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, მისი სტაბილური და ეფექტიანი მართვის ფაქტორს, სტრატეგიული, ხშირად გადაამწყვეტი ადგილი უჭირავს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო მიმართულების საქმიანობის რაც შეიძლება მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციული რესურსი ნაწილდება ადამიანურ, მატერიალურ და ფინანსურ რესურსებად. ადმინისტრაციული მართვის პრინციპებიდან გამომდინარე, სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს დასახული მიზნების მიღწევისათვის სამივე ზემოხსენებული კატეგორიის რესურსის ოპტიმალურ, თანაზომად, მიზნობრივ და ადეკვატურ მართვას.

კარგი მენეჯმენტის (საქმიანობის სტაბილურობისა და პროგრესულობის მიზნით წარმოშობილი წინადადებები, იდეები და მათი რეალიზება) უზრუნველყოფა, გარდა მისი სხვა მახასიათებლებისა, მოიცავს არსებული კანონმდებლობისა (მოქმედი ნორმატიული აქტები) და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების მოთხოვნების დაცვის ვალდებულებასაც, რაც ზოგიერთ შემთხვევაში ოპტიმალური მენეჯერული გადაწყვეტილების სრულყოფილად განხორციელების საშუალებას არ იძლევა.



კანცლერობის კანდიდატები და მათი პრიორიტეტები

მერვე გვერდიდან

• უცხოური სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე თარგმნის პროგრამის გაფართოება; უნივერსიტეტის გამომცემლობის მონაწილეობა აშშ საელჩოს მიერ გამომცემლობებისთვის გამოცხადებულ „ნიგნის თარგმნის“ ყოველწლიურ პროექტში;

• თსუ-ის შესაბამისი ადმინისტრაციული დეპარტამენტების მიერ სტუდენტური ინოვაციური პროექტების კონკურსების სტიმულირება/ორგანიზება;

• საუნივერსიტეტო სამეცნიერო-ტექნოლოგიური პარკის განვითარების სტიმულირება (ქ. თბილისის მერიასთან პარტნიორობით და უნივერსიტეტის თანადაფინანსებით შექმნილი ბიზნეს-ინკუბატორის, FAB-LAB-ის, სისტემატური მონიტორინგი და განვითარება);

• სტუდენტების საერთაშორისო ღონისძიებებში (კონკურსებში, კონფერენციებზე, სემინარებზე, სეზონურ სკოლებში და ა.შ.) მონაწილეობისთვის თანადაფინანსება;

• სტუდენტების და აკადემიური პერსონალის შიდა საუნივერსიტეტო ეთიკის კოდექსის განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;

• კოპულარიზაციის და გარეკვეთი შემოსავლების მიღების მიზნით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბრენდირებული ატრიბუტიკის (ბროშურები, ლაზარალები, მისალოცი ბარათები, საკანცელარიო და სხვა ნივთები) დამზადება/რეალიზაცია;

• თსუ-ის შესაბამისი ადმინისტრაციული სამსახურების მიერ საგრანტო პროექტების დანერგვა და მათი საკონკურსოდ წარსადგენად საჭირო გზამკვლევის მომზადება და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსება — ამის შესახებ სტუდენტების და აკადემიური პერსონალის ინფორმირება (ელ-ფოსტით, შეხვედრებით) და მხარდაჭერა/თანადაფინანსება;

• ადმინისტრაციულად დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულების თანამშრომელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების მიზნით კომპეტენციის გაღრმავება/კვალიფიკაციის ამაღლება (ტრენინგებით და ა.შ.);

• საერთაშორისო პრაქტიკაში არასახელმწიფო სისტემაში ფართოდ გავრცელებული დაგროვებითი საპენსიო სისტემის ფორმაციის დანერგვა;

• თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ პარტნიორ უნივერსიტეტებთან და სხვა ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსება (შესაძლებლობის ფარგლებში, იურიდიული კონსულტაციის შედეგად);

— უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსების ეტაპობრივი კაპიტალური რემონტი, ინფრასტრუქტურის გამართვა და თანამედროვე სასწავლო პირობებზე მორგება, ახალი ტექნიკით და ტექნოლოგიებით აღჭურვა — ქველმოქმედი ადამიანების და სახელმწიფოს დახმარებით;

— თსუ-ის სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში ყოფითი პირობების გაუმჯობესების მიზნით, შიდა ინფრასტრუქტურის მონერგება; სტუდენტთა ახალი საერთო საცხოვრებლის მშენებლობის ორგანიზაციული საკითხების დაჩქარება და ოპტიმალურად მცირე დროში დასრულება;

— ელექტროენერგიაზე და გაზომობარაგებაზე დანახარჯების მინიმიზაციის მიზნით მზის სისტემის ელემენტების დამონტაჟება უნივერსიტეტის კორპუსებზე (ეტაპობრივად ყველა სასწავლო კორპუსზე), რაც ყოველწლიურად მნიშვნელოვან ეკონომიას მისცემდა თსუ-ის ბიუჯეტს.

წესო მსიანიკოვას ბიობრაზიული ცნობები

იურიდიულ და ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი



დაამთავრა თსუ-ის ქიმიის ფაკულტეტი ქიმიკოსის სპეციალობით, რის შემდეგაც სწავლობდა თსუ-ის ასპირანტურაში ორგანული ქიმიის განხრით და დაცვა საკანდიდატო დისერტაცია;

სწავლობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში სამართალმცოდნე სპეციალობით, რომლის დასრულების შემდეგაც დაცვა საკანდიდატო დისერტაცია.

ფლობს დოცენტის სამეცნიერო ხარისხს. 1981-1996 წლებში იყო თსუ-ის ორგანული ქიმიისა და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრის დოცენტი, უფროსი მასწავლებელი, ლაბორანტი, ასპირანტი, თსუ-ის ახალგაზრდული ორგანიზაციის კომიტეტის მდივნის მოადგილე, ფლობდა სხვადასხვა პარტიულ თანამდებობას; 1996-1998 წლებში მუშაობდა სახელმწიფო კანცელარიის ეროვნებათაშორის ურთიერთობის განყოფილების უფროსად, ადგილობრივი მმართველობისა და რეგიონალური პოლიტიკის საკოორდინაციო სამსახურის უფროსის მოადგილედ;

1998-2003 წლებში იყო თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს თავმჯდომარე;

2003-2006 წლებში მუშაობდა დაიწყო თსუ-ის ორგანული ქიმიისა და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრის დოცენტად;

2005 წელს იყო სოფლის მეურნეობის სამინისტროს კვების პროდუქტების ექსპერტიზისა და მონიტორინგის სამსახურის ლაბორატორიის უფროსი;

2006-2009 წლებში იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი; 2009 წლიდან დღემდე — არის ამავე უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

2006 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიის უფროსია;

1985 წელს აირჩიეს ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრად;

2003 წელს მიენიჭა ნამდვილი სახელმწიფო მრჩევლის საკლასო ჩინი;

არის 75 ნაშრომის, მათ შორის, 4 წიგნის ავტორი.

პრიორიტეტები

— ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოგვიდგება, როგორც თანამედროვე მსოფლიოს სა-მეცნიერო-საგანმანათლებლო სივრცის წევრი, განვითარებული სასწავლო და სოციალური ინფრასტრუქტურით, მატერიალური ბაზითა და საფინანსო სისტემით, რომელიც მის სტრატეგიულ განვითარებას უზრუნველყოფს. ადმინისტრაციული მართვის სეგმენტი მოიცავს მატერიალური, ფინანსური, ადამიანური რესურსების ხარისხიანად და ეფექტურად მართვას. მათი რეალიზაციისთვის მნიშვნელოვანია, თანამედროვეულად განხორციელდეს უნივერსიტეტის სტრატეგიის შესაბამის ამოცანათა იდენტიფიცირება, მართვის ახალი სისტემების დანერგვა, მომხმარებელზე ორიენტირებული ტექნიკური და ადმინისტრაციული რესურსებით უზრუნველყოფა, ინოვაციური ინფრასტრუქტურის შექმნა.

საუნივერსიტეტო სივრცე საერთო მიზნით დაკავშირებულ პროფესორთა და სტუდენტთა ერთობლივად გვევლინება და უნივერსიტეტის ავტონომიურობის, აკადემიური თავისუფლებისა და კორპორატიული ეთიკის დაცვის პრინციპებს ემყარება.

ადმინისტრაციული მართვის სისტემების ეფექტიანობას მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ მართვაში სტრატეგიულ მიზნებსა და ოპერატიულ ამოცანებს შორის მჭიდრო კავშირი, მიზნებით მართვის სისტემის დანერგვა და შედეგზე ორიენტირებული მენეჯმენტის განხორციელება. ამასთან, აუცილებელია ჩამოყალიბდეს ისეთი ეფექტური ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც იძლევა საშუალებას შეიქმნას გადაწყვეტილების მიღების, დაგეგმვის, სამუშაოთა კოორდინირების, განხორციელების, მონიტორინგისა და კონტროლის მოქნილი სისტემა. მართვის სისტემების სრულყოფისას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ადამიანური რესურსების განვითარებასა და პერსონალის მართვის სრულყოფას. ამდენად, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურისა და ადამიანური რესურსების პოტენციალის უნივერსიტეტის მიზნებსა და სტრატეგიასთან შესაბამისობა და თანამედროვე კონცეპტუალურ-მეთოდურ პრინციპებზე პერსონალის მართვის ერთიანი სისტემის შექმნა. აღსანიშნავია, რომ ფინანსური ავტონომიურობა მნიშვნელოვნად განაპირობებს, ზოგადად, საუნივერსიტეტო სივრცის ავტონომიურობას და მის გარანტიად გვევლინება. უნივერსიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების განხორციელება საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკისა და საბიუჯეტო პროცესის მართვის სრულყოფის საქმეში, ძირითადად, დამოკიდებული უნდა იყოს უნივერსიტეტის, სტრატეგიულ პრიორიტეტებზე

გათვლილ ბიუჯეტსა და ფინანსურ რესურსებზე. აუცილებელია, უზრუნველყოფილი უნივერსიტეტის ცენტრალურ ადმინისტრაციასა და სხვა სტრუქტურულ ერთეულებს შორის პასუხისმგებლობის შემდგომი დეცენტრალიზაცია-დეცენტრალიზაცია, მათ შორის, საბიუჯეტო სისტემის მეშვეობითაც. ამ პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობის მონიტორინგს და უზრუნველყოფილ იქნეს სამოქალაქო საზოგადოებისა და სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ამ პროცესში ჩართულობის მაღალი დონე.

საყურადღებოა, რომ უნივერსიტეტის ბიუჯეტის ფინანსური რესურსები ვერ უზრუნველყოფს არსებული მზარდი მოთხოვნებისა და მოლოდინების დაკმაყოფილებას. დღის წესრიგში დგება დაფინანსების ახალი წყაროების მოზიდვისა და შიდა საუნივერსიტეტო რესურსების მოძიებისა და ამოქმედების საკითხი.

საჭიროა, გატარდეს კონკრეტული ღონისძიებები გარე დაფინანსების ახალი წყაროების გრანტების, სახელმწიფო პროექტების დაფინანსების, ალუმნის, შემოწირულობების და ა.შ. მოსაპოვებლად და ეფექტიანად გამოსაყენებლად. აუცილებლობას წარმოადგენს უნივერსიტეტისთვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭებისა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან პირდაპირი დაფინანსების უზრუნველყოფის საკითხი, რომელიც არ უნდა განვიხილოთ, როგორც უნივერსიტეტის ავტონომიის, კულტურის, მეცნიერების, კვლევისა და სწავლების თავისუფლების, უნივერსიტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული, ეკონომიკური ან ფინანსური საკითხების მართვის შეზღუდვის ბერკეტი. ხელშეუხებელი და უზრუნველყოფილი უნდა იყოს უნივერსიტეტის ავტონომიურობა, აკადემიური თავისუფლება, აკადემიური პერსონალის საქმიანობის ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესებისგან დამოუკიდებლობა, სწავლებისა და კვლევის ერთიანობა.

მატერიალური რესურსების მართვისას გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ინფრასტრუქტურული და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების პროცესების მართვას. მოკლე ვადებში უნდა გატარდეს ქმედითი ღონისძიებები, განისაზღვროს პრიორიტეტები და განხორციელდეს როგორც ინფრასტრუქტურული, ისე კაპიტალური და სარემონტო სამუშაოები, ჩატარდეს ინვენტარიზაცია, დარეგულირდეს უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული ქონების გადმოცემის, ბალანსზე აყვანის პროცედურები, განხორციელდეს სასწავლო და კვლევითი გარემოს მოდერნიზაცია და ა.შ. აღნიშნულის მთელი სპექტრით რეალიზება მოითხოვს დიდ ფინანსურ რესურსს, შესაბამისად, მისი გადაწყვეტა სახელმწიფოსგან პროგრამული დაფინანსების მოპოვებისა და ინვესტირების მოძიების გზით გვესახება.

მომსახურების სერვისის გაუმჯობესება უნდა წარმოადგინოს უნივერსიტეტის მართვის სისტემებში საინფორმაციო ტექნოლოგიების სწრაფი განვითარებისა და მათი ფართოდ გამოყენების დანერგვის. ინფორმაციული ნაკადის ეფექტიანი მართვის განსახორციელებლად აუცილებელია, გაერთიანდეს და მართვის სისტემების რაციონალიზებისა და რეფორმირების გზით ჩამოყალიბდეს უნივერსიტეტის მართვის მთელი პროცესის ინფორმაციული უზრუნველყოფის ერთიანი სისტემა — თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით. ინოვაციური ინფრასტრუქტურის შექმნა მნიშვნელოვნად განაპირობებს უნივერსიტეტის სამეცნიერო და სასწავლო პოტენციალს და მისი განვითარების პერსპექტივებს. ერთიანი საინოვაციო პოლიტიკის გატარება, ინოვაციის სტრატეგიისა და ღონისძიებების შემუშავება, მათი რეალიზება მჭიდროდ უკავშირდება უნივერსიტეტის საინოვაციო პოტენციალის ზრდას, საინოვაციო საქმიანობის მართვას — საინოვაციო მენეჯმენტის სრულყოფას და მიმართული იქნება მეცნიერებისა და კვლევის განვითარების, სამეცნიერო საქმიანობის ხარისხის ზრდასა და სამეცნიერო პოტენციალის პრაქტიკულ გამოყენებაზე. ამდენად, მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი საინოვაციო საქმიანობის პროგრამები სათანადო ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსებით — საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი თანამედროვე ტექნოლოგიური, ინფორმაციული და შიდა ინფრასტრუქტურის განვითარების დონით. ინფორმაციული უზრუნველყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სეგმენტს თანამედროვე საბიბლიოთეკო მომსახურება წარმოადგენს. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წინადად ფონდის გამდიდრება, ავტომატიზირებული სისტემების სრულყოფა და სხვა აქტივობები, რომელიც საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის განვითარებას უკავშირდება, ადმინისტრაციული უზრუნველყოფის პრიორიტეტულ ამოცანათა რიგს განეკუთვნება.

სწავლების და კვლევის გაერთიანების მიზნით უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებად სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების რეორგანიზაცია მნიშვნელოვნად გაზარ-

და უნივერსიტეტის კვლევითი პოტენციალი და გააძლიერა შემდგომი განვითარების პერსპექტივები. უნივერსიტეტისა და კვლევითი დაწესებულებების ეფექტიანი თანამშრომლობის განმტკიცება, კვლევითი საქმიანობის, პერსონალის პოტენციალისა და ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის ნაწილად იქცა და საჭიროებს კონკრეტული სამუშაო გეგმის დასახვასა და რეალიზაციის შესაძლებლობების კონსოლიდაციას.

ძალზე მნიშვნელოვანია აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მიმართ ისეთი აქტივობების მხარდაჭერა, რომლებიც მიმართული იქნება მათი კვალიფიკაციის ამაღლების, კვლევითი პოტენციალის გაზრდის, მიღწეული შედეგების საერთაშორისო სამეცნიერო სემინარების, სასწავლო-სამეცნიერო პროცესთან დაკავშირებული საავტორო და ნათარგმნი ბეჭდური მასალისა თუ სახელმძღვანელოების გამოცემასთან, სხვადასხვა სტატუსის მქონე პროფესორების, მონვეული ლექტორების, საუნივერსიტეტო კვლევითი დაწესებულებების მეცნიერ-თანამშრომლების შრომის ანაზღაურების არსებული წესის სრულყოფასთან.

დიდ ყურადღებას საჭიროებს სამეცნიერო კვლევების და სწავლების ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობა, კავშირების გაძლიერება უცხოეთის უნივერსიტეტებთან, გაცვლითი პროგრამების, ერთობლივი სასწავლო პროგრამების განხორციელება, უცხოელი პროფესორების მოწვევა და მათი ინტეგრაცია საუნივერსიტეტო სივრცეში, უცხოელი სტუდენტების მოზიდვა და ა.შ.

უნივერსიტეტის განვითარების პროცესში სტუდენტები პასუხისმგებელი მონაწილეობადა და სასწავლო პროცესის მართვის ძირითად პარტნიორებად მოიაზრებიან. შესაბამისად, ერთი მხრივ, უზრუნველყოფილი უნდა იყოს სასწავლო პროცესის მუდმივი სრულყოფა, რომელიც მიმართულია კვალიფიკაციის განვითარების მისაღებად აუცილებელი გარემოს გაუმჯობესებისკენ, ხოლო, მეორე მხრივ, სტუდენტს უნდა მიეცეს თვითრეალიზაციის საშუალება, გამოხატოს საკუთარი პოზიცია, ხელი შეუწყოს თავისი და სხვა სტუდენტების უფლებებისა და თავისუფლების დაცვას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანად მიგვაჩნია სტუდენტთა მომსახურების სერვისების ხარისხის გაუმჯობესება და მაღალი პროფესიული კულტურის შექმნა, აქტივობების განხორციელება, რომელიც მიმართული იქნება სტუდენტთა კარიერული ზრდისკენ, სტუდენტური ინიციატივების ნახალისების, სპორტული და კულტურული ღონისძიებების პროექტების თანასწორობის პრინციპებზე მხარდაჭერისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისკენ. სტუდენტების ცხოვრების მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისთვის აუცილებელია კვების ობიექტების ფუნქციონირებისა და სამედიცინო მომსახურების სათანადო ორგანიზება. დიდი ყურადღება დაეთმობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის დადებითი გარემოს შექმნის საკითხებს. განსაკუთრებულ მხარდაჭერასა და სახელმწიფოებრივ დონეზე გადაწყვეტას მოითხოვს სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის — კამპუსის მშენებლობისა და არსებულის რეაბილიტაციის საკითხი.

სტუდენტის წინაშე უნივერსიტეტის ვალდებულებაა მისი მაღალკვალიფიციურ სპეციალისტად ჩამოყალიბება, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა. ამ პირობების დასაკმაყოფილებლად სტუდენტს უნდა ჰქონდეს ყველა თანამედროვე სასწავლო და კვლევითი რესურსის წვდომა, საჭირო სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურა, საერთაშორისო სასწავლო და სამეცნიერო ცენტრების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობა, კონკრეტული კვალიფიკაციის შექმნა, დარგობრივი უცხო ენის შესწავლა და სხვა. ის ფინანსური დანახარჯები, რომლებიც ამ რესურსებთან წვდომას უზრუნველყოფს, პრიორიტეტულად უნდა იქნეს აღიარებული, რათა მაქსიმალურად მეტი სტუდენტისთვის გახდეს მისაწვდომი.

უნივერსიტეტის იმიჯსა და რეიტინგს მნიშვნელოვნად განაპირობებს სამეცნიერო მიღწევების დონე და სწავლების ხარისხი. ქვეყნისთვის უნივერსიტეტის მნიშვნელობა მისი მხრიდან სახელმწიფოსა და საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინებით არის განპირობებული. ამდენად, მნიშვნელოვანია საერთაშორისო საზოგადოებას შევთავაზოთ თანამედროვე პროგრამები, სწავლისა და სამეცნიერო საქმიანობის პირობები, განხორციელდეს პროგრამული აკრედიტაციისა და ავტორიზაციისთვის საჭირო აქტივობები. იმიჯის გაზრდა მრავალსაქვტიანი ამოცანაა, რომლის წარმატებით გადაჭრა უნივერსიტეტის მთელი კოლექტივის მუშაობის შედეგია.

კანცლარობის კანდიდატები და მათი პრიორიტეტები

მეცხრე გვერდიდან

ალექსანდრე ჩხიტაშვილის ბიოგრაფიული ცნობები



ალექსანდრე ჩხიტაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამშემუნე სამართლებრივი უზრუნველყოფის საკითხებში; სამართლის დოქტორი

1995-2000 წლებში სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რის შემდეგაც მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია (სპეციალობა სამართალმცოდნეობა (წითელი დიპლომი));

2001-2003 წლებში იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ადმინისტრაციული სამართლის და ადმინისტრაციული სამართლის პროფესორი და ადმინისტრაციული სამართლის პროფესორი ასპირანტი;

2004 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე „საბაჟო საქმიანობის ორგანიზაცია და მართვა საქართველოში“, მიენიჭა სამართლის დოქტორის წოდება;

2002 წლიდან ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, ასევე საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში წლების მანძილზე ეკავა ასოცირებული პროფესორის და სრული პროფესორის აკადემიური თანამდებობები. ზოგიერთ კერძო უმაღლეს სასწავლებლებში იყო საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი.

2003-2005 წლებში მუშაობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე; 2004-2010 წლებში მუშაობდა თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტში (თეუსუ); 2004 წლამდე — მიწვევით იყო ამავე უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტზე მასწავლებელი; 2005-2008 წლებში მიწვევით მუშაობდა იურიდიულ ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე. 2008-2011 წლის 1 იანვრამდე (თეუსუ-ის რეორგანიზაციამდე) კონკურსის წესით იყო არჩეული თეუსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე;

2004 - 2005 წლებში იყო საქართველოს ფიზიკულთა და სპორტის აკადემიის სამართლის ფაკულტეტის მინვეული ლექტორი;

2005 - 2009 წლებში იყო საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის (დასუს) ასოცირებული პროფესორი;

2007-2008 წლებში იყო თბილისის საბანკო-საფინანსო ინსტიტუტის მინვეული პროფესორი;

2007-2011 წლებში — კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი; ხოლო 2009-2013 წლებში — თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

2008-2010 წლებში იყო თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის „გორგასალი“-ის სამართლის ფაკულტეტის სრული პროფესორი;

2009-2010 წლებში იყო თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის — „მეტეხის“, სამართლის ფაკულტეტის მინვეული პროფესორი;

2005 წლიდან დღემდე არის სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა სამართლის და ბიზნესის ფაკულტეტის სამართლის, ბიზნესის და ეკონომიკის

მიკის სპეციალობის მინვეული პროფესორი;

2015 წლიდან სექტემბრიდან დღემდე არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მინვეული პროფესორი; ხოლო 2013 წლიდან დღემდე — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამშემუნე სამართლებრივი უზრუნველყოფის საკითხებში;

პერიოდულად მონაწილეობს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის და სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებსა და ტრენინგებში;

მიღებული აქვს არაერთი ჯილდო და პრემია.

პრიორიტეტები

— მსურს კიდევ ერთხელ მოგვსალოთ გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქციას და მადლობა გადაგიხადოთ, რომ საშუალება მიძლევა, უკვე მეორედ საჯაროდ დავაფიქსირო ჩემი მოსაზრება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე ადმინისტრაციის ხელმძღვანელის შესარჩევ კონკურსთან დაკავშირებით, როგორც კონკურსში მონაწილე ერთ-ერთმა პრეტენდენტმა. მივესალმები მთელს საუნივერსიტეტო საზოგადოებას, აკადემიურ პერსონალს, ადმინისტრაციულ პერსონალს, ჩვენს სტუდენტობას და ასევე ადმინისტრაციის ხელმძღვანელის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატებს და იმედს გამოვთქვამ რომ მიმდინარე კონკურსი ამაყრად მაინც ჩაიფიქსიროს მშვიდ და სამართლიან გარემოში, სუფთა და გამჭვირვალე თამაშის წესების დაცვით. ვინაიდან ნებისმიერი კანდიდატი გამარჯვების შემთხვევაში უნდა გახდეს არა მხოლოდ კონკრეტულად მისი მხარდამჭერების ხელმძღვანელი ან მხოლოდ მათი ნება-სურვილების აღმსრულებელი პირი, არამედ მთელი საუნივერსიტეტო საზოგადოების ინტერესების დამცველი და ერთიანი საუნივერსიტეტო პოლიტიკის აღმსრულებელი და გამტარებელი ერთ-ერთი მთავარი სუბიექტი. დღემდე ღიად თუ კულუარებში იყო საუბრები საუნივერსიტეტო სივრცეში კლანჭურების მავნე გამოვლინებებზე, იმედი მაქვს, რომ მომავალში მსგავს საუბრებს ადგილი აღარ ექნება და გამარჯვების შემთხვევაში, ჩემი, როგორც ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, საქმიანობა დაფუძნებული იქნება თანასწორობის, საჯაროობის, კანონიერების, სამართლიანობის, მიუკერძოებლობის და გამჭვირვალობის პრინციპებზე. გამარჯვების შემთხვევაში, ხელს შევეწყობ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მის წინაშე მდგარი ურთულესი გამოსწვევების დაძლევაში და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ფარგლებში უფრო ეფექტურს და გამჭვირვალეს გაგხდის უნივერსიტეტის ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების მართვის პროცესს.

როგორც წინა საგაზეთო ინტერვიუშიც აღვნიშნე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, კანონმდებლობის შესაბამისად, არის უმაღლესი ადმინისტრაციული მმართველი ფინანსური, მატერიალური და ადმინისტრაციული რესურსების მართვის სფეროში, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია თსუ-ის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წინაშე და აღასრულებს მათ მიერ დამტკიცებულ საუნივერსიტეტო კონცეფციით განსაზღვრულ დებულებებს და ასევე მათ მიერვე დამტკიცებულ უნივერსიტეტის განვითარების სამოქმედო (სტრატეგიული) გეგმას. გამომდინარე აქედან, ის ვნებათაღელვება და მოლოდინი, რაც არსებობს საუნივერსიტეტო საზოგადოებაში ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, როგორც ერთი ცალკე აღებული სუბიექტის, განუსაზღვრელი და შეუზღუდავი ძალაუფლების მიმართ — გადაჭარბებულად მიმაჩნია. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ძირითადად აღჭურვილია აღსრულებითი ფუნქციებით და ის, როგორც აღმასრულებელი უფლებამოსილების განმხორციელებელი პირი, სამართლებრივად მოკლებულია იმ შესაძლებლობას, რომ დამოუკიდებლად შეიმუშაოს და განსაზღვროს საუნივერსიტეტო პოლიტიკა და თსუ-ის განვითარების სამოქმედო სტრატეგიული გეგმა. თუმცა, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, მისთვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში, უფლება აქვს საუნივერსიტეტო პოლიტიკის მიმდინარე საკითხებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის ფინანსური, მატერიალური და ადმინისტრაციული მართვის პოლიტიკის გაუმჯობესების მიზნით, წინადადებებით მიმართოს თსუ-ის შესაბამის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს და, მათი თანხმობის მიღების და შესაბამის აქტებში ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინადადებების

ფორმირების შემთხვევაში, აღასრულოს შემდგომ საქმიანობაში, უნივერსიტეტის საჭიროებიდან გამომდინარე.

ახლა მოკლედ ჩამოყავალიბებ, თუ რის გაკეთებას ვაპირებ სამომავლოდ უნივერსიტეტში ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კონკურსში ჩემი გამარჯვების შემთხვევაში.

გარდა პოზიტივისა, რაც წინა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მმართველობისას ხორციელდებოდა თსუ-ში, შეუძლებელია წლების მანძილზე ხარვეზები და პრობლემებს არ ყოფილიყო, რის შედეგადაც იმის უნივერსიტეტი, უკვე დღეს არსებული არაპროგნოზირებადი და რთული ვითარებიდან გამომდინარე, ჩემთვის უნივერსიტეტის მართვის სფეროში არსებული პრობლემების უმეტესობა ცნობილია, უნაბრუნებელა უდიდესი ნაწილი დღეს არ წარმოშობილა, არამედ წლების მანძილზე, საუნივერსიტეტო მართვის სფეროში არსებული არასწორი პოლიტიკის შედეგად ჩამოყალიბდა. სწორედ ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, ვაპირებ რაც შეიძლება სწრაფად და ოპერატიულ რეჟიმში ვიმოქმედო, სრულფასოვნად დავადგინო თსუ-ის მართვაში არსებული ხარვეზების და პრობლემათა წარმოშობისა და არსებობის მიზეზ-შედეგობრიობა, წარმოვადგინო ჩემი ხედვები პრობლემათა დაძლევის გზებთან დაკავშირებით და შესაბამისი საფუძვლიანი (დასაბუთებული) წინადადებებით მივმართო თსუ-ის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს: წარმომადგენლობით საბჭოს და აკადემიურ საბჭოს, რომლის ხელმძღვანელიცაა რექტორი, რათა ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ჰქონდეს სრული მხარდაჭერა თსუ-ის მართვის უმაღლესი ორგანოებისგან თავისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში პრობლემათა აღმოფხვრის მიმართულებით.

ასევე ვფიქრობ, რომ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ერთპიროვნულად არ უნდა იღებდეს გადაწყვეტილებებს თსუ-ის საფინანსო, მატერიალურ და ადმინისტრაციული რესურსების მართვის საკითხებთან დაკავშირებით და აღნიშნულ პროცესში სხვადასხვა გამოხატვის ფორმების გზით ჩართული უნდა იყოს მთელი საუნივერსიტეტო საზოგადოება, ყველა ფაკულტეტი, აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალი და რაც ყველაზე საგულანსხმო, თსუ-ის სტუდენტობაც. მათთან კონსულტაციებით, მათი თანამონაწილეობით, საკითხების შეჯერების ოპტიმალური საშუალებების გამოძიების გზით, უნდა ხდებოდეს თსუ-ში საკითხების რეგულირება. გარდა ამისა, არ უნდა დაგვავინყდეს სახელმწიფოს როლიც თსუ-ის განვითარების პროცესზე და ამ მხრივაც ვაპირებ, მეტი კონტაქტების დამყარებას და თანამშრომლობის გაღრმავებას სახელმწიფოს შესაბამის სტრუქტურებთან, თსუ-სთვის მეტი ფინანსური სახსრების მოძიების, სტაბილური გარემოს შექმნის და უკეთესად განვითარების მიზნით.

გამარჯვების შემთხვევაში წარმოვადგენ სამართლებრივ ინიციატივებს საუნივერსიტეტო მართვის ოპტიმალური გზების შესახებ, რადგან მიმაჩნია, რომ უნივერსიტეტი დღეს არსებული არაჯანსაღი ვითარების ერთ-ერთი საფუძველი საუნივერსიტეტო მართვის სფეროში წლების მანძილზე არსებული ნაკლოვანებებზე უნდა ეფუძნებოდეს, პირველ რიგში, ვეცადოთ ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა და ხარვეზების გამოსწორება.

ყოველგვარი მმართველობა საქმის ორგანიზაცია და ხელმძღვანელობაა, ორგანიზაციის მუშაობის შედეგები მთლიანადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მმართველობას განიცდის იგი და როგორია მთელი მმართველობის აპარატის თითოეული მუშაკის საქმიანობა. ეს იქნება გუნდური მუშაობა თუ ერთპიროვნული. სწორად უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს მართვის ფუნქციების შექმნაში, რაც გულისხმობს მართვის სფეროში ინფორმაციის შეგროვებას, პროგნოზირებას, დაგეგმვას, რეგულირებას, კოორდინაციას, კონტროლს, შესრულების შემოწმებას და სხვ... რაც, ჩემი აზრით, უნივერსიტეტში ხარვეზებით ხორციელდება და საჭიროებს მყისიერ გამოსწორებას, ვინაიდან, თუნდაც ინფორმაციის შეგროვების ფუნქციის სწორად განხორციელება სხვა ფუნქციების წარმატებით განხორციელების წინაპირობაცაა. პირი მოკლებულია საქმიანობის სათანადოდ განხორციელების შესაძლებლობას თუ არ ექნება სწორი და ობიექტური ინფორმაცია. პროგნოზირების დროს ხდება წინასწარ განჭვრეტა-გაგება მმართველობის დადებითი და უარყოფითი შედეგებისა. მართალია, პროგნოზი ვარაუდია, მაგრამ იგი უნდა იყოს რეალური ვარაუდი და არა ბრმა აღბათობაზე დაფუძნებული მსჯელობა. დაგეგმვა, ვარაუდისგან განსხვავებით, ეყრდნობა რეალურ მონაცემებს და რეალურად მოსალოდნელ შედეგს. რეგულირებისას დაწესებულების ხელმძღვანელმა რგოლებმა ორგანიზაცია უნდა გაუწიოს ქვედა რგოლების სწორ მუშაობას დაწესებულების წინაშე მდგარი ერთიანი ამოცანის განხორციელების პროცესში. კოორდინაციისას ხდება მმართველობითი

საქმიანობის ერთობლივად განხორციელება სხვადასხვა რგოლების მიერ დაწესებულების წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტის მიზნით. კონტროლის ფუნქციამ იგულისხმება დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისადმი დაწესებულების ქვედა რგოლების საშემსრულებლო მოქმედების შესაბამისობის შემოწმება, თუ რამდენად სწორად ასრულებენ მიღებულ გადაწყვეტილებებს, შესაბამისი ნახალების და პასუხისმგებლობის ზომების გამოყენებით. შესრულების შემოწმების ფუნქცია კი გულისხმობს საბოლოოდ მიღებული შედეგების გარკვევას, შედეგებიდან გამომდინარე დადებითი და უარყოფითი მხარეების გამოვლენას. ეს ნებისმიერ შემთხვევაში გამოგონილი, არამედ მეცნიერულად და პრაქტიკულად დამუშავებული წესებია, რომლის განსახორციელებლად მხოლოდ ნების გამოვლენა საჭირო იმ პირთა მხრიდან, ვისი საქმიანობის სფეროსაც ეხება. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მხრიდან, მთელს ადმინისტრაციასთან ერთად, სწორედ აღნიშნული ფუნქციების სწორად და გაუზრუნველად განხორციელების უზრუნველყოფა უნივერსიტეტში ჯანსაღი გარემოს შექმნისთვის აუცილებელი ერთ-ერთი მთავარი პირობა, რასაც, გამარჯვების შემთხვევაში, აუცილებლად უზრუნველყოფ.

ვფიქრობ, რომ ყველა იმ ნეგატივმა, რაც უნივერსიტეტში, ადრეული წლებიდან მოყოლებული, დაგროვდა, უკვე დღევანდელ პერიოდში ჰპოვა გამოძახილი და სტუდენტებს შორის, თსუ-ის ხელმძღვანელობის მიმართ, და ასევე, ერთმანეთის მიმართაც, საპროტესტო განწყობები გააღვივა, რომლის შედეგადაც ახლა იმის უნივერსიტეტი.

ერთი რამ მინდა აღვნიშნო, რომ მოთხოვნები, რომელსაც სტუდენტები აყენებდნენ, გარკვეულწილად, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კომპეტენციის სფეროსაც მიეკუთვნება, და ჩემი ადმინისტრაციის ხელმძღვანელად არჩევის შემთხვევაში, ვაპირებ აქტიურ თანამშრომლობას თსუ-ის სტუდენტობასთან, რათა მათთან თანამშრომლობის შედეგად, თსუ-ის უმაღლესი მმართველობით ორგანოებთან შეთანხმებით, ერთხელ და სამუდამოდ მოგვარდეს ყველა ის პრობლემა, რომელსაც სტუდენტები ხედავენ, რადგან, მათი შეფასება, ახალი ადმინისტრაციის პირობებში, ბოლო სამი წლის განმავლობაში, რადიკალური ცვლილებების უნივერსიტეტში არ მოუხდარა. მათი აზრით, მოუწესრიგებელია თსუ-ის როგორც ფინანსური, ასევე მატერიალურ-ინფრასტრუქტურული ბაზა და ადმინისტრაციული რესურსთანაც გარკვეული პრეტენზიები გაჩაჩნია. სტუდენტების აზრით, უნივერსიტეტის მისცემს სათანადო ფინანსური განმავლობაში აწუხებთ, კვლავ დღის წესრიგში დგას. ამიტომ ადმინისტრაციის ხელმძღვანელად ჩემი დამტკიცების შემთხვევაში, ვაპირებ სიღრმისეულად შევისწავლო ყველა დასახელებული თუ თსუ-ში რეალურად არსებული პრობლემა და კომპეტენციის ფარგლებში ვიმოქმედო პრობლემათა დაძლევის უთხით. აქვე უნდა აღინიშნოს რომ სტუდენტები დადებითად აფასებენ უნივერსიტეტის პირდაპირი საბოუჯეტო წესით დაფინანსების თაობაზე დაყენებულ წინადადებებს, რაც, მათი აზრით, უნივერსიტეტის მისცემს სათანადო ფინანსურ რესურსს რათა არსებული პრობლემები გადაწყდეს. ვაპირებ, ამ უთხით აქტიურად ვითანამშრომლო სახელმწიფოს შესაბამის ორგანოებთან, რათა აღნიშნული საკითხი უნივერსიტეტისთვის სასარგებლოდ გადაწყდეს.

ამ ეტაპზე, ჩემი, როგორც ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, სამომავლო ხედვა დაფუძნებულია უნივერსიტეტის უკვე არსებულ გრძელვადიანი და მოკლევადიან სამოქმედო გეგმებზე და მათი ეფექტურად განხორციელების სურვილზე, რაც საშუალებას მომიცემს, თსუ-ის შესაბამის სტრუქტურებთან ერთად, თანამიმდევრულად განვახორციელოთ მთელი რიგი სამუშაოები.

საუნივერსიტეტო გრძელვადიანი ამოცანები უნდა განხორციელდეს უნივერსიტეტის საქმიანობის შემდეგ მიმართულებებში: სასწავლო პროცესის მართვის გაუმჯობესების; სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობის ხელშეწყობის; ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის; საბიბლიოთეკო და სამუზეუმო საქმიანობის სრულყოფის; საგამომცემლო და ინფორმაციის განვითარებისთვის ხელშეწყობის; საერთაშორისო საუნივერსიტეტო კავშირების და ურთიერთობების გამრავალფეროვნებით; ურსდამთავრებულებთან ურთიერთობის; პროფესორ მასწავლებელთა და სტუდენტების სოციალური საკითხების გადაწყვეტის, მათი ნახალების და სტიპენდიების ეფექტური ფორმების დამკვიდრებით; სპორტისა და ხელოვნების სფეროს განვითარების. თსუ-სთვის შემოერთებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ინტეგრაციის ხელის შეწყობა თსუ-ის ერთიან სივრცეში და სხვა.

კანცლერობის კანდიდატები და მათი პრიორიტეტები

მათი გვერდიდან

ამ ამოცანების განხორციელებისათვის ასევე უმნიშვნელოვანესია: უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურის ყველა დონეზე ეტაპობრივი ოპტიმიზაცია, რადგანაც, დაწესებულების სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები უზრუნველყოფს დაწესებულების მისიით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას; უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, უნივერსიტეტის ძირითად საგანმანათლებლო ერთეულების — ფაკულტეტების, ბიბლიოთეკის, სტრუქტურული ერთეულების და სტრუქტურული ქვედანაყოფების კოორდინირებული მუშაობის ხელშეწყობას და კონტროლს საერთო სტრატეგიული მიზნების მისაღწევად, რაც ამჟამად სრულფასოვნად ვერ ხორციელდება. ასევე აუცილებელია შიდა კონტროლის მექანიზმის სრულყოფა და პასუხისმგებლობის კულტურის მეტად ამაღლება საუნივერსიტეტო სივრცეში. უნივერსიტეტის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის სრულყოფა თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად, საფინანსო რესურსების საქმარის პოტენციალის შექმნა, რაც ადეკვატური იქნება უნივერსიტეტის სასწავლო და კვლევითი საქმიანობის უზრუნველსაყოფად; საინფორმაციო ეფექტურობის კრიტერიუმებიდან გამომდინარე, საფინანსო რესურსების განაწილების ოპტიმიზაცია; ფინანსური სტრატეგიის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად საფინანსო დაგეგმვებისა და ანალიზის სისტემის სრულყოფა მისი საჯაროობის და გამჭვირვალობის მეტი ხარისხი; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოდერნიზება მართვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად; საგანმანათლებლო პროცესისა და სამეცნიერო მუშაობის წარმართვისთვის აუცილებელი გარემოს შექმნა და უზრუნველყოფა; უნივერსიტეტის საქმიანობის ძირითადი სახეობების დაფინანსებისათვის სახსრების მოზიდვის და რაციონალური გამოყენების ეფექტიანი სისტემის შექმნა; ბიბლიოთეკის ფუნქციის (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული მატარებლებზე არსებული) შევსება საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების შესაბამისი სავალდებულო და უახლესი გამოცემებით; საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის უზრუნველყოფა; საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში გამოყენების უზრუნველყოფა; მართვისა და კონკურსების საჯაროობის და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა; საერთაშორისო საუნივერსიტეტო კავშირებსა და გაერთიანებებში უნივერსიტეტის ჩართულობის ხელშეწყობა; კურსდამთავრებულთან ურთიერთობისა და კარიერის სამსახურის ჩამოყალიბების უზრუნველყოფისთვის ხელშეწყობა; აკადემიური, მონეული და დამხმარე პერსონალის მოტივირების უზრუნველყოფის სისტემის შექმნა; თანამშრომელთა და სტუდენტთა სოციალური პრობლემების გაუმჯობესებაზე ზრუნვა (როგორებიცაა მავ: ადაპტირებული პრობლემისა და გარემოს შექმნა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის და სხვ.); ცენტრალური და საფაკულტეტო საბიბლიოთეკო და სამუზეუმო ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის ხელშეწყობა; სპორტისა და ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა; მართვის საჯაროობის უზრუნველყოფის და დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრების, ასევე სტუდენტთა თვითმმართველობის განვითარებისთვის ხელშეწყობა; ხარისხის მართვის სამსახურის საქმიანობის ხელისშეწყობა მისი მუდმივი სრულყოფის მიზნით და სხვ.

აუცილებელია უნდა გააქტიურდეს მუშაობა იმ მიმართულებით, რომ თსუ-ში საერთაშორისო გრანტების მოცულობა უახლოეს პერიოდში, სულ ცოტა, გასამაგდეს. ამჟამად საერთაშორისო გრანტების რაოდენობის წილი გრანტების მთლიან მოცულობაში უნივერსიტეტში 11,3 პროცენტს არ აღემატება.

საჭიროა საქმიანობის კიდევ უფრო გააქტიურება თსუ-ის აკადემიური პერსონალის საერთაშორისო კონტაქტების გაფართოებისა და გამრავალფეროვნების ხელშეწყობის კუთხით, მათ შორის საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის, საზღვარგარეთის ქართველოლოგიურ კონტრეტებთან მუშაობის გააქტიურებისა და სხვა მსგავსი მიმართულებებით.

რეალურად დაბალია და არსებითად გასაზრდელია გაცვლითი პროგრამით ჩამოსული სტუდენტების რაოდენობა თსუ-ში, რაც საუნივერსიტეტო საზოგადოების სამართლიან გულსწყობას იწვევს, დღეის მდგომარეობით აღნიშნული სტატუსით მყოფი ასამდე სტუდენტი, პროფესორი თუ მკვლევარი ამკარად ცოტა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა-

თვის. ამავ დროს, უნდა გაიზარდოს უცხოეთში გაგზავნილი სტუდენტების რაოდენობაც, რაც ფინანსურ უზრუნველყოფასთან ერთად, გულისხმობს თსუ-ში სწავლებისა და უცხოეთში გასაგზავნი კონტინენტის შერჩევის ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებას.

უნივერსიტეტის საქმიანობის გაუმჯობესების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად გვესახება ოპერატიულობის გაზრდა (ელექტრონული მმართველობის შემოღების გზით), რეაგირების დაჩქარება შემოსულ კორესპონდენციებზე, დაყენებულ საკითხებზე, შეკითხვებზე და შენიშვნებზე კომპეტენციის ყველა სფეროს მიხედვით მოხდება პრობლემებისა და რისკების მუდმივი მონიტორინგი და იდენტიფიცირება და მათი პრევენციის მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება, გატარება. აღნიშნულ კონტექსტში მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს უნივერსიტეტის შიგნიდან — აკადემიური პერსონალიდან, სტუდენტებიდან, აგრეთვე გარედან — მედია-სამუშაულებიდან და ცალკეული ფიზიკური თუ იურიდიული პირებიდან წამოსული კრიტიკული შენიშვნებისა და საჩივრებისა და მათზე რეაგირების რეესტრის წარმოება, რომლებზეც ინფორმაცია ყოველთვის უნდა წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიურ საბჭოს და/ან სენატს, იმისდა მიხედვით, ვისი კომპეტენცია იქნება ამ საკითხის განხილვა/გადაწყვეტა.

საქმიანობის ერთ-ერთ ცენტრალური მიმართულება უნდა გახდეს აკადემიური პერსონალის კომპიუტერული და პროგრამული პროდუქტებით აღჭურვა, სტუდენტების შეუფერხებელი ხელმისაწვდომობა ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე და ამ უკანასკნელთა ფართოდ გამოყენება დისტანციური სწავლების შესაძლებლობების გაფართოების გზით, ნამყვანი უცხოელი სპეციალისტების ვიდეო-ლექციებისა და ვიდეო-კონფერენციების ორგანიზება.

ჩასატარებელია მუშაობა უნივერსიტეტის შიგნით კორპუსებში კვების ობიექტების პრობლემის გადასაჭრელად, კერძებზე სხვა სწრაფი კვების ობიექტებთან შედარებით უფრო იაფი და ხარისხიანი იყოს.

სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის სასწავლო კორპუსებში მისვლის დროის შესამცირებლად დაინიშნება მოლაპარაკებები ქალაქის მერიასთან და შესაბამის სამსახურებთან საავტობუსო მარშრუტის აღდგენის თაობაზე ჭაჭყაძის გამზირიდან ყველა საუნივერსიტეტო კორპუსის გავლით და სხვა.

რაც შეეხება უნივერსიტეტში განსახორციელებელ რეფორმებს, აუცილებელია მიმართული საუნივერსიტეტო მართვის სფეროში თანამედროვე გამოწვევებთან და თანამედროვე მოთხოვნებთან მისადაგებული რეფორმის განხორციელება რაც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სამართლიანობის პრინციპების პატივისცემას, სტაბილური სამუშაო, სასწავლო და სამეცნიერო გარემოს შექმნას. ვთვლი რომ ამ კუთხით როგორც საუნივერსიტეტო საზოგადოებამ ასევე სახელმწიფომაც დააგვიანა უნივერსიტეტის რეფორმირების პროცესი და დროულად ვერ უზრუნველყო იმ ნაკლებობების აღმოფხვრა რომლებიც წლების განმავლობაზე არსებობდა საუნივერსიტეტო მართვის კუთხით. ვგულისხმობ უნივერსიტეტის მართვის სტრატეგიას, რომელიც ჯერ კიდევ წინა ხელისუფლებიდან (2005 წლიდან მოყოლებული) უმეტეს შემთხვევებში ამოვარდნილი იყო როგორც კანონიერი და სამართლებრივი ჩარჩოებიდან, ასევე ვერ პასუხობდნენ ზნეობრივ კრიტერიუმებსაც, რამაც, საერთო ჯამში, გამოიწვია თსუ-ის დისკრედიტაცია საზოგადოების თვალში და საუნივერსიტეტო იდეისადმი უნდობლობის, ნიჰილიზმისა და უკმაყოფილების გამოხატვა სხვადასხვა საფორმით. რეფორმირების პროცესი ახალი შემართებით უნდა დაიწყო, რასაც საფუძვლად უნდა დაედოს უნივერსიტეტში ისტორიულად არსებული მდიდარი ტრადიციები და ევროპის ერთიან საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრაციის უაღრესად საპატიო და საპასუხისმგებლო მიზანი. ყოველთვის მიმარნა და ვთვლი რომ უნივერსიტეტში რეფორმების განხორციელება თავიდანვე უნდა მომხდარიყო სამართლიანობის, კანონიერების, მიზანშეწონილობის ფარგლებში, პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ინტერესების დაცვის და უნივერსიტეტის ღირსების და ავტონომიის პრინციპების დაცვით.

ჩემი ადმინისტრაციის ხელმძღვანელად დამტკიცების შემთხვევაში, მთელს საუნივერსიტეტო საზოგადოებას ვპირდები, რომ ჩემთვის სამართლებრივი აქტებით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში, თსუ-ში ღირსეული და შრომითი საქმიანობის განხორციელებისთვის სტაბილური, სამართლიანი და კანონის შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფაში დავეხმარები, რათა საბოლოო ჯამში უნივერსიტეტმა თავის მისია განახორციელოს — თავისუფალი, განათლებული და წარმატებული სტუდენტების აღზრდის სახით.

შოთა ჭანტურიძის ბიოგრაფიული ცნობები



შოთა ჭანტურიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი

1994-1998 წლებში სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობით;

1998-2000 წლებში სწავლობდა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მაგისტრატურაში საბანკო, საფინანსო და საბუღალტრო საქმის სპეციალობით და მიენიჭა მაგისტრის ხარისხი;

1999-2000 წლებში მუშაობდა ს.ს. „თბილისტრანსკი“-ის საქართველოს ეროვნულ ბანკთან ურთიერთობისა და ანგარიშების განყოფილების ბუღალტრად;

2000-2002 წლებში იყო საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს ფინანსებისა და საბუღალტრო აღრიცხვის სამმართველოს საფინანსო განყოფილების წამყვანი სპეციალისტი;

შემდგომ — ფინანსებისა და საბუღალტრო აღრიცხვის სამმართველოს საფინანსო განყოფილების მთავარი სპეციალისტი; ფინანსებისა და საბუღალტრო აღრიცხვის სამმართველოს საფინანსო განყოფილების უფროსი;

2002-2004 წლებში იყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კონსულტანტი; 2004 წელს გახლდათ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების კონსულტანტი;

2004-2005 წლებში იგი მუშაობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს კონსულტანტად; 2005-2006 წლებში აქვე — ადმინისტრაციული დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს მთავარ სპეციალისტად, ხოლო შემდგომ — საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ინსპექტორად;

2006-2007 წლებში იყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციის საფინანსო-სამეურნეო განყოფილების უფროსი; შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციის საფინანსო-სამეურნეო განყოფილების მთავარი სპეციალისტი; ფინანსური პოლიციის მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

2008-2011 წლებში იყო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე; ხოლო შემდგომ — ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი და ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი;

2011 წლიდან დღემდე არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი;

არის სერტიფიცირებული აუდიტორი ზოგად აუდიტში;

პრიორიტეტები

— ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზანია რეგიონში ლიდერი კვლევითი უნივერსიტეტის და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცის ღირსეული და წარმატებული სუბიექტის ადგილის დამკვიდრება. აღნიშნული მიზნის მიღწევა მრავალი გამოწვევის დაძლევისა და რისკების დაკავშირებით. მათ შორის, ერთ-ერთი უმთავრესია კვლევითი და საგანმანათლებლო პროცესების საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის საკითხი. რადგანაც საგანმანათლებლო სისტემისა-

თვის მნიშვნელოვანია მოქნილი და გამართული სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურა, შესაბამისად საჭიროა აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი სფეროს განვითარებაზე ორიენტირებული საფინანსო-ეკონომიკური და ადმინისტრაციული საქმიანობის (საუნივერსიტეტო სტრუქტურები) ეფექტურად/პროდუქტიულად წარმართვა, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ფინანსურ, მატერიალურ-ტექნიკურ და ადამიანურ რესურსების მოქნილ მენეჯმენტს — ადმინისტრაციის საქმიანობის პროცესში არსებულ ნაკლოვანებების იდენტიფიცირებასა და მათ ეტაპობრივ აღმოფხვრას. საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის სფეროში 20-წლიანი და მათ შორის უნივერსიტეტის შიდა აუდიტის სამსახურში 5 წლიანი სამუშაო გამოცდილების გათვალისწინებით, საარჩევნო კონცეფციასა და სამოქმედო გეგმაში პრიორიტეტებად წარმოდგენილი მაქვს შემდეგი განსახორციელებელი ღონისძიებები:

- ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულების სპეციფიკის გათვალისწინებით საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენა/შემუშავება და მათი ასახვა შესაბამის დებულებებში;
- ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულების პერსონალისათვის, უწყვეტი განათლების ცენტრის მეშვეობით, კვალიფიკაციის ასამაღლებელი სატრენინგო სერვისების შეთავაზება და შემდგომი ოპტიმიზაცია კვალიფიკაციის დონის მიხედვით;
- უწყვეტი განათლების ცენტრის საქმიანობის აქტიური რეკლამირებით, ადგილობრივი აკადემიური პერსონალის და უცხოელი ტრენერების ჩართულობის პოპულარიზებით დამატებითი ფინანსური შემოსავლების მოზიჭება;
- უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის მაქსიმალური გამოყენებით დამატებითი ფინანსური რესურსის მოზიდვის მიზნით, რეგიონებში აბიტურიენტთა მოსამზადებელი ცენტრების ორგანიზება;
- უნივერსიტეტის საგამომცემლო-ბეჭდვითი საქმიანობის პროცესების სისტემატიზაცია, ოპტიმიზაცია და მისი კომერციალიზაცია;
- უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების საქმიანობის კომერციალიზაციის ხელშეწყობა/მხარდაჭერა;
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან კომუნიკაცია/კოორდინაცია სამინისტროში არსებული სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებების აღჭურვის პროგრამის ფარგლებში რესურსის მოზიჭება, რათა უნივერსიტეტისთვის გათვალისწინებული იქნას სამედიცინო აპარატურის გადმოცემა. შესაბამისად, შესაძლებელი გახდება უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის პრაქტიკული მეცადინეობების განხორციელება, დასაქმება და დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიჭება;
- უნივერსიტეტში თანამედროვე ელექტრონული პროგრამებისა და სისტემების დანერგვა;
- ადმინისტრაციული ხარჯების ოპტიმიზაციით (სამივილინგო, წარმომადგენლობითი და სხვა ხარჯები) სხვა პრიორიტეტული ღონისძიებების დაფინანსება;
- მოძველებული ავტო-პარკის ეტაპობრივი განახლება, რაც მოგვეცემს გრძელვადიან პერიოდში სატრანსპორტო საშუალებების მოვლა-პატრონობაზე გასანევი ხარჯების ეკონომიას;
- სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლების საფასურთან გარკვეული ფიქსირებული პროცენტული ზღვრის დაწესება სტუდენტური აქტივობების დასაფინანსებლად და წარჩინებული სტუდენტების ფინანსური სტიმულირებისათვის (სტიპენდიები, გაცვლითი პროგრამები და ა.შ.). შესაბამისად, მათი ხარჯვის სრული გამჭვირვალობა;
- საკანონმდებლო ინიციატივა უნივერსიტეტის მიერ სტუდენტების დაფინანსებისას საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლების შესახებ, რის შედეგადაც ყოველწლიურად დაიზოგება დაახლოებით 200,0 ათასი ლარი;
- აკადემიური პერსონალის საგარანტო პროექტების მხარდაჭერა;
- დამატებითი მოზიდული ფინანსური რესურსებისა და ხარჯების ოპტიმიზაციით (შიდა და გარე დაფინანსების წყაროების მოძიება) არსებული აუდიტორების, ლაბორატორიების, კვლევითი ინსტიტუტების ინფრასტრუქტურისა და მათი მატერიალური ბაზის ეტაპობრივი განახლება. სტუდენტთა კორპუსებში საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და მათი გაფართოების პერსპექტივის განხილვა/განხორციელება;
- სტუდენტების მიერ ორგანიზებული ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო თანხების მიზანშეწონილობის განსაზღვრის, კონტროლის და ხარჯვის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;
- ინფორმაციის საჯაროობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

საუკუნის მიღწეული კაცი

„სახსოვრად ჩემს თანამშრომელს და ძვირფას მოწვევას შოთა ცხოვრებაშვილს ალექსანდრე ჯავახიშვილისაგან“ 1971 წელი, 26 თებერვალი – წარწერა, რომელიც ქართული მეცნიერების კორიფემ, გეოგრაფმა და დიდმა პედაგოგმა, აკადემიკოსმა ალექსანდრე ჯავახიშვილმა იმ ფოტოზე გააკეთა, რომელიც დღემდე ყველაზე ძვირფასი რარიტეტია უნივერსიტეტის უბუცესი ემერიტუს-პროფესორის შოთა ცხოვრებაშვილისთვის. ფოტოს გარდა ბატონ შოთას ალექსანდრე ჯავახიშვილისგან სახსოვრად 30-იან წლებში მისი რედაქტორობით შედგენილი საქართველოს უიშვიათესი რუკებიც დარჩა.

გასულ წელს შოთა ცხოვრებაშვილი საქართველოს გეომორფოლოგიის დარგის განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისთვის და ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობისთვის ღირსების ორდენით დაჯილდოვდა. „ერთეულები არიან ბატონი შოთასნაირი ადამიანები, რომელთაც კანონად მოიხადეს საკუთარი ვალი სამშობლოს წინაშე“, – განაცხადა ჯილდოს გადაცემისას განათლების ყოფილმა მინისტრმა თამარ სანიკიძემ. დღეს ბატონი შოთა 96 წლისაა. ამბობს, რომ უნივერსიტეტში არ დაბადებულა, მაგრამ მთელი ცხოვრება, სტუდენტობიდან მოყოლებული, აქ გაატარა. მოესწრო 15-ზე მეტ რექტორს და ჩვენი ახალი ისტორიის ყველა დრამატულ პერიოდს. 70 წელი მიუძღვნა პედაგოგიურ მოღვაწეობას და კვლევას, არის 100-ზე მეტი სამეცნიერო და სასწავლო ნაშრომის ავტორი, 1983 წელს მიენიჭა საქართველოს უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის წოდება. ხანგრძლივი ცხოვრების უნივერსიტეტში თავგადასავალი ბიოგრაფიულ ნიგში „საუკუნის მიღწეული კაცის მოგონებათა კრიალოსანში“ აღწერა, რომელიც გასულ წელს გამოსცა. ხანდაზმული ასაკის მიუხედავად, მეცნიერი შესაძური ოპტიმიზმით, კეთილგანწყობით, გამჭრიახი გონებითა და მეხსიერებით გამოირჩევა. ბატონ შოთას უნივერსიტეტის საპროფესოროში შევხვდით, სადაც სტუდენტობისას პოლიტიკოლოგიისა და პარტიის ისტორიის ლექციებს ისმენდა. ამბობს, რომ ამ შენობის ყველა აუდიტორიისა და ოთახის ისტორია საკუთარი ბიოგრაფიასავით იცის.

„70-დან 80 წლამდე ასაკში ადამიანმა ღმერთს ყოველ დღით სამადლობლოები უნდა უთხრა, რომ ერთი დღე კიდევ გაჩუქა. 80-დან 90 წლამდე სამადლობლოები სანთლით ხელში და პირჯვარის წერით უნდა თქვა ყოველ ნაჩუქარ დღისთვის, მაგრამ 90 წლის შემდეგ არ ვიცი, მადლობა როგორღა უნდა გადაიხადო, ალბათ კელაპატარი უნდა დაიჭირო ხელში“, – ასე ხუმრობს საკუთარ ასაკზე ბატონი შოთა. იმასაც ამბობს, რომ მისი თაობის ხალხი მიდის და სულ უფრო იშვიათად ხვდება თბილისის ქუჩებში ნაცნობებს.


დაიბადა ხაშურში 1920 წლის 1 მაისს. დაბადებიდან დღემდე ბევრი ტკივილი გამოიარა. მცხოვრები ემერიტუს-პროფესორი თავისი ცხოვრების არაერთ ეპიზოდს იხსენებს.

მოგონებათა კრიალოსანიდან...

— სკოლის მოსწავლე რომ გავხდი, მამაჩემი რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე იყო. ძალიან ჭირდა იმ პერიოდში ეკონომიურად. ერთხელ შევესწარი, დედა ეუბნებოდა: მუშებს წიგნაკებით თერ პურს აძლევდნენ და შენ, თანამდებობის პირს რატომ არ გვრგება თეთრი პური? მამის პასუხი იყო საინტერესო: თვითონ თქვი, რომ მუშა არ ვარ, მათზეა განკუთვნილი და რომც გენყინოს, ვერ მოგიტან თეთრ პურს. მამა კომუნისტ იყო 1918 წლიდან. გულწრფელად სჯეროდა, რომ უკეთეს წყობას აშენებდა, მაგრამ 1938 წელს, რეპრესიების პერიოდში დაიჭირეს და ერთ წელიწადში დახვრტეს კიდევ, როგორც მავნებელი. იგივე ბედი ეწია მამის ძმასაც, რომელიც ასევე თანამდებობის პირი იყო. მამის დაპატიმრების მიზეზი მოგვიანებით გავიკეთ. სინამდვილეში მინსკიში მის ნაცნობს, ნამებისა და ცემის შემდეგ აიძულეს ეთქვა, რომ მამაჩემს კოლმეურნეობების დაშლა სურდა და შეთქმულებას აწყობდა საამისოდ. აბსურდული ბრალდება იყო, მაგრამ მაშინ ასეთ ამბებს ენერებოდნენ ადამიანები.

მამის დაჭერის შემდეგ სკოლიდან გამომაგდეს, როგორც მავნებლისა და ხალხის მტრის შვილი. X კლასში ვიყავი. ჩემი ამხანაგები უმაღლესში შესასვლელად ემზადებოდნენ, მე კი გარე-გარე დავყავი. ერთხელ რაიკომში დამიბარეს და იმ ადამიანების დასმენა მომთხოვეს, ვინც მამაჩემთან სტუმრად დიდობდა. მეც ვუთხარი, რომ მამა რაიკომში მომუშავე თითქმის ყველა მათგანთან ახლობლობდა და ყველა იყო ნამყოფი ჩვენს ოჯახში. არ ვიცი, ამან იმოქმედა თუ სხვა ამბავი იყო, 3 თვის შემდეგ სკოლაში აღმადგინეს. მამა დაპატიმრების შემდეგ ერთხელ შეახვედრეს დედას, მას შემდეგ აღარაფერი გავიგია მასზე. მხოლოდ ათიოდე წლის წინ, რეპრესირებულიების რეაბილიტაციის შემდეგ, როცა არქივები გაიხსნა, ვნახე ცნობა, რომ 1939 წელს იანვარში თბილისში დაუხვრტიათ.

დედას ძალიან უჭირდა, სამი შვილი და დიდება მისი მისახედი გახდა. ავადმყოფი ქალი იყო, კურითა და ექთნობით გვარჩენდა. ვინაიდან მე მავნებლისა და ხალხის მტრის შვილად შემრაცხეს, ასეთი ტვირთით ძნელი იყო ცხოვრება იმ დროში. ამისთვის გაჭირვებული ოჯახიდან ჩამოვედი და ჩავაბარე უნივერსიტეტში. საკმარისი ქულები არ მქონდა, რომ სტიპენდია დაენიშნათ. გადავწყვიტე, ყველაფერი გამეკეთებინა და დღის შემყურე არ დავრჩენილიყავი. ისეთი ენთუზიაზმით შევეუდექი სწავლას, რომ უკვე მეორე სემესტრიდან ფრიადოსნის სტიპენდია დამენიშნა. II კურსზე რომ გადავედი, ალექსანდრე ჯავახიშვილმა დამიბარა და ლაბორანტად ამიყვანა. თანაკურსელი მყავდა ერთი, კომკავშირის აქტივისტი — გურაშვილი ქიტესა, ჩვენზე გაცილებით უფროსი, მლიქვნელი და ძალიან ცუდი ადამიანი... როგორც შემდეგ უნივერსიტეტის თანამშრომლებისგან გავიგე, იგი მისულა ბატონ ალექსანდრესთან და უთქვამს — ცხოვრებაშვილი ხალხის მტრის შვილია და ლაბორანტად როგორ აიყვანეთო. ასეთ ადამიანებს მაშინ ბევრი ზიანის მოტანა შეეძლოთ. ბატონ ალექსანდრეს საკადრისი პასუხი გაუ-



ცია. მამის ამბის გამო სიცოცხლე მქონდა გამანარებული იმ პერიოდში.

ჩემს სტუდენტობას დაემთხვა დიდი სამამულო ომის დაწყება. ზუსტად იმ დღეს, როცა რადიოთი ლევიტანმა ომის დაწყება გვამცნო, რაჭაში, ამბროლაურში ვიყავით სტუდენტები საველე სამუშაოებზე ჩასულები. ფეხით მოგვიხდა უკან დაბრუნება. გამოგვიძახეს განვევაზე, მაშინ შტაბი ახლანდელი მუშტაიდის ბაღში ჰქონდათ გამართული. ომში წასვლას გადამარჩინა იმან, რომ მარჯვენა თვალი მხედველობა მქონდა დაქვეითებული. სამოქალაქო თავდაცვაში ჩავგვრეთ. თბილისში ანემომეტროლი აგებდა გვევალებოდა, რაც ქარის სისწრაფისა და მიმართულების გაზომვას გულისხმობს. რამდენჯერმე უნივერსიტეტის სახურავზეც მომიხდა ღამის გათევა: ვღარაჯობდი — თუ თბილისი დაიბომბებოდა და უნივერსიტეტზე ჭურვი ჩამოვარდებოდა, რკინის მარნუხით უნდა ამელო და გადამეგდო სახურავიდან. ამ მორიგეობის დროს გავცვიდი და მშრალი პლევრიტი დამემართა. რამდენჯერმე გადავურჩი ომში განვევას, ბოლოს, როდესაც სტალინგრადს და კავკასიას მოადგნენ გერმანელები, ჩვენებს კი ჯარისკაცები შემოაგდნენ, ყველა შეღავათი გაგვიუქმეს და დაგვიბარეს განვევაზე. გვიხარეს, რომ მეორე დღეს ორი დღის საგზლით მივსულიყავით ნავთლუხის სადგურში, რადგან თურქმენეთში მივყავით რკინიგზის გასაყვანად. ასეთი განვევა უარესი იყო, ვიდრე ფრონტის ხაზზე მოხვედრა: მოქმედ არმიამი იმის შანსი მაინც არსებობდა, რომ გადარჩენილიყავი, ან გმირი გამხდარიყავი, აქ კი ან შიმშილი მოგკლავდა ან ტიფი. ვინც წავიდა, ცოცხალი არავინ დაბრუნებულა თურქმენ-

ეთიდან. განვევაზე მისულმა ბედად თეთრხალათიანი უცნობი კაცი დავინახე, მოვითხოვე, რომ გავესინჯე. რუსთაველს აქვს ერთი ასეთი ნათქვამი: „ვინ დამბადა, შეძლება მანვე მომცა ძლევად მტერთად, ვინ არს ძალი უზილავი შემწედ ყოვლთა მინიერთად“, — მეც ეს ნათქვამი ამიხდა. მივედი ამ ექიმთან, რომელიც ეროვნებით სომეხი იყო, მისი გვარიც არ ვიცი და სულ მანუხებს, რომ მადლობა ჩემი გადარჩენისთვის ვერაფრით გადავუხადე. მკითხა, რას ვაკეთებდი და რომ გაიგო ალექსანდრე ჯავახიშვილთან ასპირანტი ვიყავი, ფიზიკური მუშაობისთვის უვარგისად გამომაცხადა. მან მიშველა: ერთადერთი ადამიანი ვიყავი იმ ნაკადიდან, ვინც ცოცხალი დავრჩი.

უნივერსიტეტში არ დავბადებულვარ, თორემ ქართველ მეცნიერთა ამ სათაყვანებელ ტაძარში გავატარე მთელი ჩემი ხანგრძლივი ცხოვრება. II კურსიდან ჯერ ლაბორანტი ვიყავი, შემდეგ უფროსი ლაბორანტი, შემდეგ ასისტენტი, კათედრის გამგე. საკანდიდატო დისერტაცია 27 წლის ასაკში დავიცავი თემაზე — „შიდა ქართლის ბარის დასავლეთური ნაწილის გეომორფოლოგია“, ზუსტად 20 წლის შემდეგ სადოქტორო დისერტაციაც გავაკეთე: „აჭარათორაღეთის მთაგრეხილის გეომორფოლოგიის შესახებ“. დოქტორი რომ გავხდი, სწორედ მაშინ მარჩუა ბატონმა ალექსანდრე ჯავახიშვილმა სახსოვრად საქართველო ყველაზე დიდი რუკა და თავისი ფოტოსურათი წარწერით.

აკადემიკოსი ალექსანდრე ჯავახიშვილი, რომელსაც ქართველ გეოგრაფთა პატრიარქსაც ეძახიან, მამასავით მპატრონობდა. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, რადგან უნივერსიტეტში ადგილი არ იყო, გორის პედაგოგიურ უნივერსიტეტში გამავაზენა ერთი წლით სამუშაოდ. შემდეგ კი კვლავ უნივერსიტეტში დამაბრუნა. რომ მოვთვალო, 5 000 სტუდენტი მაინც გამიზრდია. 30 წლის განმავლობაში ორ ფაკულტეტურ საგანს ვკითხოვლობდი — „ზოგადი დედამიწათმცოდნეობა“ და „ზოგადი გეომორფოლოგია“. ჩემს ხელში გეოგრაფთა არაერთი თაობა აღზრდილი.

ივანე ჯავახიშვილის რექტორობა არ ვიცი, მაგრამ 1938 წლიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც სტუდენტი გავხდი, 15 რექტორს მოვესწარი. პირველი გიორგი კიკნაძე იყო, შემდეგ დავით ყიფშიძე, ძონენიძე, ჯანელიძე, კეცხოველი, ვეკუა, აყვლობელი და ა.შ. ვისაც ვიცნობდი, მათ შორის ყველაზე საუკეთესოებს დავასახელებ: ნიკო კეცხოველი, ილია ვეკუა და ვლადიმერ პაპავა — ესენი იყვნენ დიდი მეცნიერები და დიდი ადამიანები. ვლადიმერ პაპავა მაშინ გავიცანი, როდესაც რექტორად აირჩიეს, ვიცოდი რომ ჩვენშიც და უცხოეთშიც აღიარებული მეცნიერი იყო. რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი ვიყავი. ყოველ შეკრებაზე გულიანი და საქმიანი მსჯელობა გვქონდა. ასე მიიღებოდა გადაწყვეტილებები და შემდეგ ძალიან სწრაფად ხდებოდა კიდევ მათი სისრულე მოყვანა. აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა დიდი მეცნიერი და მისაბაძი წევრის ადამიანია, რომელსაც ჯერ კიდევ ბევრი სასიკეთო საქმე აქვს გასაკეთებელი ქვეყნისა და მეცნიერებისთვის.

მომამბადა ლელა კურდღელაშვილი



„ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის ქმედუნარიანობა — კანონმდებლობისა და პრაქტიკის ევროპეიზაცია“

ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის ქმედუნარიანობის მომწესრიგებელი კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის ევროპეიზაციის საკითხებზე თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტმა სამეცნიერო კონფერენცია გამართა. ღონისძიებაში თსუ-ის სტუდენტებთან ერთად ბათუმის უნივერსიტეტის სტუდენტებმაც მიიღეს მონაწილეობა. კვლევები წარმოადგინეს პროფესორ-მასწავლებლებმაც. სამეცნიერო მოხსენებები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის გადაწყვეტილებისა და მის საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების განხილვას ისახავდა მიზნად, რის მიხედვითაც ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებს უფრო მეტი უფლებები მიეცათ. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსში შევიდა ცვლილებები და გაუქმდა ის მუხლები, რომელიც უგულვებელყოფდა აღნიშნული პირების ნების ავტონომიას.



ანუ მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა, იგი დიფერენცირებულია და ითვალისწინებს გარიგების სირთულეს და ამ პირის მდგომარეობას.

თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტის ფარგლებში მუშაობს სტუდენტთა სამეცნიერო ჯგუფი. ბევრი აქტიუალური მოხსენება იყო, მათ შორის ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირთა ქორნიების, ღირსების საკითხებზე. თანამედროვე იურისპრუდენციისთვის ეს თემები ძალიან მნიშვნელოვანია, — განაცხადა იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ თამარ ზარანდიამ.

საქართველომ სამოქალაქო სამართლის რეფორმის განხორციელებისას აირჩია ევროპული, უპირატესად გერმანული სამართლის რეცეფციის გზა და არა —

„ესენგე“-ს მოდელური კოდექსი, რომელსაც, ფაქტობრივად, ბევრი უცხო-საბჭოთა ქვეყნის სამართალი დაეყრდნო.

„2014 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო და არაკონსტიტუციურად ცნო სამოქალაქო კოდექსის მთელი რიგი ნორმები. ამის შემდეგ საქართველოს პარლამენტმა საკანონმდებლო აქტების პაკეტი მოამზადა. პარლამენტმა ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირები გამოაცხადა ქმედუნარიანებად და შემოიღო ახალი — მხარდამჭერის ინსტიტუტი. მხარდამჭერები ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებს ეხმარებიან საკუთარი ნების გამოვლენის პროცესში, რაც არ შეიძლება განვიხილოთ ნების ჩანაცვლებად, როგორც ეს ხდება მეურვეობის დროს. ეს იყო ორი ხელი-სუფლების — სასამართლოსა და პარლამენტის

ისტორიული გადაწყვეტილება, რითაც ჩვენი კანონმდებლობა ევროპული კონვენციით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან პარმონიზაციაში მოვიდა, — განაცხადა თსუ-ის თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ტეასარიონ ზოიძემ.

„ჩემი თემა ღირსების უფლებას ეხებოდა. ეს საკითხი მიმოვიხილე მისი აბსოლუტურობის თვალსაზრისით, გარდა ამისა გავანალიზე ევროსასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, პირამიდის სისტემა არაჰუმანური მოპყრობის ქრლიში. სწორედ, ამ კონტექსტში მიიღო საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილება და ფსიქოსოციალური დანბარების შესახებ საქართველოს კანონის მე-15 მუხლები მე-3 პუნქტი არაკონსტიტუციურად ცნო იმ ნაწილში, რომ ექიმს არ უნდა ჰქონდეს უფლება კონკრეტულ შემთხვევაში შეზღუდოს პირის ღირსება და თუ იგი საფრთხეს წარმოადგენს საზოგადოებისთვის დაუშვას მის მიმართ არადამიანიური მოპყრობა“, — აღნიშნა იურიდიული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა მარიკა დუმბაძემ.

სამეცნიერო კონფერენცია „ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის ქმედუნარიანობა — კანონმდებლობისა და პრაქტიკის ევროპეიზაცია“ 8 ივნისს ივანე ჯავახიშვილის 140 წლის იუბილეადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში გაიმართა.

ნატო ოგოლაძე



თსუ-ში სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ლაბორატორიები ამუშავდა

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოში 2015 წლიდან გაიხსნა და სტუდენტების პირველი ნაკადიც მიიღო. ამერიკულ საბაკალავრო პროგრამებზე, რომლებიც ტექნოლოგიურ და საინჟინრო დარგებს მოიცავს (STEM — Science, Technology, Engineering, Math), პირველ წელს 86 ყველაზე მაღალი მაჩვენებლების მქონე აბიტურიენტი ჩაირიცხა.

თუ სტატისტიკას გადავხედავთ, ბოლო 10 წელიწადში მთ სპეციალობებზე მოთხოვნა 10-ჯერ გაიზარდა. როგორც სან დიეგოს უნივერსიტეტის გაზეთი "Generation STEM" გვამცნობს, ახლახან გამოქვეყნდა BBC-ს მონაცემები, რომელშიც აღნიშნულია, რომ ელექტრონიკის ინჟინერები, ბიოინჟინერები და პროგრამისტები მონივრულ რიგებს იკავებენ მსოფლიოში ყველაზე მოთხოვნილი სპეციალობათა ჩამონათვალში. აქვე მითითებულია ეს-ტონეთის მავალითი, რომელმაც სწორედ STEM დარგების განვითარებით მიიღწია წარმატებები (სწორედ აქ, ტაივანის და ტარტუს უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ შეიქმნა Skype, რასაც მოყვება მრავალი მსხვილი უცხოური კომპანიის ფილიალის გახსნა ესტონეთში).



კენ უოლში

შეცვლა მიიღო ქართველი სტუდენტების სახით. ახლად გახსნილი ლაბორატორიების სასწავლო პროგრამაში ჩართვით კმაყოფილი არიან სან დიეგოს უნივერსიტეტის ქიმია-ბიოქიმიის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტებიც. ერთ-ერთი მათგანის, მაგდა აფციაურის თქმით, იმის გარდა, რომ ლექციებზე თეორიას ასწავლიან, აქვს კარგი პირობები პრაქტიკული გამოცდილების მიღებისთვის. «ეს ლაბორატორია, რომელშიც მიმდინარეობს ჩვენი პრაქტიკული მეცადინეობები, სადაც თითოეული საკუთარი ხელით ვეხებით ყველა აპარატს და ვატარებთ ექსპერიმენტს, ეს კარგ გამოცდილებას მისცემს სტუდენტებს, რომ პროფესიას საფუძვლიანად დაეუფლონ», — აღნიშნა მან.

საქართველოში ამერიკული განათლების საუკეთესო მანსი უწოდებს სან დიეგოს უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამებს ლიკათათარაშვილმა და დიმიტრი ლაშხმა. «აქ ჩვენი საშუალება გვეძლევა ძვირად ღირებულ აპარატურასთან მუშაობის. გვანდინ ბევრ სასწავლო მასალას და ინფორმაციას ქართული უნივერსიტეტებთან შედარებით, რაც კარგი მანსია იქნება, რომ საუკეთესო სპეციალისტებად ჩამოყვალბოდე», — განაცხადეს მათ ჩვენთან საუბარში.

სან დიეგოს უნივერსიტეტი-საქართველოს სასწავლო პროგრამებსა და განვითარების პერსპექტივებზე მისი დეკანი ქან უოლშიც გვესაუბრა.

პირველი სემესტრის მაჩვენებლებით, ქართული სტუდენტების შედეგები კარგად უფრო მაღალია

— ბატონო კენ, რა იყო ამერიკის მთავრობის და სან დიეგოს უნივერსიტეტის მიზანი, რატომ გადაწყვიტა მან საქართველოს განათლების სისტემას ფილიალის გახსნით დაეხმაროს? რატომ აირჩა მაინცდამაინც საქართველო?

— ამ პროექტის განმახორციელებელი, ამერიკის მხრიდან, არის ათასწლეულის გამოწვევების ფონდი, რომლის ძირითადი მიზანია — მეცვალის ქვეყანაში მდგომარეობა და დაეხმაროს მას ეკონომიკური ზრდის მიღწევისთვის. ამგვარი პროექტების პირველი ეტაპი არის იმის დადგენა, თუ რომელი მიმართულების განვითარება სჭირდება ქვეყანას. შესაბამისად, საქართველომ ასე შეაფასა თავისი მდგომარეობა, რომ განათლება და ამ სფეროში ჩადებული ინვესტიცია იქნებოდა მისთვის მნიშვნელოვანი. ამიტომ გადაწყვიტა, რომ სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი აქ გახსნიდა თავის სასწავლო კურსს.

ქვეყნებისადმი, რომლებიც ამ პროექტებში არიან ჩართულები, არის გარკვეული მოთხოვნები: კერძოდ, უნდა ჰყავდეს კარგი მთავრობა



და უნდა იყოს დაბალი კორუფციის დონე... ბევრი არ არის ასეთი ქვეყანა, ცოტაა და საქართველო იყო პირველი, რომელმაც ამ კუთხით დახმარება მოითხოვა.

— ეროვნულ გამოცდებზე სან დიეგოს უნივერსიტეტს საკმაოდ მაღალი წვდარი აქვს დაწესებული. ცხადია, პირველივე წელს მაღალი დონის სტუდენტებიც მიიღო. მას შემდეგ დრო გავიდა... როგორ შეაფასებთ დღეს ქართველი სტუდენტების ცოდნის დონეს?

— როცა ჩამოვედით, პირველი, რა კითხვაც დავსვით, სწორედ ის იყო, თუ რამდენად მაღალი ცოდნის დონე ექნებოდათ ჩვენთან ჩაბარების მსურველებს. ახლა 86 სტუდენტი გვყავს და მეორე ნაკადში 100-ზე მეტს ველოდებით. თავიდან ჩვენც არ ვიცოდით, რა მოლოდინი უნდა გვქონოდა და სასიამოვნოდ გაკვირვებულნი დავრჩით — პირველი სემესტრის მაჩვენებლებით, ქართველი სტუდენტების შედეგები ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე ამერიკელებსია. მათ ცოტა პრაქტიკული მიმართულებით უჭირთ, რადგან სან დიეგოს სკოლებში არის უფრო მეტი ლაბორატორია და პრაქტიკული მეცადინეობები, ვიდრე თეორია. აქ სკოლებს არ აქვთ კარგად აღჭურვილი ლაბორატორიები, ამდენად, თეორიული ცოდნა არის უფრო მაღალი, თუმცა ქართველი სტუდენტები ძალიან სწრაფად ითვისებენ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებსაც.

— არის თუ არა ამერიკული ლაბორატორიების ადეკვატური ის აპარატურა, რომელიც საქართველოში ჩამოვიდა და რომლითაც ლაბორატორიები ამიჭურვდა?

— ყველა ცდა და ექსპერიმენტი, რაც თბილისის ლაბორატორიებში ტარდება, არის ზუსტად ისეთი, როგორც სან დიეგოს უნივერსიტეტშია. აქ მუშაობს ამერიკულის იდენტური სასწავლო პროგრამა — იკითხება იგივე ლექციები, ტარდება იგივე სემინარები და სტუდენტებს ეძლევათ იგივე დავალებები... ამდენად, ინფრასტრუქტურაც ამერიკულის ადეკვატური უნდა იყოს.

რაც შეეხება ლაბორატორიას — მაქსიმალურად ცვდილობთ, რომ თბილისში არსებულ ლაბორატორიებში დავამსგავსოთ ამერიკულ ლაბორატორიებს. ამიტომ ყველა ის ხელსაწყო, რაც აქ ჩამოიტანეთ, შეიძლება უფრო ახალი და თანამედროვეც კია, ვიდრე — სან დიეგოში. უბრალოდ, იქ სწავლობენ როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სტუდენტები, აქ კი, ვერ მხოლოდ საბაკალავრო პროგრამა და ცხადია, ლაბორატორიაც ამ საფეხურის შესაბამისია.

— არის პერსპექტივა, რომ აქ გაიხსნას სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებიც?

— ცხადია, როცა უკვე გვეყოლება საბაკალავრო საფეხურის კურსდამთავრებულები, გაიხსნება სამაგისტრო და სადოქტოროც.

— კარგია, რომ ამ დონის უმაღლესი სასწავლებელი გაიხსნა საქართველოში, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ აქ დასაქმების პერსპექტივა თითქმის არ არის. როგორ ფიქრობთ,

სად შეიძლება დასაქმდნენ კურსდამთავრებულები და როგორ შეიძლება მოერგონ ისინი ქართული დასაქმების ბაზარს ან რა უნდა გააკეთოს მთავრობამ, რომ ამგვარი მაღალი დონის სპეციალისტები არ დარჩნენ დაუსაქმებლნი?

— კარგი კითხვაა. ჩვენ უკვე დაწყებული გვაქვს ამაზე მუშაობა, რადგან მივხვდით, რომ არ გამოგვადგება მხოლოდ მას შემდეგ ამაზე ფიქრი, რაც ჩვენი სტუდენტები უკვე დაასრულებენ სწავლას. ვეძებთ ორგანიზაციებს, რომლებიც დასაქმებულ კურსდამთავრებულებს გვყავს მრჩეველთა საბჭო, რომელშიც გაერთიანებული არიან წარმომადგენლები სხვადასხვა ორგანიზაციებიდან და კომპანიებიდან. ეს საბჭო ვერ კიდევ მანამ შეიქმნა, ვიდრე სტუდენტებს მივიღებდით უნივერსიტეტში. ისინი გვეუბნებოდნენ რა შეიძლება გაგვეკეთებინა უკეთ და რა მიმართულებით უნდა გვეფიქრა კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე.

საქართველოში ამ ეტაპზე არსებობს დასაქმების სამი გზა: ერთი გზა — გამოვიყენოთ უკვე არსებული კომპანიები, რომელთაც STEM დარგებში განათლებამიღებულ სპეციალისტების დასაქმების მოთხოვნა აქვთ. ამ კომპანიებს საზღვარგარეთიდან ჩამოყვავთ სპეციალისტები, რადგან აქ ვერ პოულობენ მათ... ამას აქვს ორი დიდი ნაკლი — ერთი, რომ ის ძალიან ძვირია, და მეორე — გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ეს სპეციალისტები თავიანთ ქვეყნებში ბრუნდებიან და საქართველოს არაფერი რჩება; დასაქმების მეორე გზა არის ის, რომ გაიზარდოს/განვითარდეს ის კომპანიები, რომლებიც საქართველოს ბაზარზე ფუნქციონირებენ. აქამდე ისინი ამას ვერ ახერხებდნენ, რადგან არ ჰყავდათ ადეკვატური სპეციალისტები. ახლა ეყოლება და ამ მიმართულებითაც ვხედავთ დასაქმების შესაძლებლობას; მესამე გზა არის — საერთაშორისო კომპანიებში დასაქმება, რომლებიც აქ, საქართველოში შექმნიან წარმომადგენლობებს, როცა სათანადო კადრები ეყოლება. ხოლო თუ ამ სამ გზას ვერ გამოიყენებენ, მაშინ თავად ჩვენმა კურსდამთავრებულებმა უნდა დააარსონ კომპანიები და დაიწყონ ბიზნესი ამ მიმართულებით. სხვათა შორის, ეს ბევრად პერსპექტიულიც იქნება. ზოგიერთი ჩვენი სტუდენტი უკვე აკეთებს კიდევ ამას. მიუხედავად იმისა, რომ ისინი პირველ კურსზე არიან, ქმნიან კომპანიებს, აპატენტებენ თავიანთ პროდუქციას და ა.შ. ასეთი პრაქტიკა, მაგალითად, სან დიეგოში არ არსებობს.

ორ კვირაში გავმართავთ დასაქმების ფორუმს, სადაც ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეეძლება გაეცნონ ჩვენს სტუდენტებს და, სურვილის შემთხვევაში, სტაჟირებაზე მიიღონ ისინი. სხვათა შორის, მსურველი იმაზე მეტია, ვიდრე ჩვენ სტუდენტს გვყავს. ამ ზაფხულს ასევე გვგეგმავს — ბევრი სტუდენტი გავუშვათ ამერიკაში სტაჟირებაზე, საიდანაც კარგ ცოდნას ჩამოიტანენ.

მაია ტორაძე



თსუ-ის გენდერის კვლევების ინსტიტუტმა ღია კარის დღე გამართა

სამაგისტრო პროგრამა გენდერის კვლევებში ამ დარგში პირველი და ერთადერთი სამაგისტრო პროგრამაა მთელ კავკასიაში. პროგრამის ჩამოყალიბებას საფუძვლად დაედო მჭიდრო თანამშრომლობა სოციალურ მეცნიერებთა ცენტრის (თბილისი), რატგერის უნივერსიტეტსა (აშშ, ნიუ ჯერსი) და ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის (უნგრეთი, ბუდაპეშტი) გენდერის კვლევის პროგრამებს შორის. გენდერის კვლევების ინტერდისციპლინარული სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს აქვთ უნიკალური შესაძლებლობა, მიიღონ დასავლური სტანდარტების შესაბამისი სამაგისტრო განათლება სო-

ციალურ მეცნიერებებში; შეისწავლონ გენდერული თანასწორობის საკითხები სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროში, ქალთა უფლებების ისტორიული და თანამედროვე ასპექტები, ფემინისტური თეორიები.

„გენდერის კვლევების ინსტიტუტი 2012 წლიდან ფუნქციონირებს. სოციალურ მეცნიერებთა ცენტრის ბაზა 2003 წლიდან არსებობდა, ხოლო 2012 წელს ინსტიტუტის სახით გამოვეყო. ამ დროისთვის ფუნქციონირებს გენდერის კვლევის სახელმწიფო პროგრამა, გენდერის კვლევების საერთაშორისო სადოქტორო პროგრამა და გენდერის კვლევების საბაკალავრო მაინორ პროგრამა“, — განაცხა-

და გენდერის კვლევების ინსტიტუტის ადმინისტრატორმა მარი უნაფქოშვილმა.

გენდერის კვლევების სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის ხანგრძლივობა 2 აკადემიურია წელია. სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობს. როგორც ინსტიტუტში აცხადებენ, ბოლო ორი-სამი წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, სამაგისტრო პროგრამის მიმართ სტუდენტების ინტერესი გაიზარდა და კონკურსი საკმაოდ დიდია. სამაგისტრო პროგრამაზე ყოველ წელს 10 მისაღები ადგილია.

„მაგისტრატურა დავამთავრე პოლიტიკური მეცნიერებების განხრით, თუმცა გენდერის თემატიკა მაინტერესებს. „მწვანე მოძრაობის“

წევრი ვარ და აქტიურად ვმუშაობთ მწვანე პოლიტიკაში გენდერის საკითხების შემოტანაზე. საქართველოში ჩვენი ორგანიზაცია ერთ-ერთი პირველია, რომელიც გარემოს საკითხებზე და პარალელურად თანასწორობის თემატიკაზეც მუშაობს. სწორედ, აქედან წამოვიდა ჩვენი ინტერესი გენდერის კვლევების სამაგისტრო პროგრამის მიმართ და ასევე, ვიცი, რომ ეს პროგრამა ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოში“, — აღნიშნა ირა სილანტევაძე.

თსუ-ის გენდერის კვლევების ინსტიტუტმა ღია კარის დღე 9 ივნისს გამართა.

ნათო მკოლაძე



კოლეგების „მუჯღუბუნების“ გამო

18 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა პრეზენტაცია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის (ხელმძღვანელი ირაკლი უჯმაჯურიძე) სპეციალური პროექტისა: „სა-საქონლო მარაგების სამხედრო-ტექნიკურ ტერმინთა ლექსიკონი“, რომლის მომზადებაში მონაწილეობდნენ თსუ-ის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ტერმინოლოგიები (იმ მეორადუნის საფუძველზე, რომელიც დაიდო 2014 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის).

ამ ღონისძიების შესახებ ცნობის გამოქვეყნებას დაუყოვნებლივ მოჰყვა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ლექსიკოგრაფიული ცენტრის თანამშრომელთა ერთობ თავშეუკაცვებელი განცხადება — მიმართული ენათმეცნიერების ინსტიტუტის მისამართით (განცხადება სოციალურ ქსელში ცენტრის ხელმძღვანელის ქ-ნ თ. მარგალიტაძის გვერდზე გამოქვეყნდა).

არანაკლებ სამწუხაროა, რომ ამ განცხადებას დაერთო საკმაოდ არამოზომილი, უაპელაციო გამოხმაურებები, მათ შორის ოფიციალური პასუხისმგებელი პირებისა — რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და განათლების სამინისტროს ქართული ენის სამმართველოს ხელმძღვანელებისა... მართლაც კურორზულია, საჯარო პირები ასეთ ტენდენციურ, მკვეთრად უარყოფით შეფასებას აკეთებდნენ იმ ინსტიტუტის მიმართ, რომელიც 80 წელია ლამის ერთადერთი დგას ქართული აკადემიური ტერმინოლოგიის სა-დარაჯოზე.

სამეცნიერო საზოგადოებას ნამდვილად არ ესწავლება, ვინ ვის შეიძლება ელაპარაკოს საზოგადოების „ღირსეული ნაწილის“ სახელითა თუ „მუჯღუბუნების“ არგუმენტებით, მაგრამ ენათმეცნიერების ინსტიტუტმა მაინც მიზანშეწონილად მიიჩნია, ინსტიტუტის სამეცნიერო მუშაობაში მონაწილეობის სა-მეცნიერო საბჭოზე მოიწვიოთ განმცხადებლები და მათი მხარდაჭერები და კოლეგიალურ ვითარებაში აეხსნათ მათთვის ბრალდების უსაფუძვლობა. სამწუხაროდ, ასეთი აკადემიური საუბარი არც ერთმა არ ისურვა! სამაგიეროდ, ახლა უკვე გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ 2016 წლის 31 მაისის ნომერში გაასაჯაროვა თსუ-ის ლექსიკოგრაფიულმა ცენტრმა ზემოაღნიშნული უტაქტო გამოხმაურება (მკითხველი იქვე ნაიკითხავს ინფორმაციას ზემოაღნიშნული პრეზენტაციის შესახებ).

ამის გამო ჩვენ იძულებული ვართ, ასევე საჯაროდ განვმარტოთ, რომ ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიმართ გამოხატული ეს აგრესია თავიდან ბოლომდე უსამართლოა.

ფაქტი პირველი:

ცენტრის თანამშრომელთა განსაკუთრებული გულისწნობა გამოუწვევია იმას, რომ თითქოს პრეზენტაციაზე წარმოდგენილი შრომის ავტორებს არ გაუთვალისწინებიათ პროექტი, რომლის საფუძველზეც მათ 2008 წელს თავდაცვის სამინისტროსთან ერთად შექმნეს სამხედრო ტერმინთა ინგლისურ-ქართული ელექტრონული ლექსიკონი, რაც, ავტორთა აზრით, „ცნობილი იყო, როგორც უნივერსიტეტისთვის (იხ. ლექსიკოგრაფიული ცენტრის ვებ-გვერდი უნივერსიტეტის საიტზე), ისე არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტისათვის“.



გასაკვირია ლექსიკოგრაფიული ცენტრის თანამშრომელთა პრეტენზია იმ ინსტიტუტის მიმართ, რომელსაც თითქმის ოცწლიანი თანამშრომლობა აკავშირებს თავდაცვის სამინისტროსთან და ამ სამინისტროს მიერ კვალიფიციური ტერმინოლოგიების ცოდნა არაერთგზის ყოფილა გამოყენებული. თვით ზემოაღნიშნული პროექტის პირველსავე წარდგინებაზე ენათმეცნიერების ინსტიტუტში საგანგებოდ იქნა მოწვეული ყველა ის პირი, რომლებიც სამხედრო ტერმინოლოგიაზე მუშაობდნენ, მათ შორის, ქალბატონი თ. მარგალიტაძე და დიდი სამხედრო განმარტებითი ლექსიკონის ავტორი ე. მეძმარიაშვილი (ე. მეძმარიაშვილის პროექტი რუსთაველის ფონდის მიერა დაფინანსებული). ქალბატონ თინათინს კარგად მოეხსენება ის, რომ „სასაქონლო მარაგების სამხედრო-ტექნიკურ ტერმინთა ლექსიკონის“ ლექსიკოგრაფიული ცენტრის მიერ შექმნილ ინგლისურ-ქართულ სამხედრო ლექსიკონთან არავითარი საერთო არა აქვს. ეს არის თავდაცვის სამინისტროს მარაგების ნომენკლატურა, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა დარგის კლასებსა და ქვეკლასებს. იგი, როგორც თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური აღნიშნავს, ამ მიმართულებით ნამდვილად პირველი ლექსიკონია.

ფაქტი მეორე:

ცენტრის თანამშრომლები ასევე „შეგვახსენებენ“ ივ. შაიშველაშვილის „რუსულ-ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის“ არსებობას. ივ. შაიშველაშვილის ლექსიკონი, რომელიც 1987 წელს გამოიცა, მართლაც მნიშვნელოვანი ნაშრომია (თუმცა არა პირველი) ამ სფეროში. ამავე დროს, ამ ლექსიკონის წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ მასალის მომზადებაში მონაწილეობდნენ ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილების თანამშრომლები და მისი რედაქტორი გახლდათ ამ განყოფილების გამგე როგნედა ლამბაშიძე. ლექსიკონზე მუშაობისას ბევრი სიტყვა დაზუსტდა და ქართული ტერმინოლოგიური სიტყვანარმოების საფუძველზე გაიმართა. მართლაც, უხერხულია, ივ. შაიშველაშვილის ლექსიკონის რედაქციასთან დაკავშირებულ ჯგუფს უსაყვედურო მისი უგულვებლყოფა!

ფაქტი მესამე:

რა თქმა უნდა, ვეთანხმებით თსუ-ის ლექსიკოგრაფიული ცენტრის თანამშრომლებს იმაში, რომ „რაც მეტი აკადემიური ლექსიკონი

გამოვა საქართველოში, მით უკეთესია ენისთვის და ქვეყნისთვის“, თუმცა ვაზუსტებთ: სწორედ ამ აკადემიური ლექსიკონების შესაქმნელადაა საჭირო გამოკვეთილი ერთიანი ტერმინოლოგიური პოლიტიკა, რომელიც, სამწუხაროდ, ბოლო დროს საქართველოში აღარ არსებობს. არც ერთ საქმეს ისე არ აზიანებს შეუთანხმებელი და უმართავი მუშაობა, როგორც ტერმინოლოგიას. დღევანდელი ტერმინოლოგიური სიტყვებისა და გაუმართაობის უპირველესი და უმთავრესი მიზეზი ქართული ტერმინოლოგიური სკოლის მიერ დასახული გზის სრულიად დაუსაბუთებელი უარყოფა და „ახლის“ უმედვო ძიებაა, რასაც საგრანტო ბრძოლის ხერხებიც უწყობს ხელს! თითქმის მ ათეული წლის განმავლობაში ჩამოყალიბებული ქართული ტერმინოლოგიური სკოლა ეფუძნებოდა მანამდე არსებულ ქართულ ტერმინოლოგიურ კვლევებსა თუ მეთოდებს. სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილებაში, რომელიც 1936 წლიდან არსებობს, ტერმინოლოგიური მუშაობა რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობდა:

1. იქმნებოდა სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიური ლექსიკონები;
2. იკვლევდნენ ძველ ქართულ ტერმინებს და მათი წარმოების მოდელებს;
3. სწავლობდნენ ქართულ დიალექტებში შემონახულ დარგობრივ ტერმინებს და ეს მასალა დაცულია ენათმეცნიერების ინსტიტუტის სპეციალური ფონდების სახით (სახელმწიფო დაფინანსების გონივრული ხარჯვის შემთხვევაში ამ მასალებს ელექტრონული არქივი უკვე იარსებებდა!).

უუკოლ ბერიძისა და როგნედა ლამბაშიძის ხელმძღვანელობით შექმნილი რამდენიმე ათეული დარგობრივი ტერმინოლოგია და შემუშავებული პრინციპები მრავალი ახალი ლექსიკონის შექმნის საფუძველია დღემდე. უმთავრესი, რაც ქართულ ტერმინოლოგიურ სკოლას ახასიათებდა — ეს იყო სპეციალისტების ერთობლივი მუშაობის პრინციპი. ლექსიკონს არ ქმნიდა ერთი ადამიანი ან თუნდაც ერთი ჯგუფი. ყველა დარგის ტერმინოლოგიური ლექსიკონების რედაქცია ემყარებოდა კვალიფიციური მსჯელობის შედეგებს. ინსტიტუტის მიერ კოორდინირებული ტერმინოლოგიური მუშაობის პროცესი თავისთავად გამოირჩევადა ქაოსსა და სიჭრელეს ტერმინოლოგიაში.

ტერმინებზე მუშაობის პროცესის წარმოსადგენად ენათმეცნიერების ინსტიტუტში

დაცული ფასდაუდებელი ოქმებიდან ერთერთის ნაკითხვაც საკმარისია:

ოქმი №43: „1959 წელი, თებერვალი. სხდომას ესწრებია: გიორგი ახვლედიანი, ვარლამ თოფურია, არნოლდ ჩიქობავა, ალექსანდრე კობახიძე, ლია კაიშაური, თავმჯდომარე — ქეთევან ლომთათიძე, მდივანი — ნუნუ საყვარელიძე. „დღის წესრიგშია: რუს. ც ასოზე საკომისიოდ წარმოდგენილ სიტყვათა თარგმანების განხილვა; 1. самоотвод — თვითაცილება. გიორგი ახვლედიანის აზრით, თვით აქ არ გამოდგება, უნდა იყოს „თავისაცილება“. არნოლდ ჩიქობავას შესაძლებლად მიაჩნია დარჩეს „თვითაცილება“, რადგან თვით უკვე დამკვიდრებულია მრავალ სიტყვაში: თვითგანვითარება, თვითმმართველობა და სხვ. 2. აზრი გამოთქვას სიტყვაზე сберток: გიორგი ახვლედიანს არ მოსწონს „შეკრულა“. ქეთევან ლომთათიძემ „ხვეულაც“ დაემატათო. არნოლდ ჩიქობავას უფრო მოხერხებულად მიაჩნია თარგმანი „შეკრა“, „შეკრული რამ“. დადგინდა: сберток — „შეკრა“, „შეკრული რამ“.

ეს ქართული საზოგადოების მემკვიდრეობაა, ისტორიაა, რომელიცა დღეს, სამწუხაროდ, გაფრთხილება სჭირდება. დაუჯერებელია, პლაგიატობა და ავტორთა უგულვებლყოფა დასწამო ამ მემკვიდრეობის დამცველ ინსტიტუტს.

ლექსიკოგრაფიის ისტორია არ იწყება 90-იანი წლებიდან, არც სხვადასხვა სამეცნიერო ფონდის დაარსებიდან. ამისი მტკიცება ქართული მეცნიერების დაკნინებაა.

გადაარჩინა თუ არა „პროექტულმა ეპოქამ“ ქართული მეცნიერება — ეს მომავალში აუცილებლად შეფასდება. ჯერჯერობით კი ერთი რამ დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ: უკანასკნელი პერიოდის ქართული ტერმინოლოგიის შემოქმედება გაცილებით ჩამორჩება აკადემიური სისტემის არსებობის დროინდელს. ელექტრონული ლექსიკონების შექმნასთან ერთად ბევრად უფრო ლექსიკონების შევსებარედაქციაც რომ გაგრძელდებოდა და ამ მიზნით უფრო ყაირათიანად წარმოებოდა და დარგის ისედაც მწირი ფინანსები, დღეს რაღაც დონეზე საქართველოშიც იარსებებდა აკადემიური ლექსიკოგრაფიული ინტერნეტ სივრცე (ასე მოხდა რუსეთსა თუ ბალტიისპირეთის ქვეყნებში, სხვა ევროპულ ქვეყნებში რომ არაფერი ვთქვათ), მაგრამ ამაზე დღესაც არავინ ფიქრობს...

ენათმეცნიერების ინსტიტუტი კი კვლავაც ერთგულად განაგრძობს ლექსიკოგრაფიულ მუშაობას, ავსებს და აახლებს დარგობრივ ტერმინოლოგიურ ლექსიკონებს. ამ ინსტიტუტის ინიციატივით უკვე სამი წელია იმართება ტერმინოლოგიური საკითხებისადმი მიძღვნილი კონფერენცია, რომელშიც აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები, ისინი, ვისაც ნამდვილად შესტიკვა გული ეროვნული მეცნიერებისთვის. ბევრი მათგანი ითხოვს კიდევ დაუბრუნდეს ენათმეცნიერების ინსტიტუტს ტერმინოლოგიური პოლიტიკის მართვის უფლება, რადგან, ცხადია, ერთიანი პოლიტიკის უქონლობამ საგრძნობი ზიანი მიაყენა ტერმინოლოგიურ მუშაობას.

თსუ-ის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და თარგმნითი ლექსიკონების განყოფილების თანამშრომლები

რევაზ სირაძის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია

2 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით პროფესორ რევაზ სირაძის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია „ძველი ქართული მწერლობის საკითხები“ გაიმართა, სადაც მეცნიერებმა და მკვლევრებმა საინტერესო მოხსენებები წარმოადგინეს.

სამეცნიერო სესიაზე მოხსენებებთან ერთად ფილოლოგიის დოქტორმა, პროფესორმა ლალი ურდულაშვილმა თავისი წიგნი, წერილებისა და ესეების კრებული „მზისა და ვაზის ძალით აღვსილი“ გააცნო დამსწრე საზოგადოებას, რომელიც მან თავისი პედაგოგის რეზო სირაძის ხსოვნას მიუძღვნა. „რევაზ სირაძე ეძიებდა მშვენიერსა და ამაღლებულს არა მხოლოდ ხელოვნებასა და ლიტერატურაში, ყოველდღიურ ცხოვრებაშიც,

ყოფაშიც, ადამიანურ ურთიერთობებშიც, თვით ადამიანშიც. რევაზ სირაძის სამეცნიერო კვლევა-ძიება არის უბრწყინვალესი ნიმუში ესთეტიკური აზრისა და მეცნიერული განსჯის უბადლო შერწყმისა. ბატონი რეზოს ობიექტურობითა და მიუკერძოებლობით აღსავსე მეცნიერული განსჯანი განმსჭვალულია მშვენიერებისა და ამაღლებული სახისმეტყველებით; თითოეული კვლევის, წერილისა თუ სამეცნიერო სტატიისთვის დამახასიათებელია დახვეწილი, ზომიერებით გაჯერებული მხატვრულ-გამომსახველობითი სტილი, რაც კიდევ უფრო მეტ დამაჯერებლობასა და ხიბლს მატებს მის მალალ, მეცნიერული ნიჭიერებით გამორჩეულ მემკვიდრეობას. იმ ადამიანთა რიცხვს მივეკუთვნებ, ვისაც წილად ხვდა რევაზ სირაძის მონაფიქობის პატივი, ჯერ კიდევ აბიტურიენტობიდან მისი სიცოცხლის დასასრულამდე, ამიტომ ვბედავ ვთქვა ორიოდ სიტყვა ჩემს დიდ მასწავლებელზე“, — ასე იხსენებს თავის პედაგოგსა და პროფე-



ელგუჯა ხინთიბიძე
სორ რეზო სირაძეს ლალი ურდულაშვილი. სამეცნიერო სესიაზე მოხსენებებით წარდგინდა ლაურა გრიგოლაშვილი („იოანე საბანისძე და ქართული ორიგინალური

მწერლობის ჟანრთა ფორმირების საკითხი“), ნესტან სულავა („მიქაელ მოდრეკილის მოღვაწეობის ლოკალიზაციისთვის ქართული კოდიკოლოგიური მონაცემების მიხედვით“), დარეჯან მენაბდე („ერთი ძველი რუსული თხზულების ქართული რეალიზები“), ელგუჯა ხინთიბიძე („ვის იმონებებს და რატომ იმონებებს რუსთაველი“), გრიგორ ფარულავა („ჰაგიოგრაფია — ლიტერატურული ჟანრი“), ლელა ხაჩიძე („სტეფანე პირველმონაქმე და ქართული ქრისტიანული კულტურა“), ნანა გონჯილაშვილი („გული“ ზინარული სემანტიკა და პარადიგმატიკური სახისმეტყველება „ვეფხისტყაოსანში“) და ხვთისო ზარნიძე („მინც რას და როგორ ასახავს იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება“).

როგორც სამეცნიერო სემინარზე აღინიშნა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართველოლოგიის დარგში კვლევები კვლავ წარმატებით გრძელდება.

შურთხია ბერიძე



ანდრო ბინაძე - 100

მესამე გვერდიდან

სტების მ. კელდისის, ს. ხრისტანოვიჩის, მ. ლავრენტიევის, ა. დოროსიანის, ფ. ფრანკლის და სხვათა წინაშე. 1950 წლის თებერვალში კი ჟურნალში „Доклады АН СССР“ გამოვიდა მისი სტატიები — ერთი ცალკე და ერთი მ. ლავრენტიევიან თანავეტრობით შერეული ტიპის განტოლებებთან დაკავშირებით. ორივე სტატია დასაბუთებდა ნარდგენილი იყო 1949 წლის შემოდგომაზე. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმის გამო, რომ ა. ბინაძის სტატიაში მოცემული იყო შერეული ტიპის განტოლებების გამოკვლევისთვის ფრიალ საჭირო ახალი პრინციპი. 1950 წლის მაისში ეს პრინციპი ორმა ფრანგმა მათემატიკოსმაც აღმოაჩინა, მაგრამ ა. ბინაძის ნაშრომი ადრე იყო დაბეჭდილი და ამის გამო, აღნიშნული შედეგი ახლა „ბინაძის პრინციპის“ სახელით არის ცნობილი. წელიწადნახევრის განმავლობაში ჩატარებული ნაყოფიერი შრომის შედეგად მან გააფორმა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „შერეული ტიპის განტოლებების პრობლემისათვის“ და წარადგინა დასაცავად ვ. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წინაშე. 1951 წლის გაზაფხულზე შედგა სადოქტორო დისერტაციის დაცვა. ოპონირებას უწევდნენ მ. კელდისი, ს. სობოლევოვი, ი. პეტროვიჩი და ა. ტიხონოვი. დისერტაციაში დასმულ ამოცანებს მან ისეთი მოხდენილი გადაწყვეტა მოუძებნა, რომ სიმკაცრით განთქმულმა შემდგომი მათემატიკის, შედეგები ძალიან ნატიფად და მნიშვნელოვნად ჩათვალა და თავის მონოგრაფიაშიც კი შეიტანა.

1951-1959 წლებში ანდრო ბინაძე ვ. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერთანამშრომელია. იგი აღიარეს სხვათაგან მკვლევარად მათემატიკის სხვადასხვა მომიჯნავე დარგში, მათ შორის მართლიან ექსპერტად. მისი აზრი ანტიერესებდო და ანგარიშს უწევდნენ ყველა დონეზე. ბატონი ანდროს შედეგები იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ მალევე ითარგმნა რამდენიმე ენაზე, მათ შორის ჩინურზეც. ეს თარგმანები მისი პეკინში მინვერის მთავარი მიზეზი გახდა. მას საერთოდ მრავალი ქვეყანა ჰქონდა მოვლილი, მაგრამ განსაკუთრებით დიდი პირობით მოუწია ჩინეთში ყოფნამ. იგი 1957 წლის 1 ოქტომბერს ჩაფრინდა პეკინში და მასწავლებელი დაიწყო პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობა. მისმა ლექციებმა დიდი ინტერესი გამოიწვია და მრავალი ჩინელი მათემატიკოსი დაინტერესდა მის მიერ შეთავაზებულმა თემატიკამ. ჩინეთში მისი მოღვაწეობა უამრავი მადლობით და სიგელით აღინიშნა.

ჩინეთში ყოფნისას, 1958 წლის მარტში მოსკოვიდან მას აკადემიის პრეზიდენტი ა. ნეს-მეიანოვი შეხვდნენ, რათა დათანხმებულიყო კენჭს ეყარა აკადემიის ნევროკონსპონდენტის ვაკანტურ ადგილზე ციმბირის განყოფილების ხაზით. შემდეგ მან აკადემიის ფიზიკისა და მათემატიკის განყოფილების აკადემიკოსმდინების მ. ლავრენტიევის ანალოგიური მინაარსის დეპუტატად მიიღო და არაეის გაკვირვება, როდესაც 1958 წელს, 42 წლის ასაკში, იგი სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ნევროკონსპონდენტად აირჩიეს.

1959 წელს ბატონი ანდრო ოჯახთან ერთად ნოვოსიბირსკში გადავიდა. ეროვნებით ბელორუსი მეუღლე, მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ნინა ალექსანდრეს ასული ბადერკო წლებში განმავლობაში თავისი სპეციალობით მუშაობდა მოსკოვში. ნოვოსიბირსკში კი იგი უნივერსიტეტის უცხო ენების კათედრის ხელმძღვანელი გახდა. მასში ძალიან პაატარა, ნიჭიერი შეილი ანდრია, ახლა პოლიტოლოგიისა და ისტორიის პროფესორია.

ცნობილია ის დიდი ღვაწლი, რაც ნოვოსიბირსკის სამეცნიერო ცენტრად ჩამოყალიბებაში მისი უნივერსიტეტის პირველ რექტორს, აკადემიკოს ილია ვეკუას მიუძღვის. ამ აღმშენებლობაში მისი ერთერთი თანამდგომი ანდრო ბინაძეც იყო. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბატონი ანდრო ყოველთვის აქტიური იყო, რაც განსაკუთრებით ციმბირში მუშაობის წლებში გამოვლინდა. მან დიდი შრომა გასწია ნოვოსიბირსკის აკადემიკალის დაფუძნებასა და განვითარებაში. ხელმძღვანელობდა ფუნქციონალური განყოფილების მათემატიკის ინსტიტუტში და ამავე დასახელების კათედრას ნოვოსიბირსკის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მისი სემინარები და ლექციები თავიდანვე პოპულარული იყო. ა. ბინაძის ცნობილი სემინარი უხვად იზიდავდა დამწყებ თუ გამოცდილ სპეციალისტებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. იგი იმდენად მარტყვად და დასაბუთებდა მის ცემად ახალ აქტუალურ პრობლემებს უკვე მიღებულ შედეგებს, რომ მსმენელებს ბუნებრივად უჩნდებოდათ მათი გაღრმავების და განხილვის სურვილი. ა. ბინაძის უფროსი სემინარის სტილი, სადაც კი ტარდებოდა, მუდამ უცვლელი იყო. იგი ყველასგან დაბრკოლებათა გადალახვის საკუთარ გზების მოძიებას მოთხოვდა. ეს ყველაფერი განსაკუთრებულად მიმდევრულ ხდოდა ა. ბინაძის გვერდით მუშაობას. ამ მომენტებმა მნიშვნელოვნად განაპირობა მისი მონაწილეობა და მიმდევრების მრავალ-

რიცხოვნება როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში. ბევრი მათგანი შეიძლება სულაც არ დასწრებია ანდრო ბინაძის სემინარებს, მაგრამ თავს მაინც მის მოწაფედ თვლიდა და თვლის, რადგან სამეცნიერო თემატიკას მისი ნაშრომებიდან ეზიარა. ანდრო ბინაძის სახელმძღვანელოები, სტატიები და მონოგრაფიები იმავე სულისკვეთების მატარებელია, როგორც მისი სემინარებზე სუფევდა. აზრის გამოთქმის მისი სხარტი და ლაკონური სტილი, საგნის ყოველმხრივ გააზრებული ნარმოცნა მხოლოდ მის სემინარებს და ლექციებს არ ახასიათებდა და მართო მის ნაშრომებს არ ატყეია. ბატონი ანდრო ძალიან ბევრისთვის სასურველი რედაქტორი იყო. ავტორები თვლიდნენ, რომ ა. ბინაძის ჩართულობით მათი ნაშრომები უმჯობესდებოდა.

1959 წელს გამოცემილმა „Наука“ გამოცემა ა. ბინაძის ძალიან ცნობილი მონოგრაფია „Уравнения смешанного типа“, რომელიც შემდგომ სხვადასხვა ენებზეც ითარგმნა. 1960 წელს დაარსდა სამეცნიერო ჟურნალი „Сибирский математический журнал“, რომლის მთავარი რედაქტორი იყო გამოჩენილი მათემატიკოსი ა. მალცევი, რედაქტორის მოადგილე კი ა. ბინაძე. ამ ჟურნალმა ძალიან მალე მოიპოვა დიდი ავტორიტეტი და იყო პირველი საბჭოთა მათემატიკური ჟურნალი, რომელიც ინგლისურად ითარგმნებოდა და ამერიკის შეერთებულ შტატებში იბეჭდებოდა. ბატონი ანდრო მრავალი მაღალრეიტინგული სამეცნიერო ჟურნალის სარედაქტორო კოლეგიების წევრიც იყო.

1962 წელს ა. ბინაძე ლონდონის სამეფო საზოგადოების მინვერით სამი კვირით იმყოფებოდა სამეცნიერო მივლინებით დიდ ბრიტანეთში, რასაც როგორც სხვა მეცნიერები, ასევე თავად ბატონი ანდროც, დიდ დაფასებად აღიქვამდა. დიდ ბრიტანეთში ბატონი ანდროს მეცნიერული ტურნე გალაზგოს უნივერსიტეტიდან დაიწყო. გლაზგოს უნივერსიტეტი მან ორი მოხსენება გააკეთა. ამ სხდომების მალაღ დონეზე ორგანიზებას ხელმძღვანელობდა შოტლანდიელი მეცნიერი, მათემატიკოსი და მექანიკის ცნობილი სპეციალისტი ი. სნედენი, რომლის რედაქტორობითაც იმ დროს ინგლისურად უკვე ითარგმნა ა. ბინაძის მონოგრაფია „Уравнения смешанного типа“ და მას დასაბუთებდა ამაზღებდა გამოცემლობა „ერგამონ რეს“. შემდეგ მან მოხსენება გააკეთა ოქსფორდის უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცნობილი მათემატიკოსი, ლონდონის სამეფო საზოგადოების წევრი რ. ტიტჩმარში. მოხსენებას საკმაოდ ბევრი მსმენელი დაესწრა. ა. ბინაძის მოხსენების შემდეგ დაინტერესდნენ ოქსფორდელი მათემატიკოსები სპექტრომეტრიის ამოცანით შერეული ტიპის ოპერატორებისთვის.

1963 წელს ნოვოსიბირსკში გაიმართა დიდი მნიშვნელობის მქონე სსრკ — აშშ-ის სიმპოზიუმი, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ ძალიან ცნობილი სპეციალისტები. აქ ა. ბინაძემ მეტად საინტერესო მოხსენება გააკეთა. სიმპოზიუმზე განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა არაფრედმოლოგიის ტიპის სასაზღვრო ამოცანები ელიფსურ განტოლებებისა და ელიფსური სისტემებისთვის. ეს მიმართულება კარგად იყო წარმოდგენილი ციმბირის განყოფილების მათემატიკის ინსტიტუტის ფუნქციონალური განყოფილებაშიც, რომელსაც ა. ბინაძე ხელმძღვანელობდა. სწორედ ამ განყოფილებაში მიღებულ მაღალ მეცნიერულ შედეგებს მისცა გაზეთში „Известия“ მაღალი შეფასება აშშ-ის დელეგაციის ხელმძღვანელმა, სახელგანთქმულმა მეცნიერმა, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საზღვარგარეთელმა წევრმა რ. კურანტმა.

კომპლექსური ცვლადის ანალიზურ ფუნქციონალური განყოფილებაში კურსის გარდა ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტში უფროსი სკურსელი სტუდენტებისთვის და ციმბირის განყოფილებაში მომუშავე ახალგაზრდა მეცნიერთანამშრომლებისთვის ა. ბინაძე კითხულობდა სპეციალურ კურსს სახელწოდებით „სასაზღვრო ამოცანები მეორე რიგის ელიფსური ტიპის განტოლებებისთვის“. ამ კურსის საფუძველზე შეიქმნა მისი კიდევ ერთი ცნობილი მონოგრაფია, რომელიც 1966 წელს გამოცემილმა „Наука“ გამოაქვეყნა მოსკოვში და მალე ინგლისურ ენაზეც გამოცემილმა „orthHolland“.

ანდრო ბინაძის სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა ყოველთვის დიდი ყურადღების ქვეშ ექცეოდა. მისი საიუბილეო თარიღები როგორც წესი აუცილებლად აღინიშნებოდა. 1966 წლის 22 მაისს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილებამ მისი დაბადების 50 წლისთავი აღნიშნა. ოფიციალურ საიუბილეო სხდომაზე, რომელიც შესავალი სიტყვით მ. ლავრენტიევიმ გახსნა, სამეცნიერო მოხსენება თავად ანდრო ბინაძემაც გააკეთა. შემდეგ სამეცნიერო დანსებებებთან და უმაღლეს სასწავლებელთან ბევრი წარმომადგენელი გამოვიდა მისასალმებელი სიტყვით. მათ შორის არც ა. რაზმაძის სახელობის ინსტიტუტის დავიწყება თავისი ყოფილი თანამშრომელი და არც მხოლოდ თბილისის უნივერსიტეტს, რამაც ბატონი ანდრო განსაკუთრებით გაახარა. ოუბილეს აღსანიშნავად ჟურნალმა „Сибирский математический журнал“ და „Дифференциальные уравнения“ გამოაქვეყნეს წერილები ბატონი ან-

დროს მეცნიერული შემოქმედების შესახებ. მეცნიერებაში შეტანილი თვალსაჩინო ღვაწლისთვის 1969 წელს ბატონი ანდრო არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

1971 წლის 1 სექტემბრიდან ა. ბინაძემ მუშაობა განაახლა ვ. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში, ამჯერად უკვე განყოფილების გამგედ და სიცოცხლის ბოლომდე იყო ამ თანამდებობაზე. 1972 წლის გაზაფხულზე მოსკოვის საინჟინერო-ფიზიკური ინსტიტუტის დირექციამ იგი მიიწვია პროფესორად და მიმართა თხოვნით, შეთავაზებოდა დეკავებინა ამ ინსტიტუტის უმაღლესი მათემატიკის კათედრის გამგის თანამდებობა. მან არსებითად გარდაქმნა კათედრის საქმიანობა და შეძლო მათემატიკაში სასწავლო პროგრამების გადახალისება იმ მოთხოვნათა შესაბამისად, რომლებსაც ცხოვრება ინჟინერფიზიკოსებს უყენებდა. ბატონი ანდრო აღნიშნავდა, რომ პედაგოგიური მოღვაწეობის ხანგრძლივ გაზაზრე პატივისცემა არსდა იმ არ უგრძობია, როგორც მოსკოვის საინჟინერო-ფიზიკური ინსტიტუტში. რაც გამოიხატებოდა არა მარტო ყოველწლიურად საპატიო სიგელებით დაჯილდოებაში თუ მაღლობის ოფიციალურ გამოცხადებაში, არამედ ყოველდღიურ საქმიან კონტაქტში ამ დანსებებების სტუდენტებთან, პროფესორ-მასწავლებლებთან და ხელმძღვანელობასთან. ის დიდი სიამოვნებით იხსენებდა და არ ავიწყდებოდა სტუდენტებით, ასპირანტებითა და ახალგაზრდა მეცნიერებით სავსე მისი აუდიტორიები. იგი 1978 წლამდე იყო ამ კათედრის გამგე.

ღრმად დაკვირვებებმა ბატონი ანდრო დაარწმუნა, რომ სხვადასხვა მიზეზთა გამო, გარკვეული შეფერხებები ხდებოდა საშუალო სკოლებში მათემატიკის სწავლებაში, რაც მერე ბუნებრივად იგრძობოდა უმაღლეს სასწავლებლებშიც. სწორედ ამასთან შებრბოების მიზნით, 1972 წლის შემოდგომაზე იგი დათანხმდა ტელეგადამცემებისა და რადიომაუწყებლობის კომპლექსის თხოვნას, სათავეში ჩასდგომოდა მეთოდურ საბჭოს, რომელსაც უმაღლეს სასწავლებლებში შემცველთათვის მათემატიკაში ტელეკურსების მუშაობა მალე დაიწყო უნდა განხორციელებინა. იგი აქტიურად მონაწილეობდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკური განყოფილების ბიუროს გაფართოებული სხდომის მუშაობაშიც, რომელმაც კრიტიკულად განიხილა ა. კოლმოგოროვის მოხსენება ზოგად საგანმანათლებლო სკოლებში ახალი პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით მათემატიკის სწავლების მდგომარეობის შესახებ.

1978 წლის 29 დეკემბერს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ა. ალექსანდროვმა ა. ბინაძეს აცნობა, რომ დაწყებული იყო თბილისში მისთვის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში დირექტორად და მეცნიერ ხელმძღვანელად შეთავაზებით მისი მუშაობის დაწყება და ამის თაობაზე თავისი წერილიც გააცნო. იმ განცხადების შესახებ, რაც მან ამ მომენტში მიიღო, ბატონი ანდრო ასე იხსენებს „ახალ 1979 წელს მოსკოვში შეხვედრე, 1 იანვარს კი თბილისში გავემგზავრე. 31 წლის შემდეგ ვბრუნდებოდი, ნახევრად, მაგრამ მაინც ვბრუნდებოდი ჩემს საყვარელ სამშობლოში — საქართველოში“. ვ. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექციამ მას ნება დართო თბილისის ნახევარი თვეამოშვებით თბილისში ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად გამოეყენებინა. ბატონი ანდრო დიდი მონდობით და ენთუზიაზმით ჩაერთო ადმინისტრაციულ, სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობაში. მის მიერ ჩამოყალიბებულმა ახალმა განყოფილებამ და სემინარმა „კერძონარმოვანობის დიფერენციალური განტოლებები“ დიდი როლი ითამაშა ახალგაზრდების მათემატიკის ამ მეტად მნიშვნელოვანი მიმართულებით დაინტერესებაში. ბევრი მათგანი სიღრმისეულად ეზიარა ა. ბინაძის მიერ ნათლად გადმოცემულ თანამდებობა მიღწევებს. თავის მოგონებებში იგი დიდი კმაყოფილებით აღნიშნავს განყოფილებაში მომუშავე ახალგაზრდა მეცნიერთა წარმატებულ საქმიანობას. სემინარის მუშაობაში ბევრი მათემატიკოსი მონაწილეობდა. მათ შორის ხშირად იყვნენ უცხოეთიდან მივლინებით სპეციალურად ჩამოსული ცნობილი მეცნიერებიც. აღსანიშნავია, რომ ბატონი ანდროს ინსტიტუტიდან ნასვლის შემდეგაც რამდენიმე სასიხარულოა, რომ დირექციის გადაწყვეტილებით 2016 წელს მისი სახელობის აღნიშნული სემინარის მუშაობა ისევ განახლდა.

თბილისში პარალელურად მოღვაწეობისას 1981 წელს ბინაძის კიდევ ერთი მონოგრაფია „Некоторые классы уравнений в частных производных“ გამოაქვეყნა გამოცემლობამ „Наука“, რომელიც სპეციალისტთა დიდი ყურადღება დაიმსახურა და მალევე ითარგმნა ინგლისურ ენაზე. სამწუხაროდ, 1983 წლის ბოლოს ბატონი ანდროს მოუწია ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დატოვება.

მოსკოვში სრულად დაბრუნებულს ა. ბინაძეს სამეცნიერო მუშაობასთან ერთად პედაგოგიური მოღვაწეობაც არ შეუწყვეტია და 1983 წლიდან გარდაცვალებამდე მოსკოვის მ. ლო-

მონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორიც იყო.

1988 წელს ბატონი ანდროს სთხოვეს გაზეთში „კომუნისტი“ გამოქვეყნებინა წერილი თბილისის უნივერსიტეტის დაარსებიდან 70 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით. მის სტატიაში „ცოდნის, განსწავლის მშობლიური დიდი ტაძარი“ ჩანს, რომ მისი ფერომენალური მეხსიერება იტყვდა ინფორმაციას უამრავ როგორც ისტორიულ, ისე თანამედროვე მოვლენაზე და მრავალ დრსულ შეპიროვნებაზე. მას პროფესიონალის დონეზე შეუძლოდა ესაუბრა მრავალი მიმართულების სხვადასხვა საკითხზე.

ბატონი ანდროსთვის დამახასიათებელი გამოცემის სტილი მხოლოდ მის მათემატიკურ ნაშრომებში არ იგრძნობა. იგი ამ სტილს ნ. მუსხელიშვილს უმაღლოდა. თავის მასწავლებლებად ნ. მუსხელიშვილს, ი. ვეკუას და მ. ლავრენტიევის თვლიდა. მონივრული იყო მისი დამოკიდებულება ყველა მისი მასწავლებლის მიმართ. შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან, რომ მათი სახელობის პატივი არ მიეცა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ბატონი ანდრო ნ. მუსხელიშვილის სახელობის პრემიის პირველი ლაურეატი იყო (1982 წ.), მიღებული ჰქონდა როგორც სსრკ, ასევე საქართველოს მრავალი სახელმწიფო ჯილდო, ძალიან უხაროდა ჭიათურის საპატიო მოქალაქედ არჩევა.

აკადემიკოსი ანდრო ბინაძე არის 150-მდე სამეცნიერო ნაშრომის, რამდენიმე ძალიან ცნობილი მონოგრაფიისა და სახელმძღვანელო ავტორი, რომლებზეც ახლაც კეთდება უამრავი ციტირება. სხვადასხვა დროს იყო მინვერული ლექციების და მოხსენებების წასაკითხად საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში: აშშ, გერმანია, ინგლისი, იაპონია, იტალია, საფრანგეთი, ფინეთი, ჩინეთი და სხვა. იგი ყველა კონფერენციაზე და სიმპოზიუმზე, მაღალი დონის საერთაშორისო შეკრებებზეც, როგორც წესი, პლენარული მომხსენებელი იყო და მისი გამოსვლები დიდი ყურადღებით და ინტერესით იმსმინებოდა.

ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში 20-24 სექტემბერს თბილისის დივიზიონისა და ინოვაციის ფესტივალის მეტეპროგრამის გაიმართება საერთაშორისო კონფერენცია „მათემატიკისა და ინფორმატიკის გამოყენება საზოგადოებისმეტყველო მეცნიერებასა და ინჟინერიაში“, რომელიც მიეძღვნება ანდრო ბინაძის 100 წლისთავს. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის 75ე წლისთავის იუბილეზე, აკადემიკოს ვახტანგ კოკილაშვილის ინიციატივით, გადაწყდა მეცნიერის 100 წლისთავის აღნიშვნა. ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში, აკადემიკოს ივანე კიულერაძის ხელმძღვანელობით, დეკემბერში დაგეგმილია კონფერენციის International Workshop on the Qualitative Theory of Differential Equations „QUALITDE – 2016“ მიძღვნა ბატონი ანდროს ხსოვნისადმი. ასევე აღვნიშნავთ, რომ ამა წლის 2023 აპრილს უკვე შედგა ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის ტრადიციულად ქვეყნულ გაფართოებული სხდომები, რომელზეც განსაკუთრებულად აღინიშნა ა. ბინაძის სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა. ამ სემინარის კერძონარმოვანობის დიფერენციალური განტოლებების სექციის მუშაობა კი სწორედ მისი 100 წლის იუბილეს მიეძღვნა, რომელზეც მოხსენებები ძირითადად მისმა მონაწილეობა და მიმდევრებმა გააკეთეს. აქვე გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ერთ ძალიან დასაფასებელ ინიციატივას, რომელიც მოსკოვში მეცნიერებს ეკუთვნით. 2016 წლის 16-18 ივნისს მოსკოვში დაგეგმილია ანდრო ბინაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის „actual Problems in Theory of Partial Differential Equations, dedicated to the memory of A. V. Bitsadze“ მოწყობა.

დასასრულს აღვნიშნავთ, რომ თავისი ცხოვრების უდიდესი ნაწილი ანდრო ბინაძემ სამშობლოდან შორს გაატარა. 32 წლის წავიდა საქართველოდან და მიუხედავად მისი დიდი სურვილისა და ბევრი მცდელობისა, ვერ შეძლო სამშობლოში დაბრუნება. ამის გამო, მას ძალიან წყვედობდა გული. 78 წლის ასაკში, 1994 წლის 6 სექტემბერს გარდაიცვალა ქალაქ მოსკოვში და დიდი დარდი და წუხილი წაიღო თან. ამჟამად ურნა მისი ფერფლით საქართველოდან შორს, მოსკოვის დონის მონასტრის პანთეონის კოლუმბაროში განისვენებს.

100 წელი გავიდა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს ანდრო ბინაძის დაბადებიდან. იმედა, მონაწილე კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩინოს საქართველოზე უზომოდ შეყვარებული ამაგდარის მამულშვილის ღვაწლს და დამსახურებას.

გიორგი ჯაიანი,
ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი, ფიზიკამათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თამარ ჯანგველიძე,
ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ფიზიკამათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი



რისმაც გორდებია: „ინოვაცია, ფორმალიზმი, ავანგარდი ანტიკურ ლიტერატურაში“

„ჩემი ამოცანა იყო — გადმომეცა არა ანტიკური კულტურის ისტორიის ახალი ვარიანტი, არამედ გამომეკვლია ინოვაციის და სიახლისკენ ლტოლვის ისტორია“, — პროფესორმა რისმაც გორდებთან 76-ე დაბადების დღე ახალი წიგნის პრეზენტაციას დაამთხვია. „ინოვაცია, ფორმალიზმი, ავანგარდი ანტიკურ ლიტერატურაში“ ვრცელი და არაჩვეულებრივად საინტერესო ნაშრომია, რომელიც საჩუქარია როგორც ანტიკური ლიტერატურის სპეციალისტებისა და მოყვარულებისთვის, ისე ყველა იმ ხელოვანისთვის, ვინც ახალი ფორმებისა და მიგნებების ძიებაშია. მთელი ამ მონოგრაფიის სათქმელი კი, ალბათ, ერთია: ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველია. ეს ყველაფერი კი ძველი საბერძნეთიდან მოდის!

პრეზენტაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტიისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტში გაიმართა. იუბილარის კოლეგებს, მეგობრებსა და სტუდენტებს კიდევ ერთხელ მიეცათ საშუალება ბატონი რისმაცის არაჩვეულებრივი ლექცია მოესმინათ და ემოგზაურათ მზიან და მარად ახალგაზრდა ანტიკურ სამყაროში. ეს სამყარო ჰომეროსით იწყება, რომლის შემოქმედებაც დღემდე რჩება რისმაც გორდებთანის აღფრთოვანების, სიყვარულისა და სამეცნიერო კვლევის მთავარ თემად: მიუხედავად იმისა, რომ ჰომეროსი ბერძნულ ლიტერატურაში პირველია, იგი უკვე ნოვატორია და სწორედ მან შექმნა საფუძველი, რომ ბერძნულ ლიტერატურაში სიახლეები დაწერდნენ. ბერძნული კულტურა, რომელიც ეგოსურ კულტურას დაეფუძნა, შუამდინარული და ეგვიპტური კულტურისაგან განსხვავებით, გვიჩვენებს სხვა მიმართულებას: „ეს არის გაცნობიერებულ ცვლილებებზე ორიენტირებული კულტურა. რაღაცის შეცვლა კი მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ გაქვს ლტოლვა სიახლისკენ. სწორედ ამ თვალსაზრისით შევეცადე განმეხილა ბერძნულ-რომაული ლიტერატურა“, — აღნიშნა რისმაც გორდებთან.

წიგნში ერთი თავი მთლიანად ჰომეროსს ეძღვნება. მკვლევარი „ილიადას“ და „ოდისეას“ ავტორის ნოვატორობის ჩვენებას რამდენიმე პარამეტრით შეეცადა: ეს არის ნაწარმოების სტრუქტურული ორგანიზაცია, მოქმედების ერთიანობის გააზრება,



ლიტერატურული ტექსტით თამაში და, ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია გმირების ხასიათები. არისტოტელე, რომელსაც საუკუნეები აცილებს ჰომეროსისგან, ამბობდა, რომ ჰომეროსია სწორედ ის შემოქმედი, რომელიც ხასიათებს ქმნის და ყველა პერსონაჟი აქ ხასიათითაა. „ჰომეროსი პირველად და, მგონი, უკანასკნელადაც, ანტიკურ ლიტერატურაში ეგზისტენციალურ ხასიათებს წარმოგვიდგენს. ეს ხასიათის ის კატეგორიაა, რომელიც ადამიანში თანდაყოლილია და რომელსაც არისტოტელე ეთოსს უწოდებს. მაგალითად, ჰექტორმა კი არ ისწავლა, არამედ მასში ზის ის, რომ თანამოქალაქეთა წინაშე სირცხვილისა და პასუხისმგებლობის გრძობა უნდა იყოს მისი მთელი მოქმედების მოტივი. სწორედ ეს ხასიათი განსაზღვრავს ჰექტორის ბედისწერას და არა ღმერთების ნება. ასეა აქილევსის, აგამემნონის და ყველა სხვა გმირის შემთხვევაშიც. „ანტიკურობაშივე მივიდნენ ამ დასკვნამდე, რომ არ დარჩენილა ლიტერატურული ხერხი, რომელიც ჰომეროსს არ

ჰქონდეს გამოყენებული, მაგრამ აქ მთავარია ის, რომ არც ერთ შემთხვევაში ეს ხერხი არ ხდება დომინანტური. აქედან გამომდინარე, ჩემი აზრი ასეთია: ეს არის ამოუწურავი პარადიგმა ტრადიციის და ინოვაციის თანაარსებობისა. სწორედ ამ პარადიგმაში იქმნება ანტიკურ ლიტერატურაში დიდი და გენიალური ნაწარმოებები“, — ამბობს რისმაც გორდებთან.

ჰომეროსს ე.წ. ლირიკის პერიოდის ახლებური სული და ფორმები მოჰყვება, შემდეგ უკვე არქაიკა იწყება ტრადიციებთან და ძირითად ღირებულებებთან დაპირისპირებით, ბოლოს კი ელინისტური და პოსტელინისტური ეპოქის ინოვაციები და ექსპერიმენტები. „ელინისტურ პერიოდში კლასიკამ უკვე იმ სრულყოფილებას მიაღწია, რომ მასთან შეჯიბრს აზრი აღარ აქვს და ჩნდებიან ხელოვანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ მოვიდა მომენტი, როდესაც ეს ყველაფერი ახლით უნდა ჩანაცვლდეს: იწყება ექსპერიმენტები პოეზიაში, ტექსტებით ფონგლიორობა, სადაც დომინანტური უკვე

ფორმაა. ამგვარად იქმნება სიმბოლური ფიგურული ლექსები, რომლებშიც იგივე პრინციპია გამოყენებული, რომელიც XX საუკუნის ცნობილ ავანგარდისტთან გიომ პოლინერის კალიგრამებში გვხვდება“, — აცხადებს რისმაც გორდებთან. მან წიგნში უხვად ჩართო საილუსტრაციო მასალა და ანალიზი, რომელიც გააოცებს მკითხველს პოსტელინისტებისა და ჩვენი დროის ფუტურისტ-ავანგარდისტების შემოქმედების მსგავსებით.


ბერძნული ლიტერატურის შემდგომ რომაული ლიტერატურის ანალიზი იწყება: „რა სიახლეა რომაულ კლასიკაში? ეს არის ისეთი სიახლე, რომელიც იმის დანგრევას კი არ გვთავაზობს, რაც იყო, არამედ განვითარებას და ახალ სიმაღლეზე აყვანას. ამ წიგნზე მუშაობისას ხელახლა აღმოვაჩინე ჰორაციუსი — ძალიან ღრმა პოეტი, რომელთანაც მთელი რიგი საკვანძო ცნებები გახსნილი, მათ შორის კარზე დიემ! მოწყვიტე დღე, ანუ იცხოვრე ამ დღით და რომ გაივლის თქვი, ვიცხოვრე,

იმითომ რომ არ იცი, რა გელის ხვალ და ღმერთები რამდენ დღეს მოგიტოვლიან. პირადად ჩემთვის ეს მნიშვნელოვანი იყო. რაც მეტად შევიღვარ ასაკში, ჩემს თავს სწორედ ამით ვინუგეშებ: რაღაცა მომზონს, რაღაცას ვსწავლობ. სანამ სწავლის უნარი გაქვს, ცხოვრებასაც აქვს აზრი! ეს წიგნი დამთავრდა, ახლა ვფიქრობ, თუ ღმერთმა ინება და „კენჭი მიმადებინა“, მომავალ დაბადების დღეზე ახალ წიგნს შემოგთავაზებთ!“, — ასე დაასრულა პროფესორმა 76-ე დაბადების დღეზე, 9 ივნისის წვიმიან საღამოს გამართული პრეზენტაცია. ბატონი რისმაცის მეგობრისა და კოლეგის, თამაზ კვაჭანტირაძის თქმით: „რისმაც გორდებთან თავის პიროვნულ საწყისებს დაუბრუნდა ამ წიგნით. იგი ბუნებით ფუტურისტიკა და მიდრეკილია ყოველთვის სიახლისა და ინოვაციებისკენ, ჩემთვის მისგან ამგვარი წიგნის დაწერა არ არის მოულოდნელი“.

მომამზადა ლელა კუპრდელაშვილიმ

გზა არიერგარდიდან ავანგარდისკენ

3 ინც მარიამ გულიაშვილს იცნობს, კარგად იცის, რომ ინტერესი აღმოსავლური პოლიტიკისა და კულტურისადმი ჯერ კიდევ სკოლაში ყოფნისას გამოიჩინა, როდესაც ჩინური სამოსის საღამო ჩაატარა და ამით მედიის ყურადღებაც მიიპყრო. შემდეგ მან უნივერსიტეტში ჩააბარა და ინტერესი აღმოსავლური, განსაკუთრებით ჩინური პოლიტიკისადმი გაღრმავდა და გაორმაგდა. მას ეკუთვნის არაერთი საკონფერენციო ნაშრომი თუ მონოგრაფია ჩინეთის პო-



ლიტიკური კულტურის შესახებ, რომელთა შექმნაში განსაკუთრებული წვლილი თსუ-ის პროფესორს ავთანდილ ტუკუაძეს მიუძღვის.

გასული თვის ბოლო კი მარიამისთვის განსაკუთრებული აღმოჩნდა, მან უნივერსიტეტისგან მიიღო შეთავაზება ზაფხულის ერთი თვე ჩინეთში - შანხაიში პოლიტიკისა და სამართლის საზაფხულო სკოლაში გაატაროს. მარიამი თსუ-ის სოციალურ

და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ყველაზე წარმატებული სტუდენტი აღმოჩნდა, რითაც მოიპოვა შანსი ჩინეთში წასასვლელად. პროგრამაში მონაწილეობა ორმა სტუდენტმა შეძლო - მარიამ

გულიაშვილმა და იურიდიული ფაკულტეტიდან თამაზ მარგველაშვილმა.

მათი ინტერესებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ მათი სახით საქართველოში ჩინური პოლიტიკისა და სამართლის

მცოდნეთა სერიოზული ბაზა იქმნება, რაც ხელს შეუწყობს ჩინურ-ქართულ ურთიერთობებსა და საგანმანათლებლო ურთიერთკავშირს.

თემურ ბეჰანიძე, თორნიკე შვიპარდაძე

მთავარი რედაქტორი	ნინო კაკულია	რედაქციის წევრები:	მისამართი:
მთავარი სამხატვრო რედაქტორი	მაია ტორაძე	რისმაც გორდებანი, იაკო კაჭკაჭიშვილი, ეთერ ხარაიშვილი, ლადო პაპავა, მანანა შამილიშვილი, თემურ ნადარეიშვილი, ლადო მინაშვილი, მორის შალიკაშვილი, ნინო ჩიხლაძე, გიორგი ჯაიანი, არსენ გვენეტაძე, მარიამ ცისკაძე, ნინო ქალაგანიძე, ირმა რუსაძე	ილია ჭავჭავაძის გამზ. 13
ტექნიკური რედაქტორი	მანანა ჯურხაძე		(თსუ-ის მე-8 კორპუსი)
ფოტოკორექტორი	ანა ბოლქვაძე		tsunewspaper@tsu.ge
კომპ. უზრუნველყოფა	ზაზა გულაშვილი		2 22 36 62

